# ბიულეტენი

№ 30
1999
სექტემბერი

საქართველოს
სტრატეგიული კვლევებისა
და განვითარების ცენტრი

სახელმწიფო ქონების მართვა

მსოფლიო ბანკის პროექტი —
„სოფლის მეურნეობის განვითარება"

ეკონომიკური უსაფრთხოების
მონიტორინგის სისტემა

FRIEDRICH
EBERT
STIFTUNG

C 00 - 01555

© FRIEDRICH EBERT STIFTUNG

# საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

ირაკლი ხმალაძე

**სახელმწიფო ქონების მართვა** ---------------------------------------- 2

გიორგი ბარბაქაძე
დავით ლომიძე

**მსოფლიო ბანკის პროექტი —**
**„სოფლის მეურნეობის განვითარება"** ---------------------------- 20

ნარიმან ტერაშვილი

**ეკონომიკური უსაფრთხოების**
**მონიტორინგის სისტემა** ---------------------------------------- 32

"Weltbankprojekt - Entwicklung der Landwirtschaft"
("msoplio bankis proekti - soplis meurneobis ganwitareba"), georgisch, 52 S.
Englische Annotation `Weltbankprojekt - Entwicklung der Landwirtschaft.
Lenkung des Staatseigentums. Monitoringssystem der Wirtschaftssicherheit` ,
11 S.
Informationsblatt `Tourismusbereich in Georgien`, georgisch, 6 S.
Seminarreihe `Wirtschaft, Finanzen und Sozialpolitik`vom September 1999
FES Georgien und Zentrum für strategische Forschungen und Entwicklung
Georgiens

თბილისი

C 00 - 01555

# სახელმწიფო ქონების მართვა

■ ირაკლი ხმალაძე

## 1. მაკროეკონომიკური გარემო

საქართველოს ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პროცესი მეტად მტკივნეულად მიმდინარეობს, რაც არსებულ რთულ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებში გამოიხატება. დღესდღეიობით ხელისუფლების წინაშე მდგარი ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა ეკონომიკური სისტემის, გაუმართაობა და არასტაბილური ფუნქციონირებაა.

საქართველოს მიერ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის უმოკლეს გზად არჩეული სახელმწიფო ქონების ტრანსფორმაციის პროცესი იმთავითვე წინააღმდეგობრივ ხასიათს ატარებდა, ამასთან, პრაქტიკულად საბჭოთა სისტემისათვის დამახასიათებელი პრობლემები არ გადაჭრილა.

**სამეურნეო გარემო იმდენად არასრულყოფილია, რომ რეფორმირების პროცესის დასრულება დამოკიდებულია ხელისუფლების პოლიტიკურ ნებაზე და არა საბაზრო ურთიერთობათა ევოლუციაზე.**

დღეისათვის ობიექტური და სუბიექტური ეკონომიკური ფაქტორებით გამოწვეული ეკონომიკის სექტორის პრობლემები თანაბრად მოქმედებს როგორც სახელმწიფო საწარმოებზე, ასევე კერძო სექტორზეც.

გარდამავალ პერიოდში სისტემური ტრანსფორმაციის უმთავრეს მიმართულებად საწარმოს დონეზე რეფორმირებაა. სწორედ ისინი არიან ჩართული საბაზრო პრინციპებზე გადასვლის მეტამორფოზაში, რაც უნდა განხორციელდეს პრინციპით სახელმწიფო საწარმოებიდან (სახელმწიფოს ძირითად და საბრუნავ ფონდების ბაზაზე უშვებენ პროდუქციას) დამოუკიდებელი ფირმებისაკენ (მთავარი ბაზა კაპიტალი, მოტივი კი მოგების მიღება იქნება).

საწარმოს ფუნქციონირების გარდამავალი პერიოდის თავისებურებანი საბაზრო პროცესების დეფორმირებულად მიმდინარეობაში მდგომარეობს. ბაზრის ნორმალური ინსტიტუტები და კონკურენტული გარემო ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული. არ არის მოწესრიგებული საკუთრებითი ურთიერთობები და მისი დაცვის მყარი მექანიზმები. არასრულყოფილია საბანკო სისტემა და სხვა ფინანსური დაწესებულებები, არ არსებობს მტკიცე საბაზრო ტიპის საგადასახადო სისტემა, არასაიმედოა ეკონომიკურ აგენტებს შორის ურთიერთობა, ეკონომიკის „გახსნილობის“ რეალიზაცია პრიმიტიული და არაკონტროლირებადი ფორმისაა.

სამეურნეო გარემო იმდენად არასრულყოფილია, რომ რეფორმირების პროცესის დასრულება დამოკიდებულია ხელისუფლების პოლიტიკურ ნებაზე და არა საბაზრო ურთიერთობათა ევოლუციაზე. გარკვეულწილად ეკონომიკაში ნარჩუნდება ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის ტიპი, ხოლო სახელმწიფო ეკონომიკური ურთიერთობების უმსხვილეს ობიექტად რჩება.

საქართველოში კერძო კაპიტალის საფუძველზე ფირმების მხოლოდ მცირე ნაწილია შექმნილი, ძირითადად რეალური სექტორის სუბიექტები სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოებია.

საქართველოში სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოები შემდეგი თავისებურებებით ხასიათდებიან:

1. სტრატეგიული ინვესტიციების არ არსებობა;
2. მმართველობითი „კასტის“ დიდი გავლენა — კაპიტალზე კონტროლის შენარჩუნებით;
3. კაპიტალის ეფექტური სტრუქტურის ფორმირებისა და მესაკუთრის სწორი ფსიქოლოგიის ჩამოსაყალიბებლად შედარებით დიდი პერიოდის აუცილებლობა;

## 2. სახელმწიფო ქონების სტრუქტურული დაყოფა

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონება შეიძლება დავყოთ სამ ჯგუფად:

*1. სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტები:*

ა) წიაღისეული, წყლის რესურსები, ტერიტორიული წყლები, კონტინენტური შელფი და ა.შ.;

ბ) ისტორიულ-კულტურული და მხატვრული ფასეულობის ობიექტები;

გ) სამობილიზაციო მარაგი, სახელმწიფო რეზერვი;

დ) ელექტროენერგეტიკული სექტორის გადაცემა-დისპეჩერიზაციის სამსახურები;

ე) სამეცნიერო დაწესებულებები და სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლები;





ვ) სახელმწიფო მნიშვნელობის რკინიგზა, გაზის მაგისტრალური მილსადენი, საავტომობილო და საჰაერო გზები;

ზ) ძალოვანი სტრუქტურების საშტატო და სარეზერვო ქონება;

თ) სიხშირეთა სპექტრი;

ი) სამხედრო დანიშნულების მასალების დამამზადებელი საწარმოები;

კ) სასაფლაოები და პანთეონები;

ლ) საკანალიზაციო და წყალსადენის მეურნეობის ერთიანი სისტემა;

მ) სასიცოცხლო მნიშვნელობის სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულებები;

ნ) სახელმწიფო ორგანოთა ადმინისტრაციული შენობები.

ნებისმიერი სახელმწიფოსათვის აღნიშნული ქონება სოციალურ-ეკონომიკური მიზნების განხორციელების უმთავრესი შესაძლებლობაა და, შესაბამისად, მათი კერძო საკუთრებაში გადაცემა არაეფექტური იქნებოდა მოგების (ღირებულებითი ფორმით) არარსებობის გამო. რთულია ამ სისტემის რენტაბელურობასა და ეკონომიკურ ეფექტურობაზე საუბარი, თუმცა, განვითარებული ქვეყნების მდიდარი გამოცდილების გამოყენებით შესაძლებელია მართვის სტრუქტურებისა და მენეჯმენტის ხარისხის ამაღლება. სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, გარკვეულ შემთხვევებში შესაძლებელია აღნიშნული ქონების რომელიმე „ინსტიტუტის“ საერთაშორისო კომპანიისათვის მართვის უფლებით (მაგალითად, საბაჟო სისტემის, ადმინისტრირების მექანიზმის სრულყოფის მიზნით, უცხოელებისათვის) გადაცემა.

**სახელმწიფო ქონების ყველაზე ეფექტური მართვა დღევანდელ საქართველოში მისი განსახელმწიფოებრიობა და საწარმოს მართვის უფლების კერძო კომპანიისთვის გადაცემაა.**

2. *ობიექტები, რომლებიც თავისი არსით წარმოადგენენ ბუნებრივ მონოპოლიებს.* მათ მიეკუთვნება ენერგოგენერაციის ობიექტები, კავშირგაბმულობის სისტემა, რკინიგზა, ნავსადგურები. აღნიშნული სფეროს ობიექტები წარმოადგენენ გიგანტებს საქართველოს ეკონომიკის მასშტაბით, რომელთა ფუნქციონირების ეფექტიანობა ძირითადად გათვლილი იყო საბჭოთა კავშირის მასშტაბებზე და სრულად თუ ნაწილობრივ დოტაციურ ხასიათს ატარებდა სახელმწიფოს მხრიდან.

**მრეწველობა, სადაც სახელმწიფო სექტორის ყველაზე დიდი ნაწილია წარმოდგენილი, გამოშვებული პროდუქციის მოცულობასთან მიმართებაში კლების ტენდენციით ხასიათდება.**

დღეისათვის მათი ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის აუცილებელია თანამედროვე ტექნიკითა და ტექნოლოგიებით აღჭურვა, რაც უდიდეს ფინანსურ დანახარჯებს უკავშირდება. ისედაც მწირი სახელმწიფო ბიუჯეტის პირობებში პრაქტიკულად შეუძლებელია ქვეყნის ფინანსური რესურსების მობილიზებით გრძელვადიანი სტრატეგიული ინვესტიციების განხორციელება. ამ ობიექტების სახელმწიფო საკუთრებაში დატოვება ყოველ მიზეზგარეშე გამოიწვევს შემდგომ დისკრეტულ ფუნქციონირებას და შეიძლება საქმე გაკოტრებამდეც მივიდეს.

დღევანდელ ეტაპზე სახელმწიფომ მიიღო პრინციპულად სწორი გადაწყვეტილება. ჩვენ თამამად შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ პარადიგმა: სახელმწიფო ქონების ყველაზე ეფექტური მართვა დღევანდელ საქართველოში მისი განსახელმწიფოებრიობა და საწარმოს მართვის უფლების კერძო კომპანიისთვის გადაცემაა.

2000 წლამდე უნდა დასრულდეს საერაშორისო საფინანსო ორგანიზაციების ხელშეწყობით ენერგოსექტორის, კავშირგაბმულობის და სატრანსპორტო სისტემის პრივატიზაცია, რამაც პრინციპში უნდა განაპირობოს სტრატეგიული ინვესტიციების მოზიდვა და საფუძველი შექმნას მდგრადი ეკონომიკური განვითარებისათვის.

3. *ობიექტები, რომლებიც ძირითადად სამრეწველო სფეროს წარმოადგენენ და გათვლილი იყვნენ საკავშირო მასშტაბებზე ან მათი რენტაბელობა ძალზე დაბალი იყო.*

აღნიშნული საწარმოები (რუსთავის მეტალურგიური ქარხანა, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა და მათთან ერთად სხვა, შედარებით მსხვილი საწარმოები) ვერ მოხვდნენ პრივატიზაციის I ეტაპის ნუსხაში და მათი შემდგომი განვითარების პერსპექტივა გაურკვეველია და ხშირად დაძაბული პოლიტიკური ბატალიების საგანია.

მრეწველობა, სადაც სახელმწიფო სექტორის ყველაზე დიდი ნაწილია წარმოდგენილი, გამოშვებული პროდუქციის მოცულობასთან მიმართებაში კლების ტენდენციით ხასიათდება. აღნიშნული საწარმოები თითქმის მთელი წლის განმავლობაში გაჩერებულია და არასრული დატვირთვით მუშაობენ.

სახელმწიფო ქონების მართვისა და პრივატიზების პროცესის მიზანმიმართულად წარმართვისათვის უმნიშვნელოვანესი საკითხი იმ საწარმოთა აღრიცხვის სისტემის მოწესრიგებაა, რომლებშიც გარკვეული წილი სახელმწიფოს აქვს, იქნება ეს სააქციო საზოგადოებები, შეზღუდული

პასუხისმგებლობის საზოგადოებები თუ სხვა სახის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოები.

სახელმწიფო ქონების მართვის განხორციელებისას აუცილებელია გამოიყოს რამდენიმე მომენტი, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია განხორციელდეს სახელმწიფო სექტორის ეფექტიანი ფუნქციონირება:

1. პოლიტიკის წარმართვა და იმის განსაზღვრა თუ ვის მიერ და რა ფორმით მოხდება სახელმწიფო ქონებით სარგებლობა და მისი განკარგვა;

2. საწარმოთა უშუალო მართვა.

ყოველივე ამის განხორციელება სრულყოფილ მონაცემთა ბაზის გარეშე წარმოუდგენელია. ამ მიმართულებით ინტენსიური მუშაობა დაიწყო 1998 წლის ოქტომბრიდან. საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში შეიქმნა „საწარმოებში სახელმწიფო წილის, აქციების აღრიცხვისა და მართვის დეპარტამენტი", რომელმაც სახელმწიფო სტატისტიკის დეპარტამენტის, ეკონომიკის სამინისტროსა და დარგობრივი სამინისტროებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე უნდა უზრუნველყოს სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოების მონაცემთა ბაზის ფორმირება.

## დღეისათვის საქართველოში სახელმწიფოს დაახლოებით 1800 საწარმოში გააჩნია ქონების გარკვეული წილი.

საქართველოში დღეისათვის დაახლოებით 1800 საწარმოში სახელმწიფოს გააჩნია ქონების გარკვეული წილი. ძირითადად ამ საწარმოთა ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმებია სააქციო საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და სახაზინო საწარმო (სახაზინო საწარმოები მოქმედი კანონმდებლობით 1999 წელს გაუქმდა).

1999 წლის 28 ივნისის მდგომარეობით სულ რეგისტრირებულია სახელმწიფო საწარმოების ბაზაზე დაფუძნებული 1211 სააქციო საზოგადოება. აქედან 920 სრულადაა პრივატიზებული, ანუ აქციათა 100% კერძო საკუთრებაშია. 5-დან 50%-მდე აქციათა პაკეტები დარჩენილია 60-მდე სააქციო საზოგადოებაში, რომელთა გაყიდვა ძირითადად მიმდინარე წლის ბოლომდე დასრულდება.

სახელმწიფოს საკუთრებაშია 231 სააქციო საზოგადოების აქციათა საკონტროლო პაკეტი, რომელთა უმრავლესობა ენერგეტიკის სფეროს საწარმოებია. მათ შორის 62 რაიონული ენერგოკომპანია და 11 ენერგოგენერაციის ობიექტია; 39 ბუნებრივი აირით მომარაგების სისტემის საწარმო და 19 სხვადასხვა რაიონში განთავსებული ნავთობბაზა. აგრეთვე, რიგი მსხვილი საწარმოებისა, რომელთა ძირითადი ნაწილის პრივატიზება მომავალი წლის თებერვლამდე განხორციელდება.

## სახელმწიფოს საკუთრებაშია 231 სააქციო საზოგადოების აქციათა საკონტროლო პაკეტი, რომელთა უმრავლესობა ენერგეტიკის სფეროს საწარმოებია და მათი ძირითადი ნაწილის პრივატიზება მომავალი წლის თებერვლამდე განხორციელდება.

მიმდინარე წლამდე ქვეყანაში არსებობდა სახაზინო საწარმოების გაუმართლებლად დიდი რაოდენობა — 1700-ზე მეტი, რაც მათ მიმართ ადგილობრივი ან ცენტრალური ბიუჯეტის სუბსიდიურ პასუხისმგებლობას და სხვა ფინანსური ვალდებულებების უზრუნველყოფას გულისხმობდა. მომავალ ეტაპზე „მეწარმეთა შესახებ" კანონში ცვლილებები სახაზინო საწარმოების სააქციო ან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად გარდაქმნას ითვალისწინებს. აღნიშნული ღონისძიების შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტი საკმაოდ მნიშვნელოვანი და არამიზანშეწონილი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლდება.

დღეისათვის 50-ზე მეტ სახაზინო საწარმოს იურიდიულ-სამართლებრივი სტატუსი შეეცვალა. აღნიშნული პროცესი მიმდინარე წლის 1 სექტემბრამდე უნდა დასრულდეს.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის მიხედვით ქვეყნის მასშტაბით 400-მდე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა, სადაც სახელმწიფოს გარკვეული წილი აქვს. მათი უმრავლესობა მცირე მასშტაბის საწარმოებია. ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი ობიექტებიც, რომელთაც სასიცოცხლო ფუნქცია აკისრიათ.

მიმდინარე წლის განმავლობაში 100-ზე მეტი აღნიშნული ობიექტი შეტანილ იქნება საპრივატიზებო ობიექტების ნუსხაში. ამ ნუსხის შევსება ხდება იმ ყოფილი სახაზინო საწარმოებით და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებით, რომელთა პრივატიზების შესახებ წინადადებებს წარმოადგენენ დარგობრივი უწყებები და მმართველობის ადგილობრივი ორგანოები.

სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების აღრიცხვის სისტემის მოწესრიგებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო სექტორში კორუფციის მასშტაბების მკვეთრი შემცირებისა და სახელმწიფო ქონების არადანიშნულებისამებრ გამოყენების აღკვეთის თვალსაზრისით, რადგანაც აღრიცხვის სისტემის მოწესრიგება და რეალური ინფორმაციის ფლობა სახელმწიფო ქონების პრივატიზებისა და მართვის



ბიულეტენი №30 სექტემბერი 1999 წ.

### სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული სააქციო საზოგადოებების განაწილება რეგიონებისა და დარგების მიხედვით

ცხრილი №1

| რეგიონი | რაოდენობა | ენერგეტიკა | ტრანსპორტი | სხვა | საშ.სახ. წილი (%) | სამი წლის მოგება სულ | მოგების გადასახადი ბიუჯეტში | წმინდა მოგება | წმინდა მოგების გადასახადი | წარმოების განვითარებაზე | დივიდენდების გაცემაზე | სახელმწიფოს კუთვ. დივიდენდები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| აბაშა | 1 | | | 1 | 100,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ადიგენი | 1 | | | 1 | 0,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ამბროლაური | 2 | | | 2 | 51,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ასპინძა | 1 | | | 1 | 51,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ახალციხე | 3 | 1 | | 2 | 100,00 | -13018 | 623 | 2490 | 2490 | 0 | 0 | 0 |
| ახალქალაქი | 2 | | | 2 | 0,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ახმეტა | 4 | | | 4 | 59,42 | -63941 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ბორჯომი | 3 | | | 3 | 61,50 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ბოლნისი | 2 | | | 2 | 98,75 | 19255 | 3851 | 15404 | 15404 | 1063 | 0 | 14341 |
| ჩხოროწყუ | 2 | 1 | | 1 | 75,00 | 4125 | 825 | 3300 | 3234 | 3300 | 0 | 0 |
| დედოფლისწყარო | 1 | 1 | | | 100,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| დმანისი | 1 | 1 | | | 100,00 | 149298 | 29858 | 119440 | 119440 | 0 | 0 | 0 |
| ფოთი | 2 | | 1 | 1 | 99,00 | -57015 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| გარდაბანი | 5 | 2 | | 3 | 98,72 | 259716 | 51468 | 185654 | 185502 | 2374 | 183280 | 179614 |
| გორი | 2 | | | 2 | 389,00 | 63,45 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| გურჯაანი | 0 | | | | 0,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| კასპი | 8 | 1 | 1 | 6 | 62,33 | 42357 | 8471 | 33886 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ლაგოდეხი | 5 | | | 5 | 98,00 | -11181 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ლანჩხუთი | 2 | 1 | 1 | | 100,00 | 2442 | 488 | 1954 | 1954 | 0 | 0 | 0 |
| ლენტეხი | 1 | | | 1 | 100,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| მარნეული | 4 | | 2 | 2 | 87,31 | 913 | 183 | 730 | 360 | 730 | 0 | 0 |
| მარტვილი | 0 | | | | 0,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| მცხეთა | 3 | 2 | | 1 | 74,63 | 77483 | 15496 | 61987 | 4831 | 0 | 0 | 0 |
| ოზურგეთი | 3 | | | 3 | 81,58 | 635 | 127 | 508 | 508 | 0 | 19 | 488 |
| ქარელი | 1 | | | 1 | 0,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ქუთაისი | 13 | | | 13 | 68,46 | 266614 | 108654 | 525612 | 481531 | 171197 | 90995 | 48318 |
| რუსთავი | 23 | | | 23 | 84,88 | -971475 | 30239 | 120957 | 50732 | 80633 | 8178 | 2642 |
| სამხერე | 1 | | | 1 | 85,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| საგარეჯო | 3 | | | 3 | 97,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| სენაკი | 9 | | | 9 | 80,74 | 0,43 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| თბილისი | 14 | | 2 | 13 | 90,20 | 569013 | 172466 | 689869 | 654788 | 672328 | 17541 | 17541 |
| თელავი | 3 | | | 3 | 75,50 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| თერჯოლა | 1 | | | 1 | 100,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| თეთრიწყარო | 3 | 1 | | 2 | 51,00 | 1152 | 230 | 922 | 893 | 0 | 922 | 887 |
| ტყიბული | 1 | | | 1 | 100,00 | 249694 | 49939 | 199755 | 199755 | 199755 | 0 | 0 |
| ვანი | 1 | 1 | | | 100,00 | 3473 | 695 | 2778 | 2778 | 2778 | 0 | 0 |
| წალენჯიხა | 3 | | | 3 | 84,67 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| წალკა | 1 | 1 | | | 100,00 | 218755 | 43755 | 175000 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ჭიათურა | 8 | | | 8 | 73,49 | 911 | 182 | 729 | 0 | 729 | 0 | 0 |
| წყალტუბო | 3 | | | 3 | 96,88 | -130564 | 352 | 1407 | 1374 | 0 | 1407 | 1365 |
| ხარაგაული | 5 | | 1 | 4 | 50,00 | -194466 | 1009 | 4436 | 1142 | 2120 | 1916 | 542 |
| ხაშური | 13 | | 2 | 11 | 78,63 | 105 | 21 | 84 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ხულენაური | 30 | | 5 | 25 | 42,38 | -909972 | 231374 | 74857 | 36997 | 40268 | 32220 | 14723 |
| ხობი | 4 | | | 4 | 85,58 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ხონი | 3 | 1 | 1 | 1 | 98,20 | 15857 | 3172 | 12685 | 12517 | 8879 | 3806 | 3806 |
| ყვარელი | 1 | | | 1 | 51,00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ზესტაფონი | 11 | | | 11 | 50,33 | 8189,1 | 2366 | 9468 | 2123 | 5295 | 2306 | 2526 |
| ზუგდიდი | 13 | | | 13 | 72,00 | 29409 | 1369 | 28040 | 9287 | 3599 | 17031 | 9287 |
| სულ | 226 | 14 | 16 | 197 | | -432172,02 | 757213 | 2271952 | 1787640 | 1195048 | 359621 | 296080 |

პროცესის გამჭვირვალობასა და საჯაროობას უზრუნველყოფს.

კუთვნილი სახსრების მოცულობას განაპირობებს.

მეორე მიმართულება სახაზინო საწარმოები

სახაზინო საწარმოები

ცხრილი №2

| რეგიონი | რაოდენობა | ს.მ.სახ. წილი (%) | სამი წლის მოგება სულ | მოგებადასახადი ბიუჯეტში | წმინდა მოგება | წმინდა მოგების გადასახადი | წარმოების განვითარებაზე | დივიდენდების გაცემაზე | სახელმწიფოს კუთვ. დივიდენდები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| აბაშა | 10 | 100 | 1195 | 239 | 956 | 956 | 0 | 0 | 0 |
| ასპინძა | 10 | 100 | -13513 | 2715 | 10856 | 10856 | 190 | 10476 | 10476 |
| ახალქალაქი | 1 | 100 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ახმეტა | 6 | 100 | -39812 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ბაღდათი | 6 | 100 | 13327 | 2339 | 9361 | 9361 | 3736 | 4404 | 4404 |
| ბორჯომი | 10 | 100 | 18933 | 3709 | 14838 | 14838 | 15217 | 0 | 0 |
| ჩხოროწყუ | 6 | 68 | 6485 | 1297 | 5188 | 3355 | 4123 | 0 | 0 |
| დედოფლისწყარო | 4 | 100 | 1766 | 302 | 1206 | 1206 | 1206 | 0 | 0 |
| ფოთი | 18 | 100 | 13706 | 11095 | 46886 | 46886 | 49085 | 0 | 0 |
| გორი | 3 | 100 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| გურჯაანი | 21 | 100 | -44654 | 21 | 103 | 103 | 83 | 0 | 0 |
| ლაგოდეხი | 13 | 98,46 | -13017 | 1780 | 1341 | 1341 | 252 | 0 | 0 |
| მარნეული | 8 | 95,55 | -344 | 652 | 1256 | 1256 | 1256 | 0 | 0 |
| რუსთავი | 12 | 100 | -309277 | 2149 | 8595 | 8595 | 319 | 0 | 8276 |
| თბილისი | 151 | 96,82 | 7643957 | 1957271 | 7118048 | 7098917 | 5783098 | 3187 | 2010 |
| ვანი | 1 | 100 | 3418 | 683 | 2735 | 2735 | 2735 | 0 | 0 |
| წალენჯიხა | 7 | 100 | 1290 | 258 | 1032 | 1032 | 1032 | 0 | 0 |
| ჭიათურა | 32 | 100 | 9221 | 3860 | 15441 | 15441 | 15441 | 0 | 0 |
| წყალტუბო | 13 | 100 | 14670 | 2994 | 12176 | 12176 | 12176 | 0 | 0 |
| ხარაგაული | 7 | 100 | -17311 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ხობი | 5 | 100 | 452 | 379 | 73 | 73 | 73 | 0 | 0 |
| ხონი | 8 | 100 | 19883 | 3977,6 | 15805,4 | 15905,4 | 12722,4 | 3183 | 3183 |
| ზესტაფონი | 29 | 97,14 | 12182,22 | 2424,04 | 9734,18 | 9391,18 | 4635 | 31396 | 5099 |
| ზუგდიდი | 25 | 100 | 54937 | 10805 | 40689 | 40689 | 12119 | 0 | 0 |
| სულ | 406 | | 7377494 | 2008950 | 7316319 | 7295113 | 5919499 | 52646 | 33448 |

სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ საწარმოთა მონაცემთა ბაზის სრულყოფა გრძელდება, რადგანაც ინფორმაცია დინამიურია და პრივატიზების პროცესის გაღრმავებასთან ერთად სურათი იცვლება.

სახელმწიფო ქონების მართვის საკითხებში დეპარტამენტი მუშაობს ორი მიმართულებით:

პირველია — სააქციო საზოგადოებები, რომელთა საკონტროლო პაკეტები სახელმწიფო საკუთრებაშია. მათი საერთო რაოდენობაა 240 (იხ. ცხრილი №1). როგორც განვლილმა პერიოდმა გვიჩვენა, მეთვალყურეთა საბჭოებში სახელმწიფო წარმომადგენელთა მუშაობა მკვეთრად არადამაკმაყოფილებელია. არსებული ნორმატიული ბაზა სრულყოფას მოითხოვს. აგრეთვე, დასახვეწია წმინდა მოგების განაწილების მექანიზმი, რომელიც სახელმწიფოს კუთვნილი დივიდენდებისა და რეინვესტირებისათვის გან-

და სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებია.

მარტო ქ. თბილისში 650-მდე სახაზინო საწარმოა რეგისტრირებული. აქედან, თბილისის მუნიციპალიტეტის და ადგილობრივი გამგეობების მიერ დაფუძნებულია 106 სახაზინო საწარმო, ჯანდაცვის სამინისტრის მიერ — 177, ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრო — 36, შინაგან საქმეთა სამინისტრო — 23, მრეწველობის სამინისტრო — 38, რკინიგზის დეპარტამენტი — 29, კულტურის სამინისტრო — 14, სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო — 17, სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო — 24, საქწიგნი — 18, გეოლოგიის დეპარტამენტი — 17 (იხ. ცხრილი №2).

სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტიდან მიღებული ინფორმაციის დამუშავებით ირკვევა, რომ საქართველოში სახელმწიფო





წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული 80-მდე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა რეგისტრირებული (იხ. ცხრილი №3).

## 3. სახელმწიფო ქონების მართვის მექანიზმი

სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ საწარმოებში სახაზინო და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებში სახელმწიფო ნიშნავს დირექტორს, ხოლო სააქციო საზოგადოებებში კი წარმომადგენელს სამეთვალყურეო საბჭოში.

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსა და საქართველოს მოქალაქეს შორის იდება ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც საზოგადოების მმართველ ორგანოში სახელმწიფო ინტერესების წარმოდგენელი ინიშნება. აღნიშნულ პირს უნდა გააჩნდეს შესაბამისი პროფესიული გამოცდილება და კვალიფიკაცია. ამ პროცესში ჩართულია შესაბამისი დარგობრივი სამინისტრო და რეგიონალური ხელისუფლება.

სახელმწიფო ინტერესების წარმომდგენელი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება საზოგადოების წესდების, საწესდებო კაპიტალის, საქმიანობის სახის შეცვლისა და ლიკვიდაციის, მოგების გამოყენების, ფილიალების შექმნის, ქონების სარგებლობის უფლებით გაცემის, სესხებისა და კრედიტების აღების შესახებ, მესაკუთრესთან შეთანხმებით.

წარმომადგენელი ვალდებულია ექვს თვეში ერთხელ წარადგინოს ანგარიში და მასზე დაკისრებული მოვალეობების არაკეთილსინდისიერი შესრულების შემთხვევაში პასუხს აგებს მოქმედი კანონმდებლობით. ხელშეკრულება ტიპიურია და იდება ერთი წლის ვადით. ახალი ხელშეკრულების დადება პირთან, რომელიც უკვე ასრულებდა სახელმწიფო წარმომადგენლის ფუნქციებს საზოგადოების მმართველ ორგანოში, ხდება მის მიერ გაწეული მუშაობის შეფასების და ბიუჯეტთან დროულად ანგარიშსწორების (გადასახადების გადახდის ჩათვლით) საფუძველზე.

## 4. სახელმწიფო ქონების მართვაში არსებული პრობლემები და მათი დაძლევის გზები

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების უდიდესი ნაწილი არაეფექტურად ფუნქციონირებს ან საერთოდ წამგებიანია.

უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში საქართველოში მიმდინარე რთულმა სოციალურ-პოლიტიკურმა პროცესებმა გავლენა მოახდინეს ეკონომიკის განვითარებაზე. სტატისტიკური ანალიზიდან ირკვევა, რომ პრივატიზებულ საწარმოთა დაახლოვებით 40% საერთოდ არ ფუნქციონირებს. პირველ ეტაპზე საბაზრო ინფრასტრუქტურისადმი შედარებით ადვილად ორიენტირებადი და ნაკლებ ფინანსურ დანახარჯებთან დაკავშირებული საწარმოები პრივატიზირდა, ამდენად სახელმწიფო საკუთრებაში ძირითადად ნაკლებრენტაბელური და მსხვილი ობიექტები დარჩა.

სამარი მოქმედებებისა და სოციალური კატაკლიზმების პერიოდში ხელისუფლება იძულებული გახდა ახალ სამეურნეო სისტემაზე სწრაფად გადასულიყო, რამაც სოციალურ ჯგუფებს შორის ერთგვარი დაძაბულობა და ინტერესთა კონფლიქტი გამოიწვია.

**სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების უდიდესი ნაწილი არაეფექტურად ფუნქციონირებს ან საერთოდ წამგებიანია.**

ნაჩქარევი პრივატიზაციის პროცესისას სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ობიექტების მოვლა-პატრონობას ნაკლები ყურადღება ექცეოდა. პოლიტიკური სტაბილურობის დამყარების მიზნით, ხშირად ხელისუფლება საწარმოების ამოქმედებას უცხოური კრედიტებისა და დახმარებების საშუალებით ახდენდა. ჩვენი მონაცემებით, სხვადასხვა სფეროში არსებული საწარმოების სახელმწიფო ბიუჯეტისადმი დავალიანება 600 მლნ ლარს აღემატება.

**სხვადასხვა სფეროში არსებული საწარმოების სახელმწიფო ბიუჯეტისადმი დავალიანება 600 მლნ ლარს აღემატება.**

პრაქტიკულად, 1998 წლის ბოლომდე სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ქონებზე სრულყოფილი ინფორმაცია არ არსებობდა და გაურკვეველი იყო თუ კონკრეტულად რომელი სახელმწიფო უწყება აგებდა პასუხს აღნიშნული ქონების არაეფექტურ მართვაზე. სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო, ძირითადად, პრივატიზაციის მიმდინარე საკითხებით იყო დაკავებული.

მწირი ფინანსური რესურსების პირობებში, სახელმწიფო უწყებები სახელმწიფო ქონების ბაზაზე სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოებს აფუძნებდნენ, რომელთა ფუნქციონირება აღნიშნული მმართველი კლასის ინტერესებს ემსახურებოდა. სახელმწიფო ბიუჯეტში შესატანი თანხები გარკვეულ მმართველ ჯგუფებზე ნაწილდებოდა.

უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში სახელმწიფო ქონების უკანონოდ გასხვისების მრავალი ფაქტები დაფიქსირდა.

არსებობდა ორი ქვესექტორი — პირველი, რომელიც გადაჭარბებით ასრულებდა სოციალისტურ გეგმებს, ნაკლები ხარისხითა და

სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები

ცხრილი №3

| რეგიონი | რაოდენობა | სახ.სახ. წილი(%) | სამი წლის მოგება სულ | მოგ.გადასახადი ბიუჯეტში | წმინდა მოგება | წმინდა მოგების გადასახადი | წარმოების განვითარებაზე | დივიდენდების გაცემაზე | სახელმწიფოს კუთვ. დივიდენდები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| აბაშა | 4 | 100 | 3033 | 606 | 2027 | 2027 | 2027 | 0 | 0 |
| ასპინძა | 2 | 100 | -23645 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ახალქალაქი | 1 | 100 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ფოთი | 1 | 100 | 3748 | 750 | 2998 | 2998 | 2998 | 0 | 0 |
| მარნეული | 2 | 100 | 192 | 38 | 154 | 0 | 154 | 0 | 0 |
| რუსთავი | 1 | 100 | -7262 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| თბილისი | 43 | 89,81 | 22578280 | 4708989 | 22811729 | 22753359 | 18962988 | 1500 | 790 |
| ვანი | 2 | 100 | 279 | 56 | 223 | 0 | 223 | 0 | 0 |
| წალენჯიხა | 1 | 100 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ჭიათურა | 1 | 100 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| წყალტუბო | 9 | 100 | 125 | 25 | 100 | 100 | 100 | 0 | 0 |
| ხარაგაული | 2 | 0 | -25630 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ხობი | 3 | 100 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ხონი | 2 | 100 | 355 | 71 | 284 | 284 | 227 | 57 | 0 |
| ზესტაფონი | 3 | 80 | -7536 | 213 | 850 | 850 | 0 | 850 | 850 |
| სულ | 77 | | 22521939 | 4710748 | 22818364 | 22759618 | 18968717 | 2407 | 1640 |

ზემოაღნიშნული პრობლემების აღსაკვეთად ხელისუფლებას მოუხდა რადიკალური ზომების მიღება. საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 13 სექტემბრის №603 განკარგულების შესაბამისად დაიწყო სახელმწიფო წილებრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოთა მონაცემთა ბაზის ფორმირება, ხოლო სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტსა და დარგობრივ სამინისტროებს ქონების მართვის სამინისტროს შესაბამისი მონაცემებით უზრუნველყოფა დაევალათ. შემდგომში გაუქმდა ქვეყანაში მომრავლებული სახაზინო აწარმოები, რომლებიც სახელმწიფო თუ მუნიციპალურ ბიუჯეტებს გაუმართლებელ ფინანსურ ვალდებულებებს აკისრებენ.

**უმთავრესი პრობლემა საწარმოების მენეჯმენტის დაბალი დონეა, ხოლო შესაბამისი უწყების მიერ დანიშნული სახელმწიფო წარმომადგენელი, ხშირ შემთხვევაში, პოსტსაბჭოური მენტალიტეტისა და უნარ-ჩვევების მატარებელი პირია.**

სახელმწიფო ქონების მართვის საკითხებში სერიოზული პრობლემები და ნაკლოვანებებია. უმთავრესი პრობლემა საწარმოების მენეჯმენტის დაბალი დონეა. შესაბამისი უწყების მიერ დანიშნული სახელმწიფო წარმომადგენელი, ხშირ შემთხვევაში, პოსტსაბჭოური მენტალიტეტისა და უნარ-ჩვევების მატარებელი პირია.

პოსტსაბჭოურ სახელმწიფო სექტორში

ეფექტურობით გამოირჩეოდა და ძირითადად წითელი ორდენების მისაღებად იყო აუცილებელი. გაცილებით წარმატებულად ფუნქციონირებდა საწარმოს შიგნით არსებული ე.წ. მარცხენა ანუ ჩრდილოვანი სექტორი და მიღებული შემოსავალი მმართველ კასტაში ნაწილდებოდა.

დღეისათვის მდგომარეობა, პრაქტიკულად, არ შეცვლილა. საწარმოების ხელმძღვანელები წარმატებულად აგრძელებენ პოსტსაბჭოურ ტრადიციებს და საერთო სახელმწიფოებრივ ინტერესებზე მაღლა ვიწრო კონიუნქტურულ ინტერესებს აყენებენ.

ეკონომიკის სამინისტროს მონაცემებით, ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი 40-45%-ს, ხოლო ექსპერტული შეფასებებით კი 60-70%-ს აღწევს. ბუნებრივია, ამ უკანასკნელ მონაცემში სახელმწიფო საწარმოების არალეგალური შემოსავლებიც შედის.

ქვეყნის ხელისუფლებას სახელმწიფოს



ბიულეტენი №30 სექტემბერი 1999 წ.

სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოების მდგომარეობა
1998 წლისა და 1999 წლის I კვარტლის მონაცემებით

ცხრილი №4

| დარგი | საწ-ების ჯგუფები აქტივის ოდენობის მიხედვით | საწ-ების რაოდენობა | დასაქმებულთა რაოდენობა (საშ) | საშუალო ხელფასი | საშუალო წლიური ბრუნვა (ათასი ლარი) | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | საბალანსო მოგება (საშ) | საწარმოო მარაგები (საშ) | ფულადი საშუალებები (საშ) | ანგარიშსწორება დებიტორებთან (საშ) | ანგარიშსწორება კრედიტორებთან (საშ) | რენტაბელობა (მაქს) | რენტაბელობა (მინ) | მოგება აქტივზე (მაქს) | მოგება აქტივზე (მინ) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ენერგეტიკის სექტორი | <100,000 | 7 | 80 | 37,8 | 86902 | | | | 450 | 124508 | 83450 | 9772 | 7380 | 6153 | 284966 | 302354 | -0,377 | -0,378 | 1,370 | -0,542 |
| | 100,000-200,000 | 14 | 68 | 45,8 | 719 | | | | 165 | 305736 | 320315 | -2613 | 16506 | 364 | 864121 | 741082 | 0,301 | -0,612 | 0,250 | -0,408 |
| | 200,000-400,000 | 9 | 80 | 42,0 | 746 | | | 5,7 | 701 | 654386 | 729163 | -45701 | 12840 | 22617 | 1424780 | 1105687 | 0,008 | -0,250 | 0,013 | -0,656 |
| | 400,000-1,000,000 | 9 | 114 | 36,8 | 2510 | | | | 1128 | 810280 | 534676 | -58600 | 169637 | 45432 | 3124577 | 2615084 | 0,285 | -0,671 | 0,100 | -0,429 |
| | 1,000,000-2,000,000 | 5 | 121 | 144,1 | 2449 | | | | 6000 | 2962545 | 622189 | 80401 | 90331 | 1344 | 10868265 | 1214253 | 0,546 | -0,236 | 0,187 | -0,211 |
| | 2,000,000-10,000,000 | 2 | 126 | 138,0 | 900 | 1 | 7339 | | 27000 | 14871504 | 213274 | 208756 | 106144 | 53660 | 5668837 | 481950 | 3,130 | -0,465 | 0,264 | -0,015 |
| | 10,000,000> | 1 | 854 | 141,9 | 64000 | 1 | 188400 | 19223 | 23000 | 222570 | | -1350 | 10886 | 43 | 110181 | 63806 | | | 0,000 | 0,000 |
| | არ არის მონაცემი | 2 | 153 | 14,0 | 308 | | | | | | | | | | | | | | | |
| I რიგის საწარმოები | <100,000 | 0 | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 100,000-200,000 | 3 | 19 | 51,2 | 1200 | | | | | 48840 | | | 45411 | 3 | 181598 | 18947 | | | | |
| | 200,000-400,000 | 1 | | | | | | | | 582254 | 15388 | -18731 | 105477 | 5 | 772 | 988 | -1,217 | -1,217 | -0,048 | -0,048 |
| | 400,000-1,000,000 | 3 | 91 | 107,9 | 7500 | 1 | 24 | 32,632 | 5000 | 1491640 | 130284 | -101688 | 265994 | 746 | 234658 | 61712 | -0,089 | -8,110 | -0,040 | -0,208 |
| | 1,000,000-2,000,000 | 2 | 340 | 211,4 | 2000 | 1 | 30000 | | 15000 | 2576073 | 1108561 | 89573 | 2283380 | 12474 | 381806 | 264315 | 0,081 | 0,081 | 0,068 | 0,068 |
| | 2,000,000-10,000,000 | 2 | 373 | 108.5 | 1000 | | | | 300 | 6535277 | | -209054 | 3803377 | 38031 | 498280 | 117045 | | | 0,002 | -0,078 |
| | 10,000,000> | 3 | 2378 | 103.8 | 5000 | 1 | 2000 | | 10000 | 35627950 | 3875450 | -2866031 | 17098335 | 131369 | 4791320 | 20551496 | 0,105 | -0,280 | 0,008 | -0,178 |
| | არ არის მონაცემი | 2 | 120 | 16,0 | | | | | | 1787999 | | | 326730 | 691503 | 10332119 | 10663321 | | | | |
| გაზის მეურნეობა | <100,000 | 5 | | | | | | | | 115886 | 77127 | -10510 | 12939 | 783 | 4080264 | 2963174 | -0,062 | -0,992 | 0,000 | -0,322 |
| | 100,000-200,000 | 4 | | | | | | | | 397849 | 34205 | -4639 | 12005 | 913 | 522452 | 476687 | 0,081 | -0,620 | 0,053 | -0,167 |
| | 200,000-400,000 | 3 | | | | | | | | 723226 | 1140 | -487 | 15124 | 703 | 33035 | 32904 | -0,944 | -0,944 | 0,003 | -0,004 |
| | 400,000-1,000,000 | 2 | | | | | | | | 771606 | 5414 | -14479 | 11967 | 194 | 261 | 7042 | -0,406 | -0,406 | -0,002 | -0,061 |
| | 1,000,000-2,000,000 | 0 | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 2,000,000-10,000,000 | 0 | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 10,000,000> | 0 | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | არ არის მონაცემი | 0 | | | | | | | | | | | | | | | | | | |

ჩამოყალიბების პროცესში მრავალი სოციალური ჯგუფის ინტერესების გათვალისწინება უწევს. დღეს საქართველოში პრიმატი აქვს მინიჭებული პოლიტიკას ეკონომიკასთან შედარებით, ანუ არ არსებობს პოლიტიკური ნება. მსხვილი საწარმოების და ორგანიზაციების ხელმძღვანელებად ხშირად ინიშნებიან მყარი ფინანსური და სოციალური სტატუსის (კლანის) მქონე პირები, რომელთაც რეგიონის ან მთლიანად ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე გავლენა გააჩნიათ.

ქვეყანაში ეკონომიკურ-სამართლებრივი სისტემა ჩამოყალიბების პროცესშია, სახელმწიფო ადმინისტრაციული მექანიზმი დაუხვეწავ და ურთიერთგამომრიცხავ კომპონენტებს შეიცავს. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო წარმომადგენლების პასუხისმგებლობის მექანიზმი ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობასაც ითვალისწინებს, ხოლო სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების შესახებ მონაცემთა სრული ბაზის 1998 წლამდე პრაქტიკულად არ არსებობის გამო, დიდია თვითნებობისა და უპასუხისმგებლო გადაწყვეტილებების მიღების რისკი.

მნიშვნელოვანი პრობლემაა საწარმოო პროცესის უმთავრესი კომპონენტის, მარკეტინგის არარსებობა.

პოსტსაბჭოური საწარმოები პროდუქციის დაბალი ხარისხით გამოირჩეოდნენ, ამიტომ ორიენტირებულნი იყვნენ შიდა ბაზარზე. საბჭოთა კავშირის საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილეობის პროცესიდან ნათელია, რომ პრაქტიკულად ავტარქიის პირობებში მოქმედი სახელმწიფო ნედლეულისა და შედარებით მაღალი ხარისხის პროდუქციის ექსპორტს მესამე მსოფლიოს ქვეყნებში აწარმოებდა.

ტრადიციული სამეურნეო კავშირების მოშლის შემდეგ, „მოძმე“ რესპუბლიკებთან მჭიდროდ დაკავშირებული საქართველოს სამეურნეო სისტემა აუცილებელი ნედლეულისა და გასაღების ბაზრის გარეშე დარჩა. სტატისტიკურ მასალაზე დაყრდნობით, 1991 წელთან შედარებით, მრეწველობაში წარმოებული პროდუქცია 1995 წელს მხოლოდ 16%-ს შეადგენდა. ბუნებრივია, აღნიშნულმა სოციალურ-ეკონომიკურმა პრობლემებმა საწარმოების ეფექტიანობასა და ფუნქციონირებაზე მწვავედ იმოქმედა. უკანასკნელი ექვსი წლის განმავლობაში მსხვილი სამრეწველო ობიექტების უმრავლესობა არასრული დატვირთვით და არასრული წლის განმავლობაში მუშაობს. სახელმწიფო ქონების ეფექტური მართვისათვის აუცილებელია სწორი მარკეტინგის, როგორც მულტიპლიკატორის როლის ამაღლება. სახელმწიფო საერთაშორისო ვალდებულებების გასტუმრება ქვეყნის ექსპორტზეა დამოკიდებული. ამ ფაქტის გათვალისწინებით, სამამულო საწარმოებმა რეორიენტაცია არასტაბილური და ნაკლები შემოსავლების მქონე დსთ-ს ბაზრებიდან ევროპისა და სხვა მოწინავე ქვეყნების ბაზრებზე უნდა მოახდინონ, რაშიც ევროპულ სტრუქტურებში და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაერთიანება დაგვეხმარება.

სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული
საწარმოების იურიდიულ-სამართლებრივ ფორმები

ცხრილი №5

| ორგანიზაც. იურიდიულ – სამართლებრივი ფორმის მიხედვით | რაოდ. სულ | მათ შორის მომგებიანი | | |
|---|---|---|---|---|
| | | რაოდ. | მათ შორის 10000 ლ-მდე | მათ შორის 100000 ლ-მდე |
| სააქციო საზოგადოება | 226 | 52 | 13 | 6 |
| შპს | 78 | 32 | 14 | 9 |
| სახაზინო საწარმო | 406 | 167 | 29 | 9 |
| სულ | 710 | 251 | 56 | 24 |

სახელმწიფომ მაგალითი უნდა აიღოს კერძო სექტორში წარმატებით მოქმედ საწარმოთა რესტრუქტურიზაციის კომპანიისაგან (CERMA). შესაძლებელია განხორციელდეს გერმანულ ეკონომიკურ თეორიაში გავრცელებული პრივატიზაცია „ფართო გაგებით“, რაც სტრატეგიული ინვესტიციების მოზიდვას და სახელმწიფო საკუთრების საერთაშორისო კომპანიებისათვის მართვის უფლებით გადაცემას გულისხმობს.

უკვე პრივატიზებულ საწარმოებში და სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ორგანიზაციებში ფინანსური პრობლემები მწვავედ დგას. მძიმე ეკონომიკური სიტუაციის გამო, მწირი სახელმწიფო ბიუჯეტი მხოლოდ სოციალური ხასიათის ღონისძიებები ფინანსირდება და ამ ეტაპზე ეკონომიკური პოლიტიკის მძლავრი ბერკეტი — ფისკალური სახელმწიფო მექანიზმი, პრაქტიკულად, არ ფუნქციონირებს. გარდა ამისა, კერძო სექტორს, ძირითადად, მცირე მოკლევადიანი ხასიათის ფინანსური რესურსები გააჩნია. არადა საწარმოების ასამუშავებლად და გარკვეული დონის რენტაბელობის მიღწევისათვის, მინიმუმ ოთხი-ხუთი წელია საჭირო. გარდამავალი პერიოდის მთავარ დამახასიათებელ ფაქტორად საფინანსო და რეალურ სექტორებს შორის დისბალანსი და არაკოორდინირებული მოქმედება შეგვიძლია დავასახელოთ.





„შოკური თერაპიის“ მეთოდით ეკონომიკის ტრანსფორმაციის უმთავრესი პრობლემა ეკონომიკაში რეალური სექტორის მიმართ საბანკო სექტორის უნდობლობაა. საწარმოთა უმრავლესობაში მიმდინარე პრობლემებს ვიწრო, საბანკო მენეჯმენტის კუთხით უყურებენ და ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ, სოციალურ და საკანონმდებლო ხასიათის პრობლემებს არ ითვალისწინებენ.

საქართველოში არსებული მცირე ბიზნესის ხელშეწყობისა და განვითარების ფონდის, რომლის ფინანსური სახსრები საკმაოდ მწირეა, ძირითადადი აქცენტი კერძო სექტორის წვრილი მეწარმეობის ხელშეწყობაზეა. ამასთან, იმ უზარმაზარ პრობლემებთან შედარებით, რასაც ქვეყნის მასშტაბით არსებული გიგანტი სახელმწიფო საწარმოები განიცდიან, ესოდენ მცირე რესურსები ზღვაში წვეთია.

ჩვენი აზრით, სახელმწიფომ, ბიუჯეტის საშუალებით, საგადასახადო შემოსავლების ზრდის პირობებში რეალური სექტორის ამუშავებისათვის გაცილებით მეტი რესურსები უნდა გამოიყენოს, რადგან სწორედ ამ მოქმედებითაა შესაძლებელი სწრაფი ეკონომიკური ზრდისა და სოციალური დასაქმების პრობლემის გადაჭრა.

მომგებიანი სააქციო საზოგადოებები

ცხრილი№6

| რეგიონი | რაოდენობა | მ.შ. 10000 ლარზე მეტი წმინდა მოგებით | მ.შ. 100000 ლარზე მეტი წმინდა მოგებით | სახ. სახ. წილი (%) | სამი წლის მოგება სულ | მოგების გადასახადი ბიუჯეტში | წმინდა მოგება | წარმოების განვითარებაზე | დივიდენდების გაცემაზე | სახელმწიფოს კუთვნილი დივიდენდები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ახალციხე | 1 | | | 100,00 | 3113 | 623 | 2490 | 0 | 0 | 0 |
| ჩოხატაური | 1 | 1 | | 100,00 | 19255 | 3851 | 15404 | 1063 | 0 | 14341 |
| ჩხოროწყუ | 1 | | | 98,00 | 4125 | 825 | 3300 | 3300 | 0 | 0 |
| დედოფლისწყარ | 1 | | | 96,90 | 1152 | 230 | 922 | 0 | 922 | 887 |
| დმანისი | 1 | 1 | 1 | 100,00 | 149298 | 29858 | 119440 | 0 | 0 | 0 |
| გარდაბანი | 2 | 1 | 1 | 96,80 | 259716 | 51468 | 185654 | 2374 | 183280 | 179614 |
| კასპი | 1 | | | 0,00 | 42357 | 8471 | 33886 | 0 | 0 | 0 |
| ლანჩხუთი | 1 | | | 100,00 | 2442 | 488 | 1954 | 0 | 0 | 0 |
| მარნეული | 1 | | | 49,25 | 913 | 183 | 730 | 730 | 0 | 0 |
| მცხეთა | 2 | | | 98,25 | 77483 | 15496 | 61987 | 0 | 0 | 0 |
| ოზურგეთი | 1 | | | 96,25 | 635 | 127 | 508 | 0 | 19 | 488 |
| ქუთაისი | 4 | 2 | 1 | 60,98 | 634266 | 108654 | 525612 | 171197 | 90995 | 48318 |
| რუსთავი | 3 | 2 | | 99,00 | 151196 | 30239 | 120957 | 80633 | 8178 | 2642 |
| სენაკი | 1 | | | 36,00 | 0,43 | 0 | 0,3 | 0 | 0 | 0 |
| თბილისი | 3 | 2 | 1 | 100,00 | 862323 | 172464 | 689859 | 672318 | 17541 | 17541 |
| თეთრიწყარო | 1 | | | 96,90 | 1152 | 230 | 922 | 0 | 922 | 887 |
| ტყიბული | 1 | 1 | 1 | 100,00 | 249694 | 49939 | 199755 | 199755 | 0 | 0 |
| ვანი | 1 | | | 100,00 | 3473 | 695 | 2778 | 2778 | 0 | 0 |
| წალკა | 1 | 1 | 1 | 100,00 | 218755 | 43755 | 175000 | 0 | 0 | 0 |
| ჭიათურა | 1 | | | 41,75 | 911 | 182 | 729 | 729 | 0 | 0 |
| წყალტუბო | 1 | | | 97,68 | 1759 | 352 | 1407 | 0 | 1407 | 1365 |
| ხარაგაული | 2 | | | 0,00 | 5045 | 1009 | 4436 | 2120 | 1916 | 542 |
| ხაშური | 1 | | | 0,00 | 105 | 21 | 84 | 0 | 0 | 0 |
| ხელვაჩაური | 11 | 1 | | 38,31 | 148064 | 88975 | 74857 | 40268 | 32220 | 14723 |
| ხონი | 2 | 1 | | 99,00 | 15857 | 3172 | 12685 | 8879 | 3806 | 3806 |
| ზესტაფონი | 4 | | | 41,53 | 11835 | 2366 | 9468 | 5295 | 2306 | 2526 |
| ზუგდიდი | 2 | | | 33,56 | 29409 | 1369 | 28040 | 3599 | 17031 | 9287 |
| სულ | 52 | 13 | 6 | | 2894333 | 615042 | 2272864 | 1195038 | 360543 | 296967 |

ფინანსური რესურსების მოზიდვის ერთ-ერთი მძლავრი საშუალება განვითარებულ ქვეყნებში ფასიანი ქაღალდების ბაზარია. იგი საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი აუცილებელი ინსტრუმენტია. საქართველოში 1998 წელს ფასიანი ქაღალდების ბაზრის (სახაზინო ვალდებულებები) ჩამოყალიბების მცდელობა იყო, მაგრამ მსოფლიოში განვითარებული გლობალური ეკონომიკური კრიზისი ჩვენ ქვეყანაზეც აისახა. საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის ჩამოყალიბება სახელმწიფო და პრივატიზებულ საწარმოთა უმრავლესობის ფინანსური პრობლემების დაძლევას შეუწყობს ხელს.

პრობლემაა. სახელმწიფო და კერძო მეწარმე ბოლომდე ვერ აცნობიერებენ საკუთრების არსს. გარდამავალ პერიოდში სახელმწიფომ, პრაქტიკულად, უარი თქვა საკუთარ საბაზრო ინტერესებზე.

დღეისათვის საქართველოში არ არსებობს არცერთი უწყება, რომელიც რეალურადაა დაკავებული სახელმწიფო ქონების მართვის საკითხებით. ამავე სახელწოდების სამინისტროს, განიცდის რა პროფესიული კადრების სიმწირეს, ძირითადად არანორმალური ტემპებით უწევს მიმდინარე განსახელმწიფოებრიუბის საკითხების უზრუნველყოფა. სახელმწიფო წილების, აქციების მართვის დეპარტამენტი, ძირითადად, მონაცემთა

1998 წელს წმინდა მოგების მქონე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები

ცხრილი №7

| რეგიონი | რაოდენობა | მ. შ. 10000 ლარზე მეტი წმინდა მოგებით | მ. შ. 100000 ლარზე მეტი წმინდა მოგებით | სახ.სახ. წილი (%) | საბ.წლის მოგება სულ | მოგებიდასახადი ბიუჯეტში | წმინდა მოგება | წარმოების განვითარებაზე | დივიდენდების გაცემაზე | სახელმწიფოს ქუთ. დივიდენდები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| აბაშა | 1 | | | 100 | 3033 | 606 | 2027 | 2027 | 0 | 0 |
| ფოთი | 1 | | | 100 | 3748 | 750 | 2998 | 2998 | 0 | 0 |
| მარნეული | 1 | | | 0 | 192 | 38 | 154 | 154 | 0 | 0 |
| თბილისი | 23 | 14 | 9 | 92 | 23309510 | 4727063 | 22884029 | 19035288 | 1500 | 790 |
| ვანი | 1 | | | 0 | 279 | 56 | 223 | 223 | 0 | 0 |
| წყალტუბო | 1 | | | 100 | 125 | 25 | 100 | 100 | 0 | 0 |
| ხონი | 1 | | | 100 | 355 | 71 | 284 | 227 | 57 | 0 |
| ზესტაფონი | 3 | | | 73 | 1209 | 244 | 974 | 0 | 974 | 974 |
| სულ | 32 | 14 | 9 | | 23318451 | 4728853 | 22890788 | 19041017 | 2531 | 1764 |

სახელმწიფო საწარმოების არაეფექტური ფუნქციონირების შემდგომ პრობლემად მიგვაჩნია გაკოტრების შესახებ კანონის რეალურად არ მუშაობა. ის საწარმოები, რომლებსაც გააჩნიათ დიდი რაოდენობით კრედიტორული დავალიანება ბიუჯეტის თუ კერძო სექტორის წინაშე და გადახდის უუნაროდ გვევლინებიან, სამწუხაროდ, „მუშაობას" აგრძელებენ. გაკოტრების შესახებ კანონის მოქმედებას მრავალი პოლიტიკური თუ სოციალური ფაქტორი უშლის ხელს. ხელისუფლება თავს იკავებს საწარმოთა ლიკვიდაციისგან, რადგან მოსახლეობის რეფორმებისადმი რადიკალურად განწყობილი ნაწილის წინაშე იმიჯის შელახვა არ სურს. ეს ფაქტორი კი რეფორმებს, კერძოდ, პრივატიზების პროცესს აფერხებს, ხოლო საწარმოები, რომელთა ბაზაზეც შესაძლებელი იყო უფრო მცირე სახის ორგანიზაციების ამუშავება, რეანიმაციის პირობებში აგრძელებენ მოღვაწეობას.

მთავარი პრობლემა, რომელიც ამ ეტაპზე მთელი სიცხადით წარმოჩინდა, კვაზისაკუთრების

ბაზის შექმნითა და დამუშავებითაა დაკავებული. იგი საწარმოების წინაშე მდგარ ამოცანებს ვერ წყვეტს.

დღეისათვის სახელმწიფო ქონება მრავალდარგობრივია, შესაბამისად, ამა თუ იმ სფეროში პოლიტიკას ახორციელებდეს ერთი უწყება, ხოლო სახელმწიფო ინტერესებს გამოხატავდეს მეორე, გარკვეულწილად აბსურდულია. ასეთ პირობებში უწყებათა შორის ინტერესთა კონფლიქტის და მიმდინარე პოლიტიკის შეუსაბამობის საშიშროება იქმნება.

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროდან მოპოვებული მონაცემები სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების, ამ შემთხვევაში მისი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოების მდგომარეობის, მიმდინარე პროცესების, განვითარებისა თუ დაკნინების, პროგრესული თუ რეგრესული პროცესების ამსახველ სრულყოფილ სურათს არ იძლევა. მიუხედავად ამისა, ჩვენ შევეცდებით არსებული მონაცემების საფუძველზე გამოვიტანოთ ზოგადი დასკვნები, წარმოვაჩინოთ





საქართველოს რეალობისათვის დამახასიათებელი პრობლემები და კანონზომიერებები.

მდგომარეობა და კომერციული ბანკების მიერ მათი დაკრედიტების და ნდობის კუთხით

1998 წელს წმინდა მოგების მქონე სახაზინო საწარმოები

ცხრილი №8

| რეგიონი | რაოდენობა | მ. შ. 10000 ლარზე მეტი წმინდა მოგებით | მ. შ. 100000 ლარზე მეტი წმინდა მოგებით | სახ.სახ. წილი (%) | საბ.წლის მოგება სულ | მოგებიდასახადი ბიუჯეტში | წმინდა მოგება | წარმოების განვითარებაზე | დივიდენდების გაცემაზე | სახელმწიფოს ქუთ. დივიდენდები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| აბაშა | 1 | | | 100 | 1195 | 239 | 956 | 0 | 0 | 0 |
| ასპინძა | 5 | | | 100 | 13564 | 2715 | 10856 | 190 | 10476 | 10476 |
| ბაღდათი | 6 | | | 100 | 13327 | 2339 | 9361 | 3736 | 4404 | 4404 |
| ბორჯომი | 2 | 1 | | 100 | 18546 | 3709 | 14838 | 14830 | 0 | 0 |
| ჩხოროწყუ | 5 | | | 68 | 6485 | 1297 | 5188 | 4123 | 0 | 0 |
| დედოფლისწყარ | 2 | | | 100 | 1766 | 302 | 1206 | 1206 | 0 | 0 |
| ფოთი | 9 | 2 | | 100 | 61445 | 11095 | 46886 | 49085 | 0 | 0 |
| გურჯაანი | 1 | | | 100 | 124 | 21 | 103 | 83 | 0 | 0 |
| ლაგოდეხი | 3 | | | 100 | 1676 | 1780 | 1341 | 252 | 0 | 0 |
| მარნეული | 1 | | | 100 | 3264 | 652 | 1256 | 1256 | 0 | 0 |
| რუსთავი | 3 | | | 100 | 11216 | 2149 | 8595 | 319 | 0 | 8276 |
| თბილისი | 77 | 23 | 4 | 97 | 9080326 | 1957271 | 7118048 | 5783098 | 3187 | 2010 |
| ვანი | 1 | | | 100 | 3418 | 683 | 2735 | 2735 | 0 | 0 |
| წალენჯიხა | 1 | | | 100 | 1290 | 258 | 1032 | 1032 | 0 | 0 |
| ჭიათურა | 3 | 1 | | 100 | 19302 | 3860 | 15441 | 15441 | 0 | 0 |
| წყალტუბო | 4 | 1 | | 100 | 14670 | 2994 | 12176 | 12176 | 0 | 0 |
| ხობი | 1 | | | 100 | 452 | 379 | 73 | 73 | 0 | 0 |
| ხონი | 5 | | | 100 | 19883 | 3978 | 15805 | 12722 | 3183 | 3183 |
| ზესტაფონი | 23 | | | 96 | 12182 | 2424 | 9734 | 4635 | 31396 | 5099 |
| ზუგდიდი | 14 | 1 | | 100 | 55945 | 10805 | 40689 | 12119 | 0 | 0 |
| სულ | 167 | 29 | 4 | | 9340077 | 2008950 | 7316319 | 5919112 | 52646 | 33448 |

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სახელმწიფო წარმომადგენლი მესაკუთრეს (ქონების მართვის სამინისტროს) ანგარიშებთან ერთად წარუდგენს ბალანსს, მოგება-ზარალის ფორმას და აუდიტის დასკვნას (არსებობის შემთხვევაში აუდიტის კონფიდენციალურ დასკვნასაც). წარმოდგენილი ფინანსური დოკუმენტები ხშირ შემთხვევაში შეიძლება არასრულად ასახავდეს საწარმოს მიმდინარე შიდა ეკონომიკურ მდგომარეობას. დღეისათვის საკმაოდ მომრავლდა აუდიტორთა რაოდენობა, რომელთა კვალიფიკაცია და პროფესიული მომზადების დონე ხშირ შემთხვევაში არადამაკმაყოფილებელია და მხოლოდ პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ გაცემული ლიცენზიით შემოიფარგლება. ხშირად არასწორი და ტენდენციური აუდიტორული დასკვნით მახინჯდება საწარმოების რეალური საფინანსო

გარკვეული სირთულეები იქმნება.

შევისწავლეთ და დავამუშავეთ დაახლოვებით 50-მდე სახელმწიფო წარმომადგენლის ანგარიში, რომელსაც სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში ექვს თვეში ერთხელ წარადგენენ. საწარმოებში სახელმწიფო წილებისა და აქციების აღრიცხვისა და მართვის დეპარტამენტის მიერ შეიმუშავებული ანგარიშის ფორმა, თავისი არსით, მეტად მარტივია და საწარმოს შესახებ ზოგადი მონაცემების შესწავლის შესაძლებლობას იძლევა. მასში მოცემულია საწარმოს იურიდიული მისამართი, ხელმძღვანელი პირების ვინაობა, მიმდინარე სამეურნეო საქმიანობის შესახებ ზოგადი ინფორმაცია, საწარმოს ორგანიზაციული და საწარმოო ინფრასტრუქტურა, ხოლო საწარმოს მიმდინარე საფინანსო-ეკონომიკური პრობლემები სრულად არ აისახება.

სახელმწიფოს (მესაკუთრესა) და მის წარმომადგენელს შორის მიუხედავად ასეთი მყიფე

ურთიერთობისა, ანგარიშის ფორმა ხშირად ნახევრად შევსებულია, რაც რესპოდენტის უპასუხისმგებლობასა და ზერელე დამოკიდებულებაზე მიუთითებს.

სახელმწიფო წარმომადგენელსა და მესაკუთრეს შორის (წელიწადში ორჯერ) დამყარებული ხანმოკლე ურთიერთობა მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ქონების მართვის სამინისტრო სიტუაციის პრაქტიკულად არ ფლობს. გარდა ამისა, ანგარიში წლის განმავლობაში ორგანიზაციის საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის ღრმა და დინამიური ანალიზის საშუალებას არ იძლევა. ხშირად, ანგარიშში მოცემული ინფორმაცია მოძველებული, ხოლო ჩამოყალიბებული მოსაზრებები არასრულია და სრულყოფილი დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას არ იძლევა.

თამამად შეიძლება ე.წ. ანგარიშს დავარქვათ საწარმოს ანკეტა.

ქვემოთ მოყვანილი სტატისტიკური მონაცემების ანალიზი სახელმწიფო წარმომადგენლების მიერ წარმოდგენილი ანგარიშებდან გამომდინარე ოფიციალურ ინფორმაციას ეყრდნობა. ამ შემთხვევაში გარკვეული შეცდომებისაგან და რეალური სინამდვილის დამახინჯებისაგან დაზღვეული არა ვართ. ხშირ შემთხვევაში კონიუნქტურული ინტერესებიდან გამომდინარე შემცირებულია ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა საწარმოს წლიური ბრუნვა, შრომის ანაზღაურება, წლიური მოგება, რეალიზაციიდან ამონაგები და ა.შ. ყოველივე ამას ადასტურებს საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის №257 ბრძანებულება „სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით მოქმედ საწარმოებში წმინდა მოგების განაწილებისას სახელმწიფო ინტერესების დაცვისა და სახელმწიფოს კუთვნილი დივიდენდების ბიუჯეტში ამოღების მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

საყურადღებოა, რომ შევისწავლეთ 49 სააქციო საზოგადოების ანგარიში, რომლებიც ძირითადად ენერგეტიკის დარგისა და პირველი რიგის საწარმოებს წარმოადგენენ. აღნიშნული რიცხვის სიმცირე განაპირობა იმ ფაქტმა, რომ დღესდღეობით ანგარიში მხოლოდ ორმოცდაათიოდე საწარმომ წარმოადგინა, მათი დიდი ნაწილი შეუვსებელია. ისედაც მცირე რაოდენობის პირობებში, კითხვების უმეტესობაზე (ძირითადად საზოგადოების მიმდინარე მდგომარეობისა და საქმიანობის შესახებ) პასუხი საერთოდ არ იყო გაცემული.

20 სააქციო საზოგადოების ანგარიშის შესწავლის საფუძველზე, მათ შეგვიძლია საწარმოს ანკეტა ვუწოდოთ. მის ტიპიურ ფორმაში მხოლოდ შემდეგი სახის ინფორმაციაა მოთხოვნილი: საზოგადოების დასახელება; საზოგადოების ხელმძღვანელი პირების ვინაობა; რეგისტრაციის ადგილი, თარიღი და ნომერი; საწარმოს დაკავებული ტერიტორია, დაშორება სარკინიგზო ხაზიდან, დაშორება საზღვაო პორტიდან; დასაქმებულთა რაოდენობა და საშუალო ხელფასი; გააჩნია თუ არა საწარმოს სარკინიგზო ჩიხი; რეალური სიმძლავრე, წარმოებული პროდუქციის მოცულობა, ბრუნვა; საჭირო ნედლეული და მისი მომწოდებლები; წარმოებული პროდუქცია და მისი გასაღების ბაზარი; აქვს თუ არა გაფორმებული ხელშეკრულებები; ყავს თუა რა ინვესტორები, ინვესტირებული თანხის ოდენობა; რა მოცულობის ინვესტიციას საჭიროებს ორგანიზაცია და სხვა ამგვარი ცნობები (იხ. ცხრილი №4). აქედან გამომდინარე, ანგარიშში მოცემული ცნობები საერთოდ არ ასახავს ორგანიზაციის ეკონომიკური მდგომარეობის დინამიკას, შესაბამისად, შეუძლებელია საუბარი საწარმოებში არსებულ მდგომარეობაზე.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების უმრავლესობა, განსაკუთრებით კი საწარმოები, რომელთა საკონტროლო პაკეტის მფლობელი სახელმწიფოა, სავალალო მდგომარეობაშია, არსებული მონაცემებით, საწარმოთა 80-90% წამგებიანია.

ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტებში სრულად უნდა აისახებოდეს ორგანიზაციის მიმდინარე ფინანსური მდგომარეობა (სწორი მონაცემების მითითებით). სამწუხაროდ, აღნიშნულ დოკუმენტებში არ აისახება მონაცემთა დინამიურობა, კერძოდ, არც ერთ ზემოხსენებულ დოკუმენტში და არც სახელმწიფო წარმომადგენლის ანგარიშში წარმოებული პროდუქციისა თუ მომსახურების მოცულობა წლების მიხედვით, ბრუნვა, რენტაბელობა და სხვა მაჩვენებლები არ აისხება. ჩამოთვლილი მონაცემების ცოდნა აუცილებელია მესაკუთრისთვის (ამ შემთხვევაში სახელმწიფოსთვის), რათა თვალნათლივ დაინახოს საკუთრებაში არსებული საწარმოების განვითარების ტენდენციები და პრობლემები, ამასთან, შეიმუშაოს გარკვეული სტრატეგია მათ გადასაწყვეტად.

დღესდღეობით სახელმწიფოს დამოკიდებულება მის საკუთრებაში არსებული საწარმოებისადმი, სამწუხაროდ, არ შეესაბამება მესაკუთრის დამოკიდებულებას, ხოლო საკუთრებაზე მისი უფლება ძირითადად პრივატიზაციაში — გაყიდვაში ან მართვის უფლებით გადაცემაში გამოიხატება.

აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპზე სახელმწიფო მის საკუთრებაში არსებული ქონების მართვას პრიორიტეტულ მიმართულებად არ ისახავს და კვალიფიცირებული საკმარისი კადრებიც არ გააჩნია. სრული ჭეშმარიტებაა, რომ აღნიშნული საწარმოები სერიოზულ რესტრუქტურიზაციას და მნიშვნელოვან ინვესტიციებს საჭიროებენ, რაც დღესდღეობით სახელმწიფოს არ ძალუძს. სწორედ ამ მიზეზის გამო ცდილობს სახელმწიფო კერძო





მფლობელობაში გადასცეს მისი ქონების უდიდესი ნაწილი და ამით თავიდან აიცილოს პასუხისმგებლობა საწარმოთა ფიზიკურ თუ მორალურ მდგომარეობაზე.

**დღესდღეობით სახელმწიფოს დამოკიდებულება მის საკუთრებაში არსებული საწარმოებისადმი, სამწუხაროდ, არ შეესაბამება მესაკუთრის დამოკიდებულებას, ხოლო საკუთრებაზე მისი უფლება ძირითადად პრივატიზაციაში — გაყიდვაში ან მართვის უფლებით გადაცემაში გამოიხატება.**

სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით არსებული ორგანიზაციების შესახებ ჩვენი ანალიზის უკეთ წარმოსადგენად ქვემოთ მოყვანილია სხვადასხვა ნიშნით დაჯგუფებულ საწარმოთა მონაცემები. განვიხილოთ სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოების ან ორგანიზაციების იურიდიულ-სამართლებრივ ფორმები.

**სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ჯამური წმინდა მოგება რამდენიმე ათეულ მილიონს უტოლდება. აღნიშნული თანხიდან სახელმწიფო ბიუჯეტში მხოლოდ 1640 ლარია ჩარიცხული.**

აღსანიშნავია, რომ პრივატიზაციის საწყის ეტაპზე სახელმწიფო საწარმოები გარდაიქმნენ სააქციო საზოგადოებებად, რომელთა შემდგომი განსახელმწიფოებრიობა სწორედ აქციათა გასხვისებით, კერძოდ, უფასოდ და 20% ფასდაკლებით, პირდაპირი მიყიდვის წესით, საბარათო, ფულადი და ნულოვანი აუქციონების საშუალებით მიმდინარეობდა. განხილული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა აქციათა კერძო საკუთრებაში გადასვლის და შემდგომი უპრობლემოდ მოძრაობის საშუალებას იძლევა. ამ მხრივ იგი უფრო მოქნილია, ვიდრე სხვა ფორმები. საფონდო ბირჟის ამოქმედების შემთხვევაში მათ კაპიტალის ფასიანი ქაღალდების ემისიის საშუალებით მოიზიდვის დამატებითი შანსი გაუჩნდებათ.

არსებული 226 სააქციო საზოგადოებიდან მარტო 52-ს აქვს წმინდა მოგება (ჯამში დაახლოებით 2271952 ლარი), საიდანაც სახელმწიფო ბიუჯეტში მხოლოდ 296080 ლარია ჩარიცხული (იხ. ცხრილი №6).

შპს-ების შესაძლებლობები ამ მხრივ (წილების გასხვისების თვალსაზრისით) შედარებით უფრო შეზღუდულია. მისი მეპაიეების ცვლილება შედარებით უფრო სხვაგვარად ხდება, ამდენად უფრო დაცულია გარეშე პირებისაგან. ეს ფაქტი აღნიშნულ ფორმას, სააქციო საზოგადოებასთან შედარებით, სხვადასხვა შემთხვევებში გარკვეულ უპირატესობასაც ანიჭებს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილი შპს-ების სიიდან ნათელია, რომ მათი დიდი ნაწილი არ წარმოადგენს ისეთი ორგანიზაციებს, რომელთა წილების გასხვისებაც სახელმწიფოსათვის არ იყოს მიზანშეწონილი.

მონაცემების თანახმად 78 სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილი შპს-დან (56-ში სახელმწიფოს წილი 100%-ია) თითქმის ნახევარს მოგების მიზერული ოდენობის მიუხედავად, მაინც აქვთ წმინდა მოგება. მხოლოდ რამდენიმე გიგანტი ორგანიზაციის (როგორიცაა შპს „საქართველოს რკინიგზა“, შპს „საქართველოს ელექტროკავშირი“, შპს „კავშირგაბმულობისა და ფოსტის ზედამხედველობის სამსახური“, შპს „რესპუბლიკური რადიოცენტრი“ და სხვა) წყალობით მათი ჯამური წმინდა მოგება რამდენიმე ათეულ მილიონს უტოლდება, თუმცა აღნიშნული თანხიდან სახელმწიფო ბიუჯეტში მხოლოდ 1640 ლარია ჩარიცხული (იხ. ცხრილი №7).

სახაზინი საწარმო, როგორც იურიდიულ-სამართლებრივი ფორმა მოქმედი კანონმდებლობის თანახმად საერთოდ არ არსებობს, ამდენად იგი საჭიროებს სტატუსის შეცვლას. ეს პროცესი უკვე მიმდინარეობს და 2000 წლამდე უნდა დამთავრდეს.

სახაზინო საწარმოების უმეტესობა ჯანდაცვის ობიექტებია. არსებული 406 სახაზინო საწარმოდან მხოლოდ 163-ია მომგებიანი. მათი წმინდა მოგება დაახლოვებით 7316319 ლარს შეადგენს, საიდანაც სახელმწიფო ბიუჯეტში დივიდენდების სახით მხოლოდ 33448 ლარია გადახდილი, მაშინ როცა მათი წილების დაახლოვებით 100% სახელმწიფოსია (იხ. ცხრილი №8).

ზემოთ მოყვანილი ინფორმაციიდან ჩანს, რომ სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი (უმეტეს შემთხვევაში 100%) ორგანიზაციები წმინდა მოგებას პირნათლად იღებენ და ანგარიშსწორებას სახელმწიფოსთან, როგორც მესაკუთრესთან არ აწარმოებენ. უმეტეს შემთხვევაში ორგანიზაციები მიღებულ წმინდა მოგებას თვითნებურად, მთლიანად წარმოების განვითარებაზე მიმართავენ და სახელმწიფო ბიუჯეტს საკმაოდ დიდ სახსრებს არიდებს, რაც კი ქვეყნისათვის აქტუალური პრობლემების გადაწყვეტას კიდევ უფრო შორეულ პერსპექტივად აქცევს.

უდავოა, რომ არსებული წმინდა მოგებები იმდენად მცირეა, ვერ უზრუნველყოფს მათი ორივე

მიმართულებით (წარმოების განვითარებაზე და დივიდენდების გაცემაზე) გამოყენებას, ეს თანხები ხშირ შემთხვევაში წარმოების განვითარებასაც ვერ უზრუნველყოფს. ამასთან, გასათვალისწინებელია სახელმწიფო ინტერესებიც — ესოდენ მწირი სახელმწიფო ბიუჯეტის არსებობისას მცირე თანხაც დიდი შეღავათი იქნება დაცული მუხლების დროულად შესრულებისათვის.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით არსებულმა ორგანიზაციებმა წარმოების განვითარების მიზნით წმინდა მოგების მიმართვისათვის უნდა წარადგინონ ბიზნეს-გეგმები ფინანსთა სამინისტროში და თანხების ზემოაღნიშნული მიზნით გამოყენება მხოლოდ თანხმობის შემთხვევაში შეუძლიათ. რეალურად ეს პროცედურა ხშირად არ არის დაცული და ორგანიზაციები თვითნებობას იჩენენ.

მიზანშეწონილი იქნება, სახელმწიფოსა და მისი წილობრივი მონაწილეობით არსებული ორგანიზაციების ინტერესების დაცვით, დადგინდეს გარკვეული მინიმალური ზღვარი წმინდა მოგებიდან, რომელიც აუცილებელი წესით გადაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში დივიდენდების სახით. ამასთან, გამკაცრდეს კონტროლი ორგანიზაციების მიერ წარმოების განვითარებაზე სახსრების მიმართვის პროცედურის შესრულებაზე. რაც შეეხება რენტაბელურ საწარმოებს, რომლებმაც მიიღეს წმინდა მოგება და ბიუჯეტში დივიდენდებიც გადაიხადეს, ჩვენი აზრით მიზანშეწონილი მთლიანად კოლექტივის ან თუნდაც ხელმძღვანელობის გარკვეული სახით წახალისება.

**სახელმწიფოსა და მისი წილობრივი მონაწილეობით არსებული ორგანიზაციების ინტერესების დაცვით, წმინდა მოგებიდან გარკვეული მინიმალური ზღვარი უნდა დადგინდეს. აღნიშნული თანხა კი სახელმწიფო ბიუჯეტში დივიდენდების სახით გადაირიცხოს.**

ამგვარი ღონისძიებები ხელს შეუწყობს საწარმოებში დისციპლინის, სახელმწიფოსადმი, როგორც მესაკუთრისადმი პასუხისმგებლობის ამაღლებას, ორგანიზაციის შემოსავლების არ დამალვას და სახელმწიფო ბიუჯეტში ამოღებას.

სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით არსებული ორგანიზაციებისადმი ისედაც უაღრესად დიდი ოდენობით დაგროვილი ფინანსური ვალდებულებების შესამცირებლად (რომელსაც იგი ცნობილი მიზეზების გამო მაინც ვერ ასრულებს) ვფიქრობთ მიზანშეწონილია არარენტაბელური, არასტრატეგიული ობიექტების პრივატიზება. ამ გზით ბიუჯეტში აკუმულირდება დამატებითი სახსრები და მომავალი ზრდის წინაპირობა შეიქმნება. ამისათვის საჭიროა შეიქმნას ამგვარი ორგანიზაციების სავარაუდო სია, შესწავლილ და გაანალიზებულ იქნას თითოეული მათგანის სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლები მიმდინარე და დროში ცვლილების, ორგანიზაციათა პერსპექტიულობისა და მათი ფუნქციონალური დანიშნულების თვალსაზრისით. ამ ინფორმაციის საფუძველზე უფრო მკვეთრად გამოხატული წარმოდგენა შეიქმნება მათი გაყიდვისა თუ მართვის უფლებით გადაცემის მიზანშეწონილობის შესახებ.

**საქართველოში მიმდინარე პრივატიზაციის პროცესი მსოფლიო მასშტაბით უფრო საჯარო უნდა გახდეს.**

ზემოაღნიშნულ ორგანიზაციათა რიცხვს შეიძლება დაემატოს ის რენტაბელური საწარმოებიც, რომლებიც კერძო მფლობელობაში არსებობისას სახელმწიფო ბიუჯეტს გადასახადების სახით მეტ შემოსავლებს მოუტანდა და მოსახლეობის დასაქმების შესაძლებლობა შეიქმნებოდა.

დღესდღეობით საქართველო საინვესტიციო სახსრების და საბაზრო ურთიერთობებში გათვითცნობიერებული პროფესიონალი კადრების მკვეთრ ნაკლებობას განიცდის. მიზანშეწონილია საქართველოში მიმდინარე პრივატიზაციის პროცესი მსოფლიო მასშტაბით უფრო საჯარო გახდეს. ამასთან, საჭიროა ქვეყანაში უახლესი ტექნოლოგიებით შემოსულ ინვესტორთა წახალისება, რადგან ისინი მთლიანად საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ვითარების გაჯანსაღებას უწყობენ ხელს.

საინტერესოა სააქციო საზოგადოებათა დაჯგუფება მათში სახელმწიფო წილის ოდენობის მიხედვით, საიდანაც ჩანს თუ როგორ საწარმოებში და რა ოდენობის წილები გააჩნია სახელმწიფოს სააქციო საზოგადოებებში. საზოგადოებები, სადაც სახელმწიფოს საკონტროლო პაკეტი გააჩნია, ხშირ შემთხვევაში წამგებიანია. 0-დან 10%-მდე სააქციო საზოგადოებათა ჯგუფში საერთოდ ყველა ორგანიზაცია არარენტაბელურია და სახელმწიფოსთვის ღირებული არაა. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია მათი აუქციონზე გატანა და საბაზრო ფასში გაყიდვა. იგივე შეიძლება ითქვას 70-დან 90%-მდე წილობრივ ჯგუფში მოხვედრილ სააქციო საზოგადოებებზეც, მათი პრივატიზებით ბიუჯეტში მნიშვნელოვანი თანხები აკუმულირდება.





## 5. სახელმწიფო ქონების მართვის მიმართულებები

1998-2000 წლების პრივატიზაციის ფართომასშტაბიანი გეგმის მიხედვით სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების კონკურსის წესით ან აუქციონით კერძო პირებზე მიყიდვა გრძელდება. განსახელმწიფოებრიობის პროცესის ეს ეტაპი 2000 წლის პირველ კვარტალში უნდა დამთავრდეს.

დღეისათვის უცხოელი ინვესტორების მიერ კონკურსის წესით შეძენილია 10 სააქციო საზოგადოების აქციათა პაკეტები, მათგან უცხოელი ინვესტორების მიერ საკონკურსო პირობების შესრულების მიმდინარეობა შესწავლილია შვიდ საზოგადოებაში. ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებები ინვესტორების მხრიდან უმრავლეს შემთხვევაში სრულდება. საფინანსო დოკუმენტებიდან ნათელია, რომ აღნიშნულ საწარმოებში პროდუქციის ზრდის ტემპი შეიმჩნევა და რეალიზაციიდან რენტაბელობის კოეფიციენტი, გასული წლების მაჩვენებლებთან შედარებით, მაღალია.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, მართვის უფლებით გადაცემულ სააქციო საზოგადოებათა უმრავლესობაში ხელშეკრულებით და ბიზნეს-გეგმით გათვალისწინებული პირობები ირღვევა.

1998 წელს ს\ს „ფოთი გემთსაშენის“ საწესდებო კაპიტალის 99,39% პრივატიზირდა კონკურსის ფორმით. მყიდველს დაევალა შემდეგი საკონკურსო პირობების შესრულება: 3 წლის განმავლობაში განახორციელოს 9 მლნ აშშ დოლარის ინვესტიციები, მათ შორის პირველ წელს 2,5 მლნ აშშ დოლარის ოდენობით; მყიდველს საწარმოზე რიცხული კრედიტორული დავალიანების 700 ათასი ლარის 2 წლის განმავლობაში დაფარვა დაეკისრა; ამასთანავე მყიდველმა დამატებით იკისრა ვალდებულება ცენტრალურ ბიუჯეტში 60 ათასი ლარი, ხოლო ადგილობრივ ბიუჯეტში 80 ათასი ლარი გადაეხადა.

მყიდველს უნდა განეხორციელებინა სოციალური პროგრამა, რაც სამუშაო ადგილების შენარჩუნებას და მუშა-მოსამსახურეთა სოციალური პირობების დაცვას ითვალისწინებდა. ყველა აღნიშნული პირობა მყიდველის მიერ შესრულებულია.

ს\ს „აისბერგის“ საწესდებო კაპიტალის 50,49% პრივატიზირდა კონკურსის ფორმით 1998 წელს. სახელშეკრულებო წესით მყიდველს დაეკისრა შემდეგი საკონკურსო პირობების შესრულება: საფინანსო, ტექნიკური, ტექნოლოგიური და სოციალური მიმართულებებით 3 წლის განმავლობაში5 მლნ ლარის ოდენობის ინვესტიციების განხორციელება; საწარმოს პროფილის 5 წლის ვადით შენარჩუნება და მუშა-მოსამსახურეთა სოციალური პირობების გაუმჯობესება.

ს\ს „რუსთავცემენტის“ საწესდებო კაპიტალის 50,86% პრივატიზირდა საინვესტიციო კონკურსის ფორმით. სახელშეკრულებო პირობებით მყიდველს დაეკისრა საწარმოს რეაბილიტაციის, ტექნიკური გადაიარაღებისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვა; არანაკლებ 7700 ათასი აშშ დოლარის ინვესტიციების 5 წლის განმავლობაში განხორციელება, მათ შორის ყოველწლიურად 1540 ათასი აშშ დოლარი. მყიდველს უნდა დაეფარა საწარმოს ვალები 1999 წელს.

ს\ს „მინა“ — ქსნის მინის ტარის ქარხნის აქციათა 76% საინვესტიციო კონკურსის ფორმით გაიყიდა. აქციათა შესყიდვის სახელშეკრულებო ვალდებულებით ინვესტორმა 4 წლის განმავლობაში 10 მლნ აშშ დოლარის ინვესტიცია უნდა განახორციელოს, აქედან პირველი წლის განმავლობაში 3 მლნ აშშ დოლარის ოდენობით; აგრეთვე უნდა შეინარჩუნოს საწარმოში არსებული მუშა-მოსამსახურეთა სამუშაო ადგილები.

ს\ს „ფოთითევზის“ აქციათა 96,53% საინვესტიციო კონკურსის ფორმით გაიყიდა. სახელშეკრულებო ვალდებულების შესაბამისად საწარმოს ბალანსზე რიცხული გემების შეკეთებისათვის მყიდველმა ერთი წლის განმავლობაში 1 მლნ აშშ დოლარის ინვესტიცია უნდა განახორციელოს. მყიდველმა სააქციო საზოგადოების სასესხო ვალდებულებათა დაფარვა და საწარმოს ვალებთან დაკავშირებული პრობლემების მოწესრიგება უნდა უზრუნველყოს.

ს\ს „ბაგრატიონი-1882“-ის აქციათა 75,955 საინვესტიციო კონკურსის ფორმით პრივატიზირდა. მყიდველს შემდეგი პირობების შესრულება დაეკისრა: 2 წლის განმავლობაში უნდა დაესაქმებინა საზოგადოების თანამშრომელთა 70%; 3 წლის განმავლობაში საზოგადოებაში ინვესტიციის სახით განეხორციელებინა 10 მლნ აშშ დოლარის ინვესტიცია.

ს\ს „მეტეხის აგურის“ აქციათა საკონტროლო პაკეტის 51,04% კომერციული კონკურსის წესით, შემდეგი საკონკურსო პირობებით გაიყიდა: 1997-1998 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტისა და სხვა დავალიანებების დაფარვა; 3 წლის განმავლობაში არანაკლებ 3 მლნ აშშ დოლარის ინვესტიციების განხორციელება; სამუშაო ადგილების შენარჩუნება და მუშაკთა სოციალური დაცვის უზრუნველყოფა 5 წლის ვადით.

ს\ს „კასპიცემენტის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ აქციათა პაკეტის 50,59% წარმოდგენილი ბიზნეს-გეგმის საფუძველზე მართვის უფლებით გადაეცა შემდეგი საკონკურსო პირობების გათვალისწინებით: საფქვავი და საშრობი საამქროების აღდგენა და დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულება; წარმოებული პროდუქციის მოცულობის გაზრდა; 400-450 სამუშაო ადგილის შექმნა.

2000 წლისათვის ენერგეტიკის, კავშირ-

გაბმულობის და ტრანსპორტის სისტემის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების პრივატიზაცია უნდა დასრულდეს. სახელმწიფო საკუთრებაში ძირითადად ჯანდაცვის სფეროს, საბინაო-კომუნალური მეურნეობის და მრეწველობის სექტორის გარკვეული საწარმოები დარჩება.

ელექტროენერგიის მიწოდების საიმედოობის გაზრდის მიზნით სახელმწიფო ელექტროენერგეტიკის სექტორის განსახელმწიფოებრიობას ახორციელებს, რაშიც მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორები.

ელექტროენერგიის გამანაწილებელი კომპანიებისა და თბოელექტროსადგურების აქტივების პრავატიზება პირდაპირი მიყიდვის ფორმით, კონკურენციის საფუძველზე და გენერაციის სხვა აქტივების, ჰიდროელექტროსადგურების ბაზაზე დაფუძნებული სააქციო საზოგადოებების აქციების მართვის გადაცემა კონკურსის ფორმით განხორციელდება.

საქართველოს ზოგიერთი ელექტროგამანაწილებელი კომპანია და გენერაციის ობიექტები ინვესტორებს შესთავაზეს სამ ლოტად:

I და II ლოტში პრივატიზირდება ან მართვის უფლებით გადაეცემა ჰიდროელექტროსადგურები და სრსესები. III ლოტში დარჩენილი რაიონული ენერგოკომპანიების აქციათა პაკეტებია. მათი განსახელმწიფოებრიობა აქციათა 75%-ის კონკურენტული პირდაპირი მიყიდვის გზით მოხდება.

ობიექტზე არსებული წესით დამაგრებული მიწის განკარგვის საკითხი „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ“ კანონის საფუძველზე უნდა გადაწყდეს.

საკონკურსო წინადადებების ან პირდაპირი მიყიდვის შემოთავაზების წარმოდგენის საბოლოო ვადა 1999 წლის 20 აგვისტოა.

აღსანიშნავია, რომ ენერგეტიკის, კავშირგაბმულობისა და ტრანსპორტის სექტორის საწარმოთა გარკვეული რაოდენობა მომგებიანია. ამ ფაქტის მიუხედავად, მათი განსახელმწიფოებრიობა მაინც განხორციელდება, რაც დადებით პერსპექტივად არ გვესახება.

წამგებიანი და დიდი კრედიტორული დავალიანების მქონე საწარმოები ძირითადად ნულოვან აუქციონებზე გაიყიდება, რაც ამ ეტაპზე ერთადერთი გამოსავალია.

სახელმწიფო ქონების მართვაში შექმნილი მდგომარეობა შეიძლება მკვეთრად უარყოფითად შეფასდეს. 1800-მდე ორგანიზაციიდან, სადაც სახელმწიფოს თავისი წილი გააჩნია, 90% წამგებიანია და არასრული დატვირთვით მუშაობს. სახელმწიფო ვერ აკონტროლებს და საწარმოებში მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაციას ვერ ფლობს, ხშირია წარმომადგენლების მხრიდან კომპეტენციის გადამეტებისა და საწარმოო შემოსავლების არადანიშნულებისამებრ გამოყენების ფაქტები.

დღეისათვის სახელმწიფო ადმინისტრაციულ სისტემას ბოლომდე არ აქვს გააზრებული თავისი ადგილი და როლი საბაზრო ურთიერთობათა სისტემაში. იქმნება შთაბეჭდილება თითქოს არსებული ქონების მიმართ სახელმწიფოს არ აქვს ჩამოყალიბებული მესაკუთრის ფსიქოლოგია, ამასთან არსებულ დონეზე შენარჩუნებას ან კერძო პირებზე გაყიდვას ცდილობს.

საქართველოში დარგობრივ სფეროში პოლიტიკის შემუშავებაზე პასუხისმგებელი კონკრეტული დარგის სამინისტრო, ხოლო მესაკუთრე ქონების მართვის სამინისტროა. „თამაშის წესებს“ საჯარო სამართლის ერთი იურიდიული პირი აწესებს, ხოლო ქონების მართვა მეორეს ევალება. ერთი მხრივ, არ ვართ დაზღვეული ქონების არასათანადო მართვისაგან, რადგან ქონების მართვის სამინისტრო მაღალკვალიფიციური კადრების ნაკლებობას განიცდის და სხვადასხვა პროფილისა და ფუნქციონალური დატვირთვის ორგანიზაციების მეთვალყურეობა უხდება, რაც პრაქტიკულად წარმოუდგენელია. მეორე მხრივ, მართვის და რეგულირების ეს განტოტვილი მექანიზმი არათანმიმდევრული პოლიტიკის გატარებას და უწყებებს შორის ინტერესთა კონფლიქტის შექმნას უწყობს ხელს.

ჩვენი აზრით, ქონების მართვის მექანიზმის დახვეწის კუთხით ძირეული ცვლილებები უნდა გატარდეს. დარგების მიხედვით სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების მართვა კონკრეტულმა სამინისტროება უნდა განახორციელონ. აღნიშნული ფაქტის დადებითი მომენტებია:

1. დარგობრივი სამინისტროები უკეთ იცნობენ ამ სფეროში მომქმედ საწარმოებში არსებულ პრობლემებს;
2. სამინისტროებში კონცენტრირებულია მარალკვალიფიციური სპეციალისტები, რომელთაც დარგის განვითარების პერსპექტივებზე წარმოდგენა გააჩნიათ;
3. ასეთ ვითარებაში დარგში მიმდინარე დადებით თუ უარყოფით ტენდენციებზე კონკრეტული პასუხისმგებელი გამოიკვეთება, რაც ჯანსაღი სახელმწიფო სექტორის ფორმირებისათვის სტიმულია;
4. ფისკალური პოლიტიკის გატარებით სახელმწიფო რეალურ სექტორში მიზანმიმართულ ინვესტირებას განახორციელებს, რითაც საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის გამჭვირვალობა ამაღლდება;
5. საბაზრო ეკონომიკის ადექვატური მმართველობითი აპარატის სტრუქტურის ჩამოსაყალიბებლად გარკვეულ წანაპირობა შეიქმნება.

დღეისათვის მომქმედი სახელმწიფო თუ კერძო საწარმოებისათვის ფულადი რესურსების





**დარგების მიხედვით საინვესტიციო ფონდები უნდა ჩამოყალიბდეს, რომელთა ფინანსური ბაზა სახელმწიფო ქონების პრივატიზაციიდან მიღებული და სახელმწიფო მომგებიანი საწარმოებიდან ბიუჯეტში ჩასარიცხი სახსრები იქნება.**

ნაკლებობა უმწვავესი პრობლემაა. მიზანშეწონილად მიგვაჩნია საინვესტიციო ფონდების ჩამოყალიბება დარგების მიხედვით, რომლის ფინანსური ბაზა სახელმწიფო ქონების პრივატიზაციიდან მიღებული სახსრები და სახელმწიფო მომგებიანი საწარმოებიდან ბიუჯეტში ჩასარიცხი სახსრები იქნება.

ამ მიზნით მთავრობაში შესაძლებელია დამუშავდეს კანონპროექტი სახელმწიფო საინვესტიციო ფონდების შესახებ, სადაც ამ ფონდების შემოსავლის კონკრეტული წყაროები, ფონდის მმართველობითი აპარატის სტრუქტურა, ხარჯების პრიორიტეტული მიმართულებები და სხვა საკითხები განისაზღვრება. აღნიშნული ფაქტი აიძულებს ხელისუფლებას საინვესტიციო სფეროს მიმართულებით სერიოზული თანხები გადაისროლოს.

აღსანიშნავია, რომ ამ ფონდების რეალურად ამოქმედებისათვის საზოგადოების ფართო ფენების მონაწილეობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რითაც საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის კონტროლის და ზედამხედველობის გაწევის საშუალება შეიქმნება. საინვესტიციო ფონდების მმართველი საბჭოების წევრად სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების, მეცნიერების სფეროში მოღვაწე გამოცდილი და მაღალკვალიფიციური სპეციალისტების შერჩევა უნდა მოხდეს, ამ საქმიანობისათვის უცხოელი სპეციალისტების ჩართვაც შესაძლებელია.

# მსოფლიო ბანკის პროექტი — „სოფლის მეურნეობის განვითარება“

■ გიორგი ბარბაქაძე
დავით ლომიძე

ქვეყანაში მიმდინარე კარდინალური რეფორმები საზოგადოების ცხოვრების ყველა ასპექტს: ეკონომიკას, პოლიტიკურ სისტემას, სოციალურ ურთიერთობებს, სულიერ სფეროს — მოიცავს. იგი მოწოდებულია ჩამოყალიბებული სტრუქტურები და ინსტიტუტები განაახლოს, ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას ახალი დინამიზმი მიანიჭოს, ქვეყანაში არსებული დიდი პოტენციალი და გონი სრულად გამოიყენოს.

არსებული პრობლემების გადასაჭრელად აუცილებელია ეკონომიკური განვითარების ბოლო პერიოდში წარმოქმნილი ნეგატიური ტენდენციების დაძლევა. სოციალურ-ეკონომიკური პრობლემის მოგვარება განვითარების ახალი თვისობრიობის მიღწევას უკავშირდება, რაც თავისთავად კაცობრიობის მოწინავე გამოცდილებისა და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ბაზაზე წარმოების ყოველმხრივი ინტენსიფიკაციის, ეკონომიკის შემდგომ სტრუქტურულ და ინსტიტუციურ რეფორმირებას გულისხმობს. ეკონომიკური ზრდის თვისობრივად ახალი დონის უზრუნველყოფა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის შემადგენელი რგოლი და ძირითადი შინაარსია.

საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის განმტკიცების, ცივილიზებული სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების დამკვიდრების პერიოდში აგრარულ სამრეწველო და სასურსათო კომპლექსის რეფორმებისა და მდგრადი, დინამიკური განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს თანმიმდევრული, გრძელვადიანი პერიოდისათვის განსაზღვრული პოლიტიკის ეფექტურ განხორციელებას.

ეროვნული ეკონომიკის რეფორმების სახლმწიფო პროგრამის ძირითად ეკონომიკურ პრინციპებზე დაყრდნობით შემუშავებულია და პრეზიდენტის მიერ დამტკიცებულია აგრარული პოლიტიკის კონცეფცია. საბაზრო-ეკონომიკური ურთიერთობების პრინციპებზე (ეფექტიანი წარმოება, საერთაშორისო ბაზრებთან ინტეგრაცია, კერძო საკუთრება და თავისუფალი კონკურენცია) დაყრდნობით აგრარული პოლიტიკის კონცეფცია ძირითად სტრატეგიულ მიზნად, სასურსათო უსაფრთხოების მიღწევისა და აგროსამრეწველო პოტენციის სრულად გამოყენებით, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განმტკიცებას ისახავს.

ამასთან, განსაზღვრულია უახლოესი პერიოდის სამოქმედო პრიორიტეტებიც:

✓ სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარების ხელშეწყობა და სამომხმარებლო ბაზრის სურსათით უზრუნველყოფის გაუმჯობესება ადგილობრივი წარმოების სურსათით;

✓ აგროსასურსათო სექტორის რეფორმებისა და მისი საბაზრო-ეკონომიკურ გარემოში ეფექტიანი ადაპტირების პროცესის ხელშეწყობა;

✓ სასურსათო უზრუნველყოფის მდგომარეობის გაუმჯობესება მარცვლეულის დეფიციტის შევსებით (მოკლე ვადაში) და შემოსავლის უზრუნველმყოფი წარმოების დამკვიდრებით სოფლის მეურნეობის სექტორში;

✓ საექსპორტო პოტენციალის აღდგენის ხელშეწყობა და საგარეო-სავაჭრო ურთიერთობებში არსებული დისბალანსის ლიკვიდირებაში არსებითი წვლილის შეტანა.

საქართველოში სასურსათო პრობლემის წარმოშობა დაკავშირებულია პოლიტიკური კატაკლიზმების შედეგად ყოფილი ეკონომიკური სისტემის რღვევის პროცესებთან და არა სასოფლო-სამეურნეო პოტენციალის ნაკლებობასთან. დონორი ორგანიზაციები მიიჩნევენ, რომ საქართველო უმოკლეს ვადაში მოახერხებს სურსათის დეფიციტის დაძლევას. გაეროსა და ევროკომისიის მიერ შემუშავებულია სურსათით უზრუნველყოფის სხვადასხვა მასშტაბის პროგრამები, რომელთა მიზანია საქართველომ უმოკლეს ვადაში ადგილობრივი რესურსებით მოახერხოს სურსათზე მოთხოვნილების დაკმაყოფილება, შემდგომ აქცენტი საექსპორტო პოტენციალის ამოქმედებაზე გადაიტანოს.

აღნიშნული პოლიტიკის ფორმირებაში უდავოდ მნიშვნელოვანია იმ საერთაშორისო ორგანიზაციების წვლილი, რომლებიც ტექნიკური დახმარების სფეროში მოღვაწეობდნენ და კვლავ აგრძელებენ აქტიურ თანამშრომლობას. მათ მიერ სექტორის ანალიზმა და სტრატეგიული პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით შეუსრულებელმა სამუშაოებმა უდიდესი როლი შეასრულეს საბაზრო-ეკონომიკურ პირობებში ახალი ტიპის სამეურნეო სუბიექტების ჩამოყალიბებისა და სრულყოფისათვის.

ტექნიკური დახმარების პროექტების პრიორიტეტად იქცა აგროსასურსათო სექტორის რეფორმებისა და საბაზრო-ეკონომიკურ გარემოში მისიის ეფექტიანი ადაპტირების ხელშეწყობა. სწორედ ამ სტრატეგიულ მიზანს ემსახურება TACIS-ის, KNOW-HOW FUND-ის, FAO-ს, USAID-ის, მსოფლიო ბანკისა და სხვა დონორი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული ტექნიკური დახმარების პროექტები, რომლებიც ორიენტირებულია სექტორის რესურსული პოტენციალის შესწავლის, მისი სტრუქტურული და ინსტიტუციური რეფორმირების, სექტორის მიმზიდველ საინვესტიციო სფეროდ და კომერციულად სიცოცხლისუნარიან სისტემად ჩამოყალიბებისაკენ.

საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ტექნიკური დახმარების პროექტების განხორციელებით სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქციის შესაძლებლობანი მნიშვნელოვნად გაძლიერდა.

## საერთაშორისო დახმარებებმა აგრარული სექტორის ეკონომიკური პოტენციალის ზრდას შეუწყო ხელი.

რეფორმებმა და მნიშვნელოვანმა საერთაშორისო დახმარებამ აგრარული სექტორის ეკონომიკური პოტენციალისა და მატერიალური რესურსების დაგროვების ზრდას შეუწყო ხელი. მიღწეული პროგრესის მიუხედავად, სექტორის სრულყოფილი ამოქმედების შემზღუდველი პრობლემებიც აშკარად იკვეთება. აღსანიშნავია, რომ სოფლის მეურნეობაში სტრუქტურულ და ინსტიტუციურ რეფორმებს მრავალრიცხოვანი მცირე საწარმოო სტრუქტურების წარმოშობა მოჰყვა, მაშინ როდესაც, სექტორის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ორიენტირებული იყო მხოლოდ მსხვილ სახელმწიფო მეურნეობებზე. მცირე მეურნეობებისათვის რეალურად არსებული ტექნიკური და ტექნოლოგიური სისტემები აბსოლუტურად არაეფექტიანი გახდა, რის შედეგადაც ახალ სამეწარმეო სტრუქტურებში ტექნოლოგიური პროცესების მექანიზაციის დონე კატასტროფულად დაეცა. ამ ფაქტმა თავისთავად პროდუქტიულობისა და მოსავლიანობის, ინვესტიციების ეფექტიანობისა და შემოსავლების დონეზე იმოქმედა.

აღსანიშნავია გერმანიის ტექნიკური დახმარების (GTZ) - საპროექტო ბიუროს მოღვაწეობა. იგი გერმანიაში სპეციალური საგარანტიო ფონდის შექმნას აპირებს, რაც ქართველ ფერმერებსა და მომსახურე ცენტრებს ფონდის გარანტიების ქვეშ მწარმოებელი ქარხნებიდან კონსიგნაციისა და განვადება-ნასყიდობის წესით მათთვის სასურველი წარმოების საშუალებათა პირდაპირი შეძენის საშუალებას მისცემს.

განსაკუთრებული როლი სექტორის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მსოფლიო სტანდარტების დონეზე მოდერნიზების საქმეში იაპონური გრანტის პროექტებს (2KR) ეკისრებათ. იაპონური მხარე მზადაა ინტენსიური დახმარება გაუწიოს სექტორის რეაბილიტაციის პროცესს სპეციალური გრანტებისა და შეღავათიანი კრედიტების ინსტიტუტის გამოყენების გზით.

პროგრესმა რეალური გახადა აგროსასურსათო სექტორის საბანკო სტრუქტურების კომერციული ინტერესების სფეროში მოქცევის პერსპექტივა. კერძოდ, საქართველოში პირველად გახდა შესაძლებელი კომერციული საბანკო სექტორის გამოყენებით სასოფლო-სამეურნეო მიზნობრივი სესხების გაცემა. TACIS-ის პროექტის უდიდეს მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ კომერციული საბანკო სისტემის მეშვეობით მოხერხდა საწყისი სასტარტო საკრედიტო რესურსის (12 მლნ ლარი) სწრაფი და ეფექტიანი განაწილება, მიღწეულ იქნა სესხის დაბრუნების საუკეთესო მაჩვენებელი და მთლიანობაში, შესაძლებელი გახდა სექტორში 40 მლნ ლარამდე ღირებულების საკრედიტო რესურსის განაწილება. ამ მიმართებით წარმატებით ფუნქციონირებს მსოფლიო ბანკისა და IFAD-ის სოფლის-სამეურნეო და აგროგადასამამუშავებელი სექტორის განვითარების ხელშეწყობის პროექტი. იგი აგრეთვე ითვალისწინებს საქართველოში კრედიტის მართვის საბანკო სისტემის, სოფლად საკრედიტო კავშირების, მიწის ბაზრის განვითარების ხელშეწყობასა და კადრების მომზადებას. აღნიშნული მიზნების რეალიზებისათვის მთლიანობაში 26,5 მლნ აშშ დოლარის ღირებულების რესურსი მობილიზირდება, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში კომერციული საბანკო სისტემის გამოყენებით აგროსასურსათო სექტორისათვის მიზნობრივი სესხების გაცემა პირველად განხილული პროექტის ფარგლებში განახორციელდა და ამ სფეროში საბანკო ურთიერთობათა კულტურა დაინერგა. პრაქტიკამ აჩვენა, რომ საბანკო სისტემის აგროსასურსათო სექტორით დაინტერესება მოცემულ შემთხვევაში ძირითადად ბანკებისათვის იაფი საბანკო რესურსების მოზიდვის შესაძლებლობამ განაპირობა. დღის წესრიგში დადგა აგროსასურსათო სექტორის ფინანსირებისათვის დამოუკიდებელი საბაზრო ინსტიტუტის ჩამოყალიბების აუცილებლობა, რომელმაც სექტორი ხელმისაწვდომი საკრედიტო რესურსებით უნდა უზრუნველყოს. ევროკავშირი განახორციელებს საქართველოს აგროსასურსათო სექტორის დაკრედიტების სპეციალური სისტემის ჩამოყალიბების პროექტს, რომლის ფინანსური რესურსების მობილიზებაში მონაწილეობის მიღების სურვილს სხვა დონორი ორგანიზაციებიც გამოთქვამენ.

აღნიშნული პროგრამის წარმატებით განხორციელების საქმეში არსებითი როლი მსოფლიო ბანკის პროექტის მიწის რეგისტრაციის კომპონენტს ენიჭება, რომელმაც საფუძველი უნდა ჩაუყაროს საქართველოში მიწის ბაზრის ფორმირების პროცესს, რითაც მიწა ფერმერული

მეურნეობების კრედიტუნარიანობის გარანტად იქცევა. ასევე მნიშვნელოვანია საბაზრო ეკონომიკურ გარემოში საფინანსო ინსტიტუტებთან ეფექტური თანამშრომლობისათვის სექტორის სამეწარმეო სტრუქტურების მომზადება. მოცემულ მიზანს ემსახურებიან TACIS-ის ABC (აგრობიზნესის სასწავლო და საკონსულტაციო ცენტრების) პროექტი, KNOW HOW FUND-ის (კომპლექსური დახმარება საქართველოს სოფლის მეურნეობის კერძო სექტორისათვის) პროექტი, FAO-ს (სასწავლო კურსები სოფლის მეურნეობის შესაძლებლობათა გაზრდისათვის) პროექტები. გარდა ამისა, მსოფლიო ბანკმა სასოფლო-სამეურნეო წარმოების მეცნიერულ-ტექნიკური უზრუნველყოფისა და ფერმერული მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით დაიწყო პროექტის მოსამზადებელი სამუშაოები საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კვლევების დანერგვისა და სწავლების სისტემის მხარდასაჭერად.

მოგეხსენებათ, საერთაშორისო მიზნობრივი საკრედიტო არხების ფუნქციონირების სტრატეგიული მიზანი არა მხოლოდ ეკონომიკის რომელიმე ცალკეული სფეროს (კერძოდ, სოფლის მეურნეობის) განვითარების ხელშეწყობა, არამედ ერთიანი სისტემის აღორძინება და მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პროცესების განვითარებაა. საფინანსო ბაზარზე დონორი ორგანიზაციების მიერ მოწოდებული მნიშვნელოვანი მოცულობის რესურსების მიუხედავად, მათზე მოთხოვნა სამწუხაროდ მათ რეალურ მოწოდებას მნიშვნელოვნად აჭარბებს, რაც საკრედიტო რესურსებზე ჯერ კიდევ მაღალი საპროცენტო განაკვეთების ჩამოყალიბებას იწვევს. ამის შედეგად, საქართველოს მიერ შეღავათიან პირობებში მიღებული საკრედიტო რესურსები, საფინანსო ბაზარზე შექმნილი მძიმე კონიუნქტურიდან გამომდინარე, საბოლოო მომხმარებლამდე კომერციული საბანკო სისტემის მეშვეობით მაინც მძიმე საკრედიტო პირობებით ხვდება (მაღალი საპროცენტო განაკვეთები, მკაცრი საგარანტიო მოთხოვნები), რაც მნიშვნელოვნად ზღუდავს მსესხებელთა წრეს და ხშირ შემთხვევაში ახლადჩამოყალიბებულ მესაკუთრეთა (პოტენციურ მეწარმეთა) ფართო მასისათვის მიზნობრივ საკრედიტო არხებს ხელმიუწვდომელს ხდის.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს ალტერნატიული საკრედიტო ინსტიტუტების ჩამოყალიბება, რომლებიც მეწარმეთათვის, კერძოდ ფერმერთათვის, საკრედიტო რესურსებს უფრო ხელმისაწვდომს გახდის, რაც წვრილი და საშუალო მესაკუთრეთა ფენის ხარჯზე მნიშვნელოვნად გააფართოებს რეალურ მსესხებელთა სპექტრს. ამასთან, არსებით ზეგავლენას მოახდენს თვით საფინანსო ბაზრის კონიუნქტურაზე და იმუშავებს, როგორც სასესხო განაკვეთის შემცირებაზე ზემოქმედი ერთ-ერთი ეფექტიანი ბერკეტი.

სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო, დონორი ორგანიზაციები აქტიურად უჭერენ მხარს ფერმერთა კოოპერირების ახალ, პროგრესულ ფორმებს. ისინი სოფლად ფინანსური რესურსების მობილიზაციის უმნიშვნელოვანეს მიმართულებად ფერმერული საკრედიტო კავშირების ინსტიტუტის ფართოდ დანერგვასა და განვითარების ხელშეწყობას მიიჩნევენ. ამ მიმართულებით მისასალმებელია TACIS-ის, მსოფლიო ბანკისა და IFAD-ის პროექტების, საფრანგეთის მთავრობის მიერ გამოყოფილი დახმარებებით შექმნილი საკრედიტო კავშირების მიერ მიღწეული პროგრესისა და ახალი ურთიერთობების პოპულარიზაციის, დანერგვისა და გავრცელების ხაზით გაწეული ძალისხმევა. დონორთა მხარდაჭერით შექმნილი საკრედიტო კავშირები და ფერმერთა კოოპერატივები, სამწუხაროდ, სოფლის მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილს მოიცავს. სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისათვის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მიწის მცირე ფართობებს ფლობს, აღნიშნული მიწები საოჯახო მეურნეობათა აბსოლუტური უმრავლესობისათვის არსებობის ძირითადი ეკონომიკური საფუძველია. ფაქტია, მოსახლეობის აღნიშნული სეგმენტი ერთ-ერთ ყველაზე ეკონომიკურად დაუცველ სოციალურ ჯგუფს წარმოადგენს.

ჩვენ აბსოლუტურად ვიზიარებთ დონორი ორგანიზაციების მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სოფლად ოჯახების ცხოვრების დონე შესაძლებელია გაუმჯობესდეს, თუკი მათი საჭიროების შესაბამისი ფინანსური მომსახურების მიღების შესაძლებლობა იარსებებს. სამწუხარო რეალობაა, რომ დღეს ნაკლებადაა გავრცელებული ფინანსური სამსახურები, რომელთა მომსახურება ხელმისაწვდომია მოცემული ტიპის ოჯახური მეურნეობებისათვის. კომერციული ბანკები არ ემსახურებიან მოსახლეობის ამ სეგმენტს, ხოლო არასაბანკო ფინანსური დაწესებულებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობა ძირითადად მოსახლეობის სხვა სოციალურ ჯგუფებზეა ორიენტირებული.

აღსანიშნავია, რომ მცირე სასოფლო-სამეურნეო საოჯახო მეურნეობებისათვის ფინანსური მომსახურების ინსტიტუტების განვითარების მხარდამჭერი სპეციალური ფონდის ჩამოყალიბების პრობლემამ სასიცოცხლო აქტუალურობა შეიძინა.

მოგეხსენებათ, წარმოების რესტრუქტურიზაციის მიმდინარე პროცესები განაპირობებს შრომის დანაწილების პრინციპულად ახალი სტრუქტურის წარმოშობას. ეს კი ეროვნულ მეურნეობაში ახალი სამეურნეო სისტემის ჩამოყალიბების ობიექტურ საფუძველს





წარმოშობს და არსებითი როლი უნდა ითამაშოს სექტორის ფუნქციონირების შედეგების სრულყოფაში.

სექტორში მიმდინარე გარდაქმნებმა დაგვანახა, რომ არსებითი პრობლემები არა უშუალოდ წარმოების სფეროში, არამედ საწარმოო ინფრასტრუქტურის სისტემაშია კონცენტრირებული. მოცემული სისტემის არასაკმარისი განვითარება მნიშვნელოვნად ამცირებს საწარმოო პოტენციალის განვითარებისათვის გაწეული ნებისმიერი ძალისხმევის უკუგების ეფექტიანობას და დანაკარგების მაღალ დონეს იწვევს.

ზემოაღნიშნულ პრობლემატიკაზე აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა დონორ ორგანიზაციებთან. მოკლე ხანში სრულმაშტაბიან ფუნქციონირებას დაიწყებს FAO-სა და მსოფლიო ბანკის პროექტი, რომელიც საქართველოს სამელიორაციო სისტემების განვითარებაში დიდ წვლილს შეიტანს და, ამასთანავე, მათზე სამეთვალყურეოდ შესაბამის ლეგალურ ერთეულებს შექმნის. სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროში აქტიურად ამოქმედდა TACIS-ის საინფორმაციო ცენტრი, რომელიც გლობალური საინფორმაციო ქსელის მეშვეობით უზრუნველყოფს ინფორმაციის მოპოვებას გავრცელების ბაზრების, მარკეტინგის, ხარისხის კონტროლისა და მრავალი სხვა საკითხების შესახებ.

აგროსასურსათო სექტორში პროგრესი აშკარაა. დღის წესრიგში დგება სექტორის საექსპორტო პოტენციალის მაქსიმალური ათვისების პრობლემა. საქართველომ უნდა იზრუნოს ტრადიციული საექსპორტო ბაზრების აღდგენასა და გასაღების ახალი ბაზრების მოძიებაზე. იგი უახლოეს პერიოდში კვლავ უნდა იქცეს სურსათის ნეტო-ექსპორტიორ ქვეყნად.

ქართული პროდუქციის რეპუტაციის ასამაღლებლად დაწყებულია აქტიური ბრძოლა პროდუქციის ფალსიფიცირების წინააღმდეგ. აღნიშნული პრობლემა არა მარტო სახელს უტეხავს სამამულო პროდუქციას, არამედ ზიანს აყენებს მომხმარებლის ჯანმრთელობასაც. სანიტარიისა და ფიტოსანიტარიის პრობლემატიკის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროში „აირისის" და „ჯიპლაკის" შუამდგომლობით შეიქმნა სანიტარიისა და ფიტოსანიტარიის საინფორმაციო ცენტრი. მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენაა საქართველოს გაწევრიანება კვების პროდუქტების ხარისხის სტანდარტების შემუშავებული საერთაშორისო ე.წ. CODEX ALIMENTARIUS-ის კომისიაში, რითაც საქართველოს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებისათვის რეალური ნაბიჯი გადაიდგა.

## მიწის რეგისტრაციის გაჭიანურება ხელს უშლის მიწის ფერმერული აქტივების ძირითად ლიკვიდურ საყრდენად გადაქცევის პროცესს.

სოფლის მეურნეობის განვითარების ხელისშემშლელ ფაქტორთა შორის შეიძლება გამოვყოთ შემდეგი პრობლემები:

✓ მიწის საკუთრების გადაუწყვეტელი საკითხები. კერძოდ, მიწის რეგისტრაციის პროცესის გაჭიანურება. რის გამოც, ვერ ჩამოყალიბდა მიწის ბაზარი და იგი ვერ იქცა ფერმერული აქტივების ძირითად ლიკვიდურ საყრდენად;

✓ ფერმერთა მომსახურების სახეობათა ძალზედ შეზღუდული დონე. ეფექტიანი კვლევების, ახალი მეთოდების დანერგვის, განათლების სისტემების შემუშავების, თესლის ხარისხისა და მეთესლეობის განვითარებისაკენ მიმართული ღონისძიებების თანამედროვე მოთხოვნებთან შეუსაბამობას, დაბალი დონის ვეტერინარული მომსახურების სისტემას, ადგილობრივი ჯიშებისა და კულტურების გენეტიკური მრავალფეროვნების განადგურებას, მცენარეთა დაცვის მართვის კრიტიკულ მდგომარეობას, ნიადაგის ნაყოფიერებას და ეროზიასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან პრობლემებს, ნიადაგის დაცვისა და კონსერვაციის ღონისძიებების პროგრამის გადაუდებელ საჭიროებას ვგულისხმობთ;

✓ წარმოების საშუალებებისა და გადამამუშავებელი კომპლექსის საბოლოო პროდუქციის ბაზრის პრიმიტიული, უსუსური მდგომარეობა;

✓ ფინანსურ სექტორში სოფლის მეურნეობის, აგრობიზნესისა და აგრომრეწველობის მხარდაჭერის სურვილის ნაკლებობა;

✓ საკრედიტო რესურსებზე მაღალი განაკვეთების არსებობა, რაც ხელს უწყობს ფინანსური ინსტიტუტების მიერ სოფლის მეურნეობის დაბალი შემოსავლების მქონე სექტორად მიჩნევას;

✓ სექტორში დიდი რაოდენობით დაბალი კვალიფიკაციის მქონე მცირე სამეწარმეო სტრუქტურების წარმოქმნა. მწარმოებელთა, გადამამუშავებელთა, მომსახურების ბიზნესუნარის ნაკლებობა. სამეწარმეო გადაწყვეტილებათა პროცესში ორიენტაცია წარმოებაზეა და არა ბაზარზე. უმეტესწილად მოლოდინი იმისა, რომ წარმოების აღდგენა განაპირობებს ექსპორტის აღდგენას. ყოველივე ეს კონკურენტულ საექსპორტო გარემოში საქმიანობის გამოცდილების ნაკლებობამ და პოტენციური ბაზრების შესწავლის არასათანადო დონემ განაპირობა.

ყოველივე ზემოთ თქმული არ ნიშნავს რეფორმების წინა წლებში მიღწეული უდავოდ მნიშვნელოვანი შედეგების უარყოფას.

ჩამოთვლილი პრობლემები წარმოადგენს სწორედ იმ სფეროებს, რომელთაც უნდა შეეხოს სექტორში სახელმწიფო დანახარჯების პროგრამა, რათა ხელი შეეწყოს კერძო სექტორის განვითარებას. ამასთან, თანხებისა და მოცემულ სფეროში გამოცდილების ნაკლებობის გამო, ჩვენთვის სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს დონორებთან ინტენსიური თანამშრომლობა. ქვეყნისათვის მნიშვნელოვანია ტექნიკური დახმარების პროექტების განხორციელება. ამ პროცესმა უნდა უზრუნველყოს სტრუქტურული სრულყოფა, ინსტიტუციური რეფორმების შემდგომი განვითარება, კერძო სექტორის მომზადება და საბაზრო ეკონომიკასთან ადაპტირება.

**საკრედიტო რესურსებზე მაღალი განაკვეთის არსებობა სოფლის მეურნეობას დაბალი შემოსავლების მქონე სექტორად აქცევს.**

აგრარული სექტორის საერთაშორისო მხარდაჭერა ქვეყნის გადარჩენისა და კრიზისიდან გამოყვანის საწინდარია. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში არსებული სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის მაჩვენებელი ამ ეტაპზე აგროსამრეწველო სექტორის აღორძინებისათვის საჭირო დაფინანსების მინიმუმს, გამოსწორების იდეალურ შემთხვევაშიც კი, ვერ უზრუნველყოფს. უმთავრესი ამოცანა საერთაშორისო ორგანიზაციათა რეკომენდაციებსა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების კონცეფციურ მიდგომებს შორის არსებული აზრთა სხვადასხვაობის მინიმუმამდე დაყვანაა. სასურველია საბაჟო, საგადასახადო პოლიტიკის, მიწის ბაზრის ფორმირებასთან დაკავშირებული საკითხების პრობლემების დროულად მოგვარება. დღევანდელი საბიუჯეტო კრიზისის დაძლევა მხოლოდ საწარმოო სიმძლავრეების ამოქმედებითაა შესაძლებელი, ამასთან, სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილი გადამწყვეტი მნიშვნელობისაა.

**სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტი აგრარული სექტორისათვის მსოფლიო ბანკიდან 15 მლნ და სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდიდან 6,5 მლნ აშშ დოლარის სესხის გამოყოფას ითვალისწინებს.**

დღესდღეობით საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის ხელშეწყობის მრავალი ინიციატივა არსებობს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და ქვეყნებიდან, მათ შორისაა: მსოფლიო ბანკი, ევროკავშირი, გაერო, FAO, IFAD, აშშ-ს განვითარების სააგენტო, ასევე, იაპონია, გერმანია, საფრანგეთი, საბერძნეთი, იატალია, თურქეთი, დიდ ბრიტანეთი, ნიდერალანდის სამეფო, ჩინეთი.

საქართველოს მთავრობას და მსოფლიო ბანკსა და სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდს შორის დადებული საკრედიტო ხელშეკრულებები 1997 წლის ივლისში საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირდა.

ალინიშნული ხელშეკრულებები აგრარული სექტორისათვის მსოფლიო ბანკიდან 15 მლნ და სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდიდან 6,5 მლნ აშშ დოლარის სესხის გამოყოფას ითვალისწინებს. სესხის მიმღები მხარეა საქართველოს მთავრობა — სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო.

პროექტის განხორციელებამდე მსოფლიო ბანკის ექსპერტებმა ძირეულად შეისწავლეს საქართველოს აგრარული სექტორი, რის შედეგადაც, საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით, პროექტის მუშაობის ძირითადი მიმართულებები დამტკიცდა:

- კრედიტის გაცემა აგროსამრეწველო და გადამამუშავებელი საწარმოებისათვის;
- საკრედიტო კავშირების განვითარება სოფლად;
- მიწის რეგისტრაციის სისტემის დანერგვის პილოტ-პროექტის განხორციელება;
- სამეცნიერო კვლევა-ძიება და დანერგვა.

პროექტი თორმეტი წლის განმავლობაში (ოთხი წელი თითოეული ეტაპისათვის) სამ ეტაპად განხორციელდება. სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტი ცალკეული კომპონენტებისაგან შედგება, რომელთა ათვისების მიმდინარეობასაც ქვემოთ განვიხილავთ.

## I. საკრედიტო კავშირების განვითარების კომპონენტი

საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 16 სექტემბრის ბრძანებულებით, მსოფლიო ბანკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის განხილული პროექტის ჩარჩოებში, საკრედიტო კავშირების განვითარების ცენტრი შეიქმნა, რომლის ფუნქციებია:

- ✓ სოფლად საკრედიტო კავშირების შექმნისა და განვითარების ხელშეწყობა;
- ✓ საკრედიტო კავშირებისათვის რეგისტრაციის პროცესში (საჭირო იურიდიული დოკუმენტების მომზადება, შემდგომი კონსულტაციები) დახმარების გაწევა;
- ✓ საკრედიტო კავშირებისათვის ყველა სახის სამუშაო დებულების, ხელშეკრულებების და სხვა დოკუმენტების, საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების ფორმების მომზადება;
- ✓ საკრედიტო კავშირებისათვის





ტექნიკური დახმარების გაწევა, მათ შორის, ამ კავშირის წევრებისა და მმართველი პერსონალის სასწავლო პროგრამების მომზადება და შესრულება;

- ✓ საკრედიტო კავშირების საქმიანობის შესაბამის კანონთან, წესდებასთან და მარეგულირებელ ნორმატივებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;
- ✓ საკრედიტო კავშირების მონიტორინგი, მათი ფინანსური და სასესხო მდგომარეობის შესაფასებლად.

საბანკო სისტემის ჩამოყალიბების პროცესში ფინანსური რესურსების ალტერნატიული წყაროების ძიებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. სოფლის მეურნეობაში მისი ერთადერთი ფორმა საკრედიტო კავშირია (საფინანსო კოოპერატივი), რომელიც ევროპის სახელმწიფოებში გასული საუკუნის 60-იან წლებში შეიქმნა და დღეს მსოფლიოს ყველა განვითარებულ ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაკრედიტების მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს.

საქართველოში საკრედიტო კავშირების განვითარება მსოფლიო ბანკის პროექტით ხდება. დღეისათვის ფინანსური კოოპერაციის ამ ფორმით ევროგაერთიანებაც დაინტერესდა.

საკრედიტო კავშირი - კოოპერაციული საკრედიტო-საანაბრო ორგანიზაციაა, რომელიც ადამიანთა ნებაყოფლობითი გაერთიანებით იქმნება და წილობრივ პრინციპზეა აგებული. მისი მთავარი მიზანი კავშირის წევრების დანაზოგებით უზრუნველყოფა და სესხების გაცემაა. საკრედიტო კავშირი, აგრეთვე, კრედიტის წყაროა, რომელიც ნებისმიერი მნიშვნელოვანი მიზნისათვის გაიცემა. ასეთი კრედიტზე პროცენტი დაბალია.

საკრედიტო კავშირის საპაიო კაპიტალი გასასესხებელი ანუ კრედიტით გასაცემი თანხის ძირითადი წყაროა. ამიტომ საპაიო კაპიტალის გაზრდა საკრედიტო კავშირის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავია. ამ კავშირის წევრი სოფლად ყველა მოსახლე უნდა გახდეს. მათ საპაიო კაპიტალში წილი ორი ფორმით შეუძლიათ ჰქონდეთ: ერთი — ვადიანი საპაიო ანგარიში, რომლიდანაც თანხის გატანა მხოლოდ წინასწარ დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ შეიძლება; მეორე, მიმდინარე საპაიო ანგარიში, რომლიდანაც თანხის გატანა ნებისმიერ დროს შეიძლება. ორივე ანგარიშს პროცენტული სარგებელი ერიცხება, როგორც წესი, ვადიანზე დარიცხული პროცენტი მეტია მიმდინარეზე.

საკრედიტო კავშირის რომელიმე წევრზე სესხის გაცემაზე გადაწყვეტილების მიღებისას, გასათვალისწინებელია დასაფინანსებელი საქმიანობის ბუნება: როგორია მსესხებლის საიმედოობა სესხის დაბრუნების თვალსაზრისით, რა სახის გარანტიებს სთავაზობს, ალნიშნულს, როგორც წესი, მსესხებლის პირადი ქონების ფორმა აქვს.

საკრედიტო კავშირის სარეგისტრაციოდ საკმარისია გაერთიანდეს 20 კაცი. წევრი უნდა იყოს არანაკლებ 18 წლისა და ცხოვრობდეს სოფლად. აგრეთვე აუცილებელია სანოტარო წესით დამოწმებული განცხადება, სადაც მეანაბრე კისრულობს პასუხისმგებლობას კოოპერატივის წესდებით გათვალისწინებულ ვალდებულებებზე, ამასთან, სულ მცირე 10 ლარის ოდენობის საპაიო შესატანი ექნება. გამოიწერება სალაროს შემოსავლის ორდერი, სადაც ალნიშნულია, თუ ვისგან არის მიღებული პაი, მისი რაოდენობა, წევრის ნომერი და მიმდინარე საპაიო ანგარიშის ნიმერი. ალნიშნული ორდერი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი რჩება კოოპერატივში, მეორე ნაწილი — „ქვითარი" უბრუნდება მეპაიეს, პაის შეტანის დასტურად. მეპაიეს ასევე ეძლევა „საპაიო და სასესხო წიგნაკი".

საფინანსო კოოპერატივი თავის წევრზე 3 პირობით გასცემს კრედიტს:

1. სესხის ძირითად თანხას გადაიხდის ნაწილ-ნაწილ ან ერთად, ხოლო დარიცხულ პროცენტს - ყოველთვიურად;
2. სესხის ძირითად თანხას გადაიხდის სესხის ვადის გასვლისას, ხოლო დარიცხულ პროცენტს - ყოველთვიურად.
3. სესხის ძირითად თანხას, მასზე დარიცხული პროცენტთან ერთად გადაიხდის სესხის ვადის გასვლისას.

ამ სამი ვარიანტიდან არჩევანს მსესხებელი თავად გააკეთებს. გარდა ამისა, სესხის გაცემისათვის აუცილებელია სესხის რაოდენობის ადექვატური თანხის გირაო. და ბოლოს, მსესხებელს თავდებად უნდა დაუდგნენ საკრედიტო კავშირის წევრები, სამი კაცის ოდენობით.

ყოველივე ზემოთ ალნიშნული სასესხო განაცხადის პირველი ნაწილია, რის საფუძველზეც საკრედიტო კავშირის წევრი - მსესხებელი კრედიტს თხოულობს.

სასესხო განაცხადის მეორე ნაწილს საკრედიტო კავშირის მმართველი ავსებს. მასში ალნიშნულია მმართველის თანახმობა კრედიტის გაცემაზე, ვინაიდან მსესხებლის და თავდები წევრების საპაიო ანგარიშების ნაშთები განაცხადში ალნიშნულ მონაცემებს შეესაბამება, რაც მმართველის ხელმოწერით და ბეჭდით დასტურდება.

განაცხადის მესამე ნაწილი მოიცავს საკრედიტო კომისიის გადაწყვეტილებას განაცხადში მითითებული სესხის გაცემაზე, ორი პირობით:

1. თუ გადაწყვეტილება დადებითია, მაშინ მითითებული უნდა იყოს სესხის რაოდენობა, თვეში დასარიცხი პროცენტული განაკვეთი (3 პროცენტი), სესხის დაბრუნების ვადა და ჯარიმა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე (დასაფარი თანხის 0,2 პროცენტი);

2. თუ გადაწყვეტილება უარყოფითია, მაშინ აუცილებელია არგუმენტაცია.

სასესხო განაცხადის დასკვნით ნაწილში მოცემულია შეთანხმება მმართველსა და მსესხებელს შორის სესხის გაცემისა და დაფარვის განრიგის შესახებ, რომელიც დამოწმებულია მათი ხელმოწერებით.

განრიგში აღნიშნულია სესხის გაცემის თარიღი, სესხის ძირითადი ნაწილის პროცენტის დანამატით დაფარვის თარიღი და რაოდენობა, რაც სასესხო განაცხადის პირველ ნაწილში მოცემულ პირობას ემთხვევა.

საკრედიტო კავშირი არ არის მოგებაზე ორიენტირებული ორგანიზაცია. მისი შემოსავალი სესხზე დარიცხული პროცენტია, რომლის ძირითადი ნაწილით იფარება საპაიო კაპიტალზე დარიცხული პროცენტი, ხოლო დარჩენილი ნაწილი საკრედიტო კავშირის მიმდინარე ხარჯებს ხმარდება. საკრედიტო კავშირი არ უნდა მიისწრაფვოდეს საპაიო კაპიტალზე და სესხზე დარიცხული პროცენტული სხვაობის გაზრდისაკენ, რაც საკრედიტო კავშირს განასხვავებს ისეთი ფინანსური ორგანიზაციებისაგან, როგორიცაა ბანკი, საფინანსო კომპანია, სხვადასხვა სახის ფონდები და სხვა. თუმცა, სარგებელსა და დეპოზიტორზე გაცემულ პროცენტს შორის სხვაობა კოოპერატივის მოგებაა, ცხადია, რაც უფრო მეტია ეს სხვაობა, მით მეტია კოოპერატივის მოგებაც.

სესხის გაცემისათვის დგება „გასავლისა და გადარიცხვის ორდერი", სადაც მითითებულია წევრის ვინაობა და ნომერი, სესხის გაცემის მიზანი, რაოდენობა და თარიღი. სესხის გაცემის დამადასტურებელი საბუთი და საფუძველი — ორდერი მიმღებისა და გამცემის ხელმოწერით საკრედიტო კავშირში რჩება.

სესხის დაბრუნების შემთხვევაში კი ივსება „სალაროს შემოსავლის ორდერი", რომლშიც განსაზღვრულია მთლიანი თანხა პროცენტის ჩათვლით. სესხის დაბრუნების დასტურად გადამხდელს ეძლევა ქვითარი, რაც მიმღებისა და გადამხდელის ხელმოწერითაა დამოწმებული.

საკრედიტო კავშირის საქმიანობისათვის კავშირის წევრები საზოგადოებრივ საწყისებზე ირჩევენ გამგეობას. მისი ფუნქციაა საკრედიტო კავშირების მუშაობის საერთო ხელმძღვანელობა, რაც საკრედიტო კავშირის ეროვნული და ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად ხელმძღვანელობას და ჯანსაღი ბიზნესის ნორმების დაცვას გულისხმობს. გამგეობის წევრებს უნდა ესმოდეთ საკრედიტო კავშირის საქმინობის იდეოლოგია, იცოდნენ მისი მუშაობის წესი და საწესდებო ნორმები.

გამგეობის მთავარი ამოცანა კავშირის საქმიანობის ძირითადი წესების შეიმუშავებაა, რომლებიც უნდა შეიცავდნენ:

–დებულებებს ნაღდი ფულის მოძრაობისა და რეზერვების შესახებ;

–აუდიტორულ მოთხოვნებს;

–საკრედიტო კავშირის წევრების სწავლების წესს და მოსახლეობაში საგანმანათლებლო-სააგიტაციო მუშაობას;

–საკრედიტო კავშირის მომსახურების ჩამონათვალს;

–საკრედიტო კავშირის თათბირების ჩატარების გეგმას;

–მუშაკების ანაზღაურების განაკვეთს;

–სესხებზე ვალდებულებების შესრულების კონტროლის წესს;

–ფულადი შენატანების დაზღვევის და გირაოს ამოღების წესებს;

–ნაღდი ფულადი სახსრების და ინვესტიციების კონტროლს;

–ანაბრებსა და სესხებზე საპროცენტო განაკვეთებისა და დივიდენდების ოდენობას;

–ინფორმაციას საკრედიტო კავშირის საქმიანობისა და მომქმედი კანონმდებლობის შესაბამისობის შესახებ;

გამგეობის წევრები ირჩევენ თავმჯდომარეს, მის მოადგილეს და მდივანს. საკრედიტო კავშირის პრაქტიკული საქმიანობის ორგანიიზაციისთვის გამგეობა ნიშნავს მმართველს გარკვეული ხელფასით, რომელსაც თანამშრომლების დანიშვნის და გათავისუფლების უფლება აქვს.

კავშირის ყველა მუშაკთან ან საანგარიშო დოკუმენტებზე და თანხებზე მომუშავე პირთან ფორმდება შრომითი ხელშეკრულება, მათი ფუნქციების მინიშნებით.

არსებული ტრადიციის თანახმად, საკრედიტო კავშირში უნდა არსებობდეს სამი კომისია: საკრედიტო, სარევიზიო და განვითარების.

საკრედიტო კომისია იღებს გადაწყვეტილებას კავშირის წევრზე სესხის გაცემის შესახებ. სესხის გაცემის მთავარ კრიტერიუმად ითვლება:

✓საკრედიტო კავშირის წევრის პირადი თვისებები;

✓სესხის დაბრუნების შესაძლებლობა;

✓დამატებით უზრუნველყოფა ან გირაო, რომელიც შეიძლება სესხის დასაფარავად იქნას გამოყენებული.

სარევიზიო კომისია სწავლობს და აფასებს საკრედიტო კავშირის საქმიანობას და იძლევა რეკომენდაციას მისი მუშაობის გასაუმჯობესებლად.

განვითარების კომისიის ფუნქციაა საკრედიტო კავშირის წევრებისათვის კავშირის იდეოლოგიის ახსნა და პრაქტიკული მუშაობის სწავლება, საკრედიტო კავშირის წევრთა მოვალეობებისა და უპირატესობის განმარტება. ხშირად, საკრედიტო კავშირის განვითარების ამოცანებისა და საქმიანობაში ახალი წევრების ჩაბმის შესხებ გადაწყვეტილებას აღნიშნული კომისია იღებს, ამასთან, წევრების შეხედულებების შესახებ გამგეობას და მმართველს აწვდის ინფორმაციას. საკრედიტო კავშირის საბოლოო





მიზანი წევრების სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის ამაღლება და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაა.

კოოპერატივის მართვის უმაღლესი ორგანო კოოპერატივის წევრთა საერთო კრებაა. შენატანის სიდიდის მიუხედავად, ყოველ წევრს აქვს ერთი ხმა, საერთო კრებას იწვევს გამგეობა წელიწადში ერთხელ მაინც ან მეტჯერ, თუ ამას კოოპერატივის ინტერესები მოითხოვს. კრება ამტკიცებს წლიურ ბალანსს, განიხილავს გამგეობის, სამეთვალყურეო კომისიის, საკრედიტო კომისიის, დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიშებს და შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება წესდებაში ცვლილებების შეტანაზე.

**პროექტის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი სოფლად ახალი ტიპის ფულად-საკრედიტო ინსტიტუტის და საკრედიტო კავშირის დაფუძნებაა.**

საპაიო კაპიტალის ზრდა საკრედიტო კავშირის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავია. საპაიო კაპიტალი გაიზრდება ახალი წევრების შემოსვლით ან ძველი წევრების მიერ საკუთარი პაის გაზრდით. აღნიშნული კაპიტალის ზრდასთან ერთად, საკრედიტო კავშირს საშუალება ეძლევა გაზარდოს პროცენტული განაკვეთი წევრთა საპაიო შენატანზე და შეამციროს პროცენტული განაკვეთი სესხზე.

საკრედიტო კავშირის ჩამოსაყალიბებლად აუცილებელი თანხით, ბუნებრივია, საკრედიტო კავშირი ვერ შეძლებს მიღებული შემოსავლებით ხარჯების დაფარვას. ამიტომ საწყის ეტაპზე (1,5-2 წელი) მსოფლიო ბანკის მხრიდან გათვალისწინებულია ფულადი დახმარება მილიონი ლარის ოდენობით. ამ თანხით უნდა დაიფაროს როგორც კავშირის რეგისტრაციის, ასევე საკრედიტო კავშირის ფულად საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯებიც. ეს დახმარება გაგრძელდება სანამ საკრედიტო კავშირი საკუთარი ხაჯების დაფარვას შეძლებს.

მსოფლიო ბანკი დამატებით საკრედიტო კავშირისათვის გასცემს გარკვეული თანხის სესხს თუ საკრედიტო კავშირი აკმაყოფილებს დაწესებულ პირობებს. კერძოდ, თუ საკრედიტო კავშირის შენატანი კაპიტალი მიაღწევს 1000 ლარს, ხოლო წევრების რაოდენობა 50 კაცს, მსოფლიო ბანკი საკრედიტო კავშირს დამატებით ასესხებს 1000 ლარს (მსოფლიო ბანკის სესხზე საპროცენტო განაკვეთი საბაზრო მაჩვენებლის ტოლი იქნება). თუ შენატანი 3000 ლარია, მაშინ სასესხებელი თანხა 1,5-ჯერ აღემატება საპაიო კაპიტალს. ორი წლის შემდეგ, თუ საპაიო კაპიტალი 10.000 ლარს გადააჭარბებს, სასესხებელი თანხა 2-ჯერ მეტი იქნება საპაიო კაპიტალზე. საკრედიტო კავშირმა შეიძლება არც გამოიყენოს ეს შესაძლებლობა. ყველაფერი საკრედიტო კავშირის წევრების საკრედიტო მოთხოვნაზეა დამოკიდებული.

**საკრედიტო კავშირების წევრთა საერთო შენატანი ყოველ კვარტალში 160 პროცენტით იზრდება.**

საკრედიტო კავშირების მიმართულების ძირითადი მიზნებია:

1. სოფლად ახალი ტიპის ფულად-საკრედიტო ინსტიტუტის, საკრედიტო კავშირის დაფუძნება. მისთვის იურიდიულ-სამართლებრივი საფუძვლის მომზადება და ფინანსური მხარდაჭერა;

2. კონკრეტული ფერმერის, გლეხის საბაზრო-ეკონომიკურ პრინციპებზე დამყარებული მსოფლმხედველობისა და საკრედიტო კულტურის ჩამოყალიბება.

დღეს საქართველოში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ძირითადი მწარმოებელი გლეხია, მისი კრედიტზე მოთხოვნა კი იშვიათად აღემატება 1000 ლარს, ამასთან, არა აქვს გირაოსათვის საჭირო ლიკვიდური ქონება. აქედან გამომდინარე, გლეხს, თუნდაც მცირე კრედიტის მიიღების არანაირი შანსი არ ეძლევა. საკრედიტო კავშირი კი ერთ-ერთი გზაა — გლეხმა საკუთარი სოფლიდან გაუსვლელად მიიღოს ფინანსური დახმარების მინიმუმი.

პროექტის რეალურად განხორციელების საწყის ეტაპზე (1995-1998წწ) საქართველოს თითქმის ყველა რაიონში მოქმედებს 117 სასოფლო-საკრედიტო კავშირი, სადაც გაერთიანებულია 9013 ადამიანი 1130876 ლარის საერთო საპაიო კაპიტალით. მათ შორის, 17 საკრედიტო კავშირი დარეგისტრირებულია აჭარაში, 22 გურიაში, 29 იმერეთში, 18 კახეთში, 11 ქართლში, 12 სამეგრელოში, 5 სამცხე-ჯავახეთში და 3 რაჭაში. საკრედიტო კავშირებზე, მათი საპაიო კაპიტალის საპირისპიროდ, გათვალისწინებულია სესხის გაცემა. დღეისათვის 73 საკრედიტო კავშირზე გაცემულია 538600 ლარის ოდენობის კრედიტი. სესხი გაიცემა 2 წლის ვადით 24%-ით, ხოლო პირველი სესხი გაიცა 1998 წლის 23 იანვარს.[1]

აღსანიშნავია, რომ პროექტის განხორციელებისას 4 სწავლების კურსი ჩატარდა, სადაც 85 საკრედიტო კავშირის მმართველი გადამზადდა.

საკრედიტო კავშირების განვითარება პროექტით დაგეგმილზე მაღალი ტემპით

[1] წყარო: სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო, საერთაშორისო ორგანიზაციების მიმდინარე პროექტები, თბილისი, 1999 წლის მარტი.

მიმდინარეობს. ამ პერიოდის განმავლობაში საკრედიტო კავშირების წევრთა საერთო შენატანი ყოველ კვარტალში 160 პროცენტით იზრდება, ანალოგიური მდგომარეობაა წევრების რაოდენობის გაზრდის მხრივაც.

სესხი გაიცემა წევრთა სამეურნეო საქმიანობის დასაფინანსებლად, ძირითადად, საკრედიტო კავშირების წევრები თანხებს იყენებენ მსხვილფეხა საქონლის, საწვავის, თესლისა და სასუქის შესაძენად. ხშირად სამედიცინო დანიშნულების სესხიც გაიცემა, კერძოდ, დაფიქსირებულია შემთხვევები როდესაც სესხი გაიცა საკრედიტო კავშირის ან მისი ოჯახის წევრის ოპერაციის დასაფინანსებლდა.

**1999 წლის მაისისათვის სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტით დაგეგმილი 50 საკრედიტო კავშირის ნაცვლად შეიქმნა 134 და მათგან 122-ია მოქმედი.**

საკრედიტო კავშირების მეშვეობით ფულადი რესურსები გლეხისათვის ხელმისაწვდომი გახდა, ამასთან, სასეხო გადაწყვეტილებასაც თავად იღებენ.

ცხრილი №1

საკრედიტო კავშირების განვითარება[1]

| საკრედიტო კავშირი | რეალურად | დაგეგმილი |
|---|---|---|
| რეგისტრირებული | 134 | 50 |
| მოქმედი | 122 | 50 |
| წევრთა საერთო რაოდენობა | 10 267 | - |

**პროექტის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი აკრედიტებული კომერციული ბანკების საშუალებით საქართველოს აგროსამრეწველო საწარმოებისათვის გრძელვადიანი კრედიტების გამოყოფაა.**

II. საწარმოთა დაკრედიტების კომპონენტი

საწარმოთა დაკრედიტების მიზანია:

1. საბანკო სისტემის განვითარება, მათთვის ხელსაყრელი პირობებით საკრედიტო რესურსების გამოყოფა;

2. კომერციული ბანკების აგრარული სექტორისაკენ შემოტრიალება. სოფლის მეურნეობის საწარმოებთან მუშაობისათვის საჭირო გამოცდილების შეძენა და რაიონულ დონეზე ინფრასტრუქტურის შექმნა;

3. პროექტში აკრედიტებული კომერციული ბანკების საშუალებით საქართველოს აგროსამრეწველო საწარმოებისათვის გრძელვადიანი კრედიტების გამოყოფა.

**მსოფლიო ბანკის საკრედიტო რესურსიდან საწარმოების დაკრედიტებაზე 7,5 მლნ აშშ დოლარის განაწილებაა დაგეგმილი.**

მსოფლიო ბანკის საკრედიტო რესურსის საერთო თანხის, 15 მლნ აშშ დოლარიდან საწარმოების დაკრედიტებაზე დაგეგმილია 7,5 მლნ აშშ დოლარის გამოყოფა. ამ რესურსის ათვისება გრაფიკის მიხედვით 1997 წელს დაიწყო და 2001 წელს დამთავრდება.

მსოფლიო ბანკის სასესხო ფონდიდან დაფინანსდება სასოფლო-სამეურნეო სექტორში დაკავებული კერძო საწარმოები. პრიორიტეტი მიეცემა საწარმოებს რომელთა პროდუქცია ექსპორტზეა ორიენტირებული ან იმპორტშემცვლელია.

1999 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დამტკიცებული პროექტების მოცულობამ 4 963 060 აშშ დოლარი (25 პროექტი) შეადგინა, რაც დაგეგმილს 2-ჯერ აღემატება.

მსოფლიო ბანკის „სოფლის მეურნეობის განვითარების" პროექტი, სესხებს მასში მონაწილე კომერციული ბანკების მეშვეობით გასცემს. პროექტის მუშაობის საწყის ეტაპზე მინიმუმ 3 კომერციული ბანკის შერჩევა იყო აუცილებელი, რომლებიც მსოფლიო ბანკის მკაცრი კრიტერიუმების დამაკმაყოფილებელი უნდა ყოფილიყო. იმ ეტაპზე ეს საკმაოდ რთული აღმოჩნდა, დღეს კი პროექტში რვა ბანკია აკრედიტებული:

- „თბილკომბანკი"
- „თბიკრედიტბანკი"
- „აბსოლუტბანკი"
- „ინტელექტბანკი"
- „თბილუნივერსალბანკი"
- „TBC"
- „რესპუბლიკა"
- „საქართველოს ბანკი".

ნებისმიერ კომერციულ ბანკს, რომელიც დააკმაყოფილებს მსოფლიო ბანკის კრიტერიუმებს, შეუძლია მიიღოს აკრედიტაცია და ითანამშრომლოს მსოფლიო ბანკის პროექტთან.

**მსოფლიო ბანკის სასესხო ფონდიდან დაფინანსდება სასოფლო-სამეურნეო სექტორში დაკავებული კერძო საწარმოები.**

დღეისათვის საწარმოთა დაკრედიტების ჯგუფის მიერ 25 ორგანიზაციის დაფინანსება დამტკიცდა, რომლებიც დარგების მიხედვით

[1] ცხრილი შედგენილია 1999 წლის 20 მაისის მონაცემებით





შემდეგი სახით დაჯგუფდა:

ცხრილი №2

საწარმოთა რაოდენობა დარგობრივ ჭრილში

| *დარგი:* | *%* | *რაოდენობა* |
|---|---|---|
| მეცხოველეობა | 10 | 6 |
| პურპროდუქტები | 24 | 4 |
| საკონსერვო | 15 | 4 |
| ხორცის გადამუშავება | 1 | 1 |
| თხილის გადამუშავება | 13 | 2 |
| ღვინის მრეწველობა | 18 | 4 |
| მემცენარეობა | 12 | 3 |
| მინერალური წყლის ჩამოსხმა | 7 | 1 |
| *სულ:* | *100* | *25* |

1998 წელს ბანკებიდან გადარიცხულმა საპროცენტო სარგებელმა 81 000 აშშ დოლარი შეადგინა (ბანკების მიერ საპროცენტო სარგებლის გადახდა დადგენილ ვადებში მიმდინარეობს, გრაფიკის დარღვევის შემთხვევა არ დაფიქსირებულა). 1999 წელს 320 000 აშშ დოლარის საკრედიტო რესურსის მიღებაა მოსალოდნელი.

**არსებული მდგომარეობით 1999 წელს 320 000 აშშ დოლარის საკრედიტო რესურსის მიღებაა მოსალოდნელი.**

საკრედიტო ხაზის სწრაფად ათვისება პროექტში მონაწილე ბანკების აქტიურობაზე და მსოფლიო ბანკის გახარჯვის წესების მკაცრ დაცვაზეა დამოკიდებული. ამჟამად პროექტის განხორციელება დაგეგმილი მოცულობის ათვისების გადაჭარბებით მიმდინარეობს. ბანკების აქტიურობის გამო, მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილი თანხა შეიძლება ათვისებულ იქნას 2 წლის განმავლობაში, რაც ახალი საკრედიტო ხაზის გახსნას შეუქმნის საფუძველს.

**სასოფლო-სამეურნეო სფეროში მომუშავე საწარმოებისათვის ბანკებთან ურთიერთობის პროცესში უმთავრესი საგირავნო საშუალება მიწა უნდა გახდეს.**

ბანკები გაძლიერდა დამატებითი საკრედიტო რესურსების მიღებით; ძლიერი საბანკო სისტემის ჩამოყალიბების შედეგად, აგროსამრეწველო და საექსპორტო პოტენციალი, ქვეყნის სავალუტო შემოსავლები გაიზარდა. პროექტის ამ კომპონენტის მიმდინარეობამ აგროსამრეწველო სექტორის დაფინასებაში კომერციული ბანკების აქტიურობის ზრდა განაპირობა.

**სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტით მიწის რეგისტრაციის თანამედროვე სისტემის შექმნა და დანერგვაა გათვალისწინებული.**

კომერციული ბანკები საკუთარი რესურსებით მხოლოდ მოკლევადიან კრედიტებს გასცემდნენ, ამის გამო ფაქტობრივად დაფინანსების გარეშე დარჩა სოფლის მეურნეობის მეცხოველეობის და მემცენარეობის (მრავალწლიანი კულტურები) დარგები. სპეციფიკიდან გამომდინარე, ისინი სწორედ გრძელვადიან კრედიტს საჭიროებენ.

III. მიწის რეგისტრაციის კომპონენტი

მიწის რეგისტრაციის მიმართულების ძირითადი მიზნებია:

1. მიწის მესაკუთრეთა უფლებების აღიარება, მიწის საკადასტრო და აზომვითი სამუშაოების ჩატარება;

2. „პილოტ-პროექტით" გათვალისწინებულ ორ რაიონში მიწის რეგისტრაციის თანამედროვე სისტემის შექმნა და დანერგვა;

3. მიწის და უძრავი ქონების ბაზრის ჩამოყალიბება;

4. საქართველოს ტერიტორიაზე მიწის რეგისტრაციის თანამედროვე სისტემის დასანერგად სხვადასხვა საფინანსო ინსტიტუტებისა და დონორების მოზიდვა.

სასოფლო-სამეურნეო სფეროში მომუშავე საწარმოებისათვის ბანკებთან ურთიერთობის პროცესში მიწა უმთავრესი საგირავნო საშუალება უნდა გახდეს.

მცხეთისა და გარდაბნის რაიონების ტერიტორიაზე მიწის კადასტრის სამუშაოების წარმოებისა და მიწის რეგისტრაციის სისტემის დანერგვის მიზნით, მიწის რეგისტრაციის კომპონენტი საცდელი პროგრამის განხორციელებას ითვალისწინებს. აღსანიშნავია, რომ ნორიოსა და ლისის საკრებულოში სამუშაოები დამთავრდა, ხოლო 6 საკრებულოში მუშაობა მიმდინარეობს.

მიწის რეგისტრაციის კომპონენტი მუშაობს წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით. ამჟამად მიმდინარე სამუშაოების ნუსხა მოცემულია ცხრილში №3.

ს/ს „აეროგეოდეზიასთან" კონტრაქტის საფუძველზე ორივე რაიონისათვის საბაზოდიგიტალური რუკები მზადდება. ამასთან, მცხეთისა და გარდაბნის მიწის რეგისტრაციის რაიონული ოფისების სარემონტო სამუშაოები და მათი თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვა მიმდინარეობს, რათა ისინი საკადასტრო და სარეგისტრაციო სამუშაოების კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრებად იქცნენ.

ცხრილი №3

სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები

| სამუშაოები | გარდაბნის რაიონი | მცხეთის რაიონი |
|---|---|---|
| აზომვითი და უფლებების დადგენის/ დასრულდა | ნორიო | – |
| აზომვითი და უფლებების დადგენის/ მიმდინარეობს | ქესალო, აზარალო ვახტანგისი | ლისი, წეროვანი, ქსანი |
| წინასაკადასტრო/ დასრულდა | კრწანისი, ფონიჭალა, გარდაბანი, ქესალო, ვახტანგისი, კალინინო | ლისი, მუხროვანი, საგურამო, წეროვანი |

## IV. სწავლება და კვალიფიკაციის ამაღლება

პროექტის განხორციელების მთელ ეტაპზე გათვალისწინებულია სწავლება და კვალიფიკაციის ამაღლება ყველა მიმართულებით, რომელიც პერმანენტულია და შემუშავებული პროგრამების მიხედვით მიმდინარეობს.

## V. სამეცნიერო კვლევა-ძიება და დანერგვა

„საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების“ პროექტის ფარგლებში საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მეცნიერულ-ტექნიკური უზრუნველყოფისა და ფერმერული მეურნეობების პროდუქციის რაოდენობისა და ხარისხის ამაღლების მიზნით, მსოფლიო ბანკმა სასოფლო-სამეურნეო კვლევების დანერგვის, ფერმერთა სწავლება-კონსულტირების სისტემების სრულყოფისათვის მოსამზადებელი სამუშაოები დაიწყო.

სასოფლო-სამეურნეო კვლევების დანერგვისა და განათლების სისტემის რეფორმის დროულად და სათანადო დონეზე განხორციელების მიზნით საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 28 მაისის 357 ბრძანებულებით რეფორმების ხელშემწყობი სამთავრობო კომისია შეიქმნა.

პროექტის ფარგლებში ადგილობრივი და უცხოელი სპეცილისტებით დაკომპლექტდა და ჩამოყალიბდა პროექტის მოსამზადებელი სამუშაოების ჯგუფი. აღნიშნული პროექტის მიზანია საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნათა შესაბამისად, ცენტრალური და ადგილობრივი მომსახურების სერვის-ცენტრების შექმნის გზით ქვეყანაში ფერმერთა მომსახურების თანამედროვე სისტემის ჩამოყალიბება. ამ პროცესის მეშვეობით თანამედროვე მეცნიერული მიღწევების, მოწინავე გამოცდილებებისა და ახალი ტექნოლოგიების სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დანერგვა, ფერმერთა სწავლება-კონსულტირება და ოპერატიული ინფორმირება განხორციელდება.

პროექტის მოსამზადებელი სამუშაოები ოთხ ძირითად მიმართულებად გაიშალა:

1. საკონკურსო გრანტების კომპონენტი;
2. აგრარული სამეცნიერო-კვლევითი სისტემის რეფორმა;
3. ფერმერთა სწავლება-კონსულტირებისა და დანერგვის სისტემის რეფორმა;
4. გარემოს დაცვის კომპონენტი.

უკვე შეიქმნა საკონკურსო გრანტების შემაფასებელი საბჭო და მისი სამდივნო.

აგრარული სამეცნიერო-კვლევითი, დანერგვისა და სწავლება-კონსულტირების სისტემის რეფორმის განსახორციელებლად სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასთან, სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად, სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მონაწილეობით, მსოფლიო ბანკის პროექტით ამ სისტემების რეფორმის სტრატეგია მზადდება.

პროექტის მიმდინარეობისას დიდი ყურადღება ექცევა გარემოს დაცვის პრობლემებს. ამჟამად მიმდინარეობს ნიადაგებისა და წყლების დაბინძურების შესახებ ადგილობრივი ექსპერტების მიერ ჩატარებული ანალიზის საბოლოოდ ჩამოყალიბება და პროექტის მოსამზადებელ დოკუმენტში ჩართვა.

პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები, რომელიც სამეცნიერო კვლევა-ძიების შედეგებისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვის გზით ფერმერულ მეურნეობებში მოსავლიანობისა და შემოსავლების ზრდას ითვალისწინებს. ამასთან, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და მის სისტემაში მყოფი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების რეფორმა-რესტრუქტურირება განხორციელდება.

**პროექტი სამეცნიერო კვლევა-ძიების შედეგებისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვის გზით ფერმერულ მეურნეობებში მოსავლიანობისა და შემოსავლების ზრდას ითვალისწინებს.**





## VI. სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ირიგაცია და დრენაჟი

დარგში შექმნილმა მდგომარეობამ, კერძოდ, სარემონტო სამუშაოებზე სახსრების ნაკლებობის გამო საირიგაციო და სადრენაჟო ინფრასტრუქტურის განადგურებამ, მსოფლიო ბანკის დახმარებით საირიგაციო და სადრენაჟო სისტემების რეაბილიტაციის პროექტის შემუშავების და რეალიზაციის აუცილებლობა განაპირობა.

პროექტის განხორციელების ვადა 10 წელია და 3 ფაზისაგან შედგება, რომლებიც, შესაბამისად, 3 ტრანშისაგან დაფინანსდება. პროექტის საერთო ღირებულება 108 მლნ აშშ დოლარია, საიდანაც 82 მლნ აშშ დოლარი მსოფლიო ბანკის კრედიტია, ხოლო დანარჩენი 26 მლნ საქართველოს მთავრობისა და პროექტით მოსარგებლეთა შენატანებია.

*პროექტი ითვალისწინებს შემდეგ პუნქტებს:*

- სარწყავი სისტემების მთლიან რეაბილიტაციას და სამელიორაციო მომსახურების ასოციაციების (სმა) 33 310 ჰექტარზე ჩამოყალიბებას;
- მაგისტრალური არხების რეაბილიტაციის შედეგად წყალუზრუველყოფილ ფართობებზე სამელიორაციო მომსახურების ასოციაციების ჩამოყალიბებას და ნაწილობრივ რეაბილიტაციის (მეორე/მესამე რიგის არხები) 57 030 ჰექტარზე;
- სამელიორაციო მომსახურების ასოციაციების ჩამოყალიბებას და მათ მიერ შიდა სამეურნეო ქსელების რეაბილიტაციას 130 000 ჰექტარზე;
- დამშრობი სისტემების მთლიან რეაბილიტაციას და სამელიორაციო მომსახურების ასოციაციების ჩამოყალიბებას 33 670 ჰექტარზე;
- სისტემების ექსპლუატაციის, ტექნიკური დახმარების, სწავლების და პროექტის ტექნიკური მართვის მიზნით გარკვეული თანხების გამოყოფას.

1998 წლის 22 მაისს მსოფლიო ბანკსა და საქართველოს მთავრობას შორის დაიდო ხელშეკრულება სოფლის მეურნეობის განვითარების II პროექტისათვის თანხის ავანსად გამოყოფის შესახებ (სულ 1 200 000 აშშ დოლარი, მ.შ. ირიგაციისა და დრენაჟის კომპონენტისათვის 600 000 აშშ დოლარი).

პროგრამის განსახორციელებლად მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები, რომელიც დასავლეთ საქართველოში მიწების დრენაჟის, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში ირიგაციის გზით სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ნაყოფიერების ზრდას; მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე წყალმომხმარებელთა ასოციაციების ჩამოყალიბებას და შესატყვისი საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის მომზადებას ითვალისწინებს.

**პროექტი დასავლეთ საქართველოში მიწების დრენაჟის, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში ირიგაციის გზით სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ნაყოფიერების ზრდას ითვალისწინებს.**

## VII. ახალი საექსპორტო ბაზრების მოძიების პროგრამა.

დაიწყო საქართველოს აგროსამრეწველო პროდუქციისათვის ახალი საექსპორტო ბაზრების მოძიების და დამკვიდრების კომპლექსური პროგრამის განხორციელების პროექტის მოსამზადებელი სამუშაოები.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1) გ. მაღლაკელიძე — „გლეხთა საკრედიტო კავშირი“; „კვალი“, №1, 1998წ;

2) გ. მაღლაკელიძე — „საკრედიტო კავშირები დღეს, ხვალ“; „კვალი“ №1-2, 1999წ;

3) „სოფლის მეურნეობის განვითარების“ პროექტის საკოორდინაციო ჯგუფის ინფორმაცია;

4) „საქართველოს აგრარული პოლიტიკა. მისი საერთაშორისო მხარდაჭერის უზრუნველყოფა (ანალიზი, პერსპექტივები)“; საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო, თბილისი, 27 მარტი, 1999 წ;

5) „საერთაშორისო ორგანიზაციების მიმდინარე პროექტები“; სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო, საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტი, 1999 წ მარტი;

6) ქ. წიკლაური — „გლეხთა საკრედიტო კავშირის საანგარიშსწორებო დოკუმენტაცია“; „კვალი“, №1-2, 1999წ.

# ეკონომიკური უსაფრთხოების მონიტორინგის სისტემა

■ ნარიმან ტერაშვილი

სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციამ და ეროვნულ ეკონომიკაზე ექსტერიტორიული ფაქტორების ზემოქმედების ზრდამ მრავალი ქვეყნისათვის, მათ შორის საქართველოსათვის, ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემა განსაკუთრებით აქტუალური გახადა.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ეკონომიკურ მეცნიერებაში ეკონომიკური უსაფრთხოების ცნება არ გამოიყენება, რადგან მისი ცალსახა განსაზღვრა ძნელია და ავტორთა განმარტებანი განსხვავებულია.

მსოფლიო პრაქტიკაში მიღებულია ეკონომიკური უსაფრთხოების სამი დონის გამოყოფა: საერთაშორისო, ეროვნული (ქვეყნის) და ფირმის ან ინდივიდის. ცხადია, თითოეულ ამ დონეს მაჩვენებელთა სათანადო სისტემა შეესაბამება. მოხსენების კვლევის საგანი ეროვნული (ქვეყნის) ეკონომიკური უსაფრთხოებაა.

ვფიქრობთ, ფუნქციონალური თვალსაზრისით, ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოება ეს არის ეროვნული ეკონომიკის უნარი, უზრუნველყოს საზოგადოებისა და სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური სტაბილურობა, პიროვნების ეკონომიკური მდგომარეობის მდგრადობა შიდა და გარე საფრთხეების პირობებში, ხოლო სტრუქტურული თვალსაზრისით, იმ ეკონომიკური, პოლიტიკური და სამართლებრივი პირობებისა და ფაქტორების ერთობლიობა, რომლებიც უზრუნველყოფენ ეროვნული ეკონომიკის დამოუკიდებლობას, ზრდას და მუდმივი განახლების უნარს.

**ქვეყნის საქმიანობა ეკონომიკური უსაფრთხოების სფეროში ჩანასახოვან მდგომარეობაში არსებული საშიშროების თავიდან აცილების პრინციპს უნდა ეფუძნებოდეს.**

ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების გარანტი სახელმწიფოა. მისი საქმიანობა უსაფრთხოების სფეროში, როგორც წესი, ჩანასახოვან მდგომარეობაში არსებული საშიშროების თავიდან აცილების პრინციპს ეფუძნება. ამ პრინციპის რეალიზაციისათვის აუცილებელია მკაფიოდ განისაზღვროს ეკონომიკური უსაფრთხოების არსებითი მაჩვენებლების (ინდიკატორების) სისტემა. ინდიკატორი წინასწარ იტყობინება მოახლოებული საშიშროების შესახებ და საფრთხის ასაცილებლად საჭირო ზომების მიღების შესაძლებლობას იძლევა.

ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა არ არის რომელიმე სახელმწიფო უწყების, სამსახურის ან სამინისტროს პრეროგატივა. ეკონომიკური სისტემა დაცული უნდა იქნას ეკონომიკის ყველა რგოლისა და სტრუქტურის მიერ, სახელმწიფოებრივი ორგანოების მთელი სისტემით. აქედან გამომდინარე, საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების სუბიექტი ყველა ეკონომიკური პროფილის სამინისტროა. პრაქტიკამ დაადასტურა სახელმწიფო უშიშროების ხაზით მათი საქმიანობის კოორდინაციის აუცილებლობა, რაც ხელისუფლების დავალებით კომპეტენტურმა ორგანომ უნდა განახორციელოს. ამ ფუნქციის შემსრულებლად საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო მიგვაჩნია. საბჭოს აპარატის ან საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრის ბაზაზე სასურველია შეიქმნას ეკონომიკური უსაფრთხოების მონიტორინგზე მომუშავე სპეციალური ჯგუფი. ამ უკანასკნელში შესაბამისი სამინისტროებიდან და უწყებებიდან გარკვეული ინფორმაციის თავმოყრა, ანალიზი და შეჯერება, მოვლენათა განვითარების მრავალვარიანტული პროგნოზების დამუშავება და საპასუხო მოქმედებათა მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამებისა და რეკომენდაციების შემუშავება უნდა მოხდეს. ამასთან, უნდა განხორციელდეს ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორების მონიტორინგი, რომლის მიზანი ეროვნული ეკონომიკის მდგრადობაზე პოტენციური ზემოქმედების თვალსაზრისით ყველა მოსალოდნელი საფრთხის შეფასება, ყველაზე სახიფათო რისკის ფაქტორების გამოვლენა, რანჟირება და მათ გაუვნებლების ეფექტიანი ღონისძიებების დასახვაა. მონიტორინგის ჯგუფის მიერ მომზადებული მასალების საფუძველზე ეროვნული უშიშროების საბჭოს მიღებული გადაწყვეტილებები უშუალო შემსრულებლამდე დაიყვანება, კონტროლი შესრულებაზე ამავე საბჭოს აპარატის მიერ განხორციელდება. შესრულების მიმდინარეობა და





შედეგები ოპერატიულად მოხსენდება საქართველოს პრეზიდენტს და შესაბამის სტრუქტურებს.

ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორთა მონიტორინგისათვის, უპირველეს ყოვლისა, თვით ინდიკატორების შერჩევა და დაკანონებაა საჭირო. აღნიშნული ინდიკატორების საყოველთაოდ მიღებული კლასიფიკაცია არ არსებობს. შეიძლება ჩამოყალიბდეს ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორების ნაკრები, რომელიც დასახული მიზნების მიხედვით კონკურენტუნარიანობის, დაზვერვის და კონტრდაზვერვისათვის გამოიყენება.

ნაშრომში შემოთავაზებული მოსაზრებანი და მაჩვენებელთა სისტემა არ არის სტანდარტული. მიუხედავად ამისა, ვიმედოვნებთ, რომ მეცნიერთა და სპეციალისტთა განხილვის საგნად იქცევა. საბოლოოდ კი საქართველოსათვის მისადაგებული სისტემა ჩამოყალიბდება.

## 1. ინდიკატორთა შერჩევის პოზიციები

ინდიკატორთა სისტემის შერჩევა (სახის განსაზღვრა და ციფრობრივი ზღვრული პარამეტრის დადგენა) ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია.

ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორების შერჩევა და მათი ზღვრული მნიშვნელობების, დადგენა მეთოდურ სირთულეებს უკავშირდება. ინდიკატორების შერჩევისას არსებობს არჩევანის არგუმენტაციის სირთულე ანუ ინდიკატორთა კონკრეტული ნაკრები რატომ იძლევა ეკონომიკური სისტემის განვითარების „საკვანძო“ წერტილების სრულ და ობიექტურ დახასიათებას. სასურველია შეირჩეს მაჩვენებლები, რომელთა რაოდენობრივი გაზომვა შესაძლებელია, რაც ინდიკატორთა მონიტორინგის კომპიუტერიზაციას შეუწყობს ხელს. გარდა ამისა, მაჩვენებელთა რიცხვი უნდა იყოს ზომიერი, ამასთან, რეალური სურათის ამსახველი.

რადგან ეკონომიკური სისტემა ორგანულია და არა მექანიკური, ამიტომ ინდიკატორთა ზღვრული მნიშვნელობების ცალსახა სიზუსტით განსაზღვრა პრობლემატურია. ჩვეულებრივ მათ იღებენ ინდუქციური, ექსპერტულ შეფასებათა და სხვა მეთოდებით, ამიტომ ინდიკატორთა კონკრეტული ზღვრული სიდიდე შეიძლება პირობითი, სუბიექტური ხასიათის იყოს.

ასევე აღსანიშნავია, რომ ინდიკატორების შერჩევისას არსებობს კომპლექსურობის სირთულე. ეკონომიკური სისტემის ერთი ან რამდენიმე პარამეტრის ნორმიდან კრიტიკული გადახრა საერთო სიტუაციის ზუსტი ამსახველი არ არის. ამისათვის საჭიროა შეირჩეს კომპლექსური ინდიკატორები, რომლებშიც ინტეგრირებული იქნება ინფორმაცია მრავალი მაჩვენებლის ზღვრული სიდიდეების შესახებ. მათი მონიტორინგი არსებული სიტუაციის შეფასების შესაძლებლობას უნდა იძლეოდეს.

ინდიკატორის ზღვრულ მნიშვნელობად მსოფლიო გამოცდილებით დამტკიცებული საერთაშორისო სტანდარტების გამოყენება კომპარატიულ (შედარებითი) ანალიზს ართულებს. სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკური სისტემის სპეციფიკა გვაიძულებს დიდი სიფრთხილით გამოვიყენოთ განვითარების უნიფიცირებული მაჩვენებლები, რადგან ერთი ქვეყნისათვის დამახასიათებელ „კრიტიკულ წერტილებს“, „შესაძლებლობათა საზღვრებს“ სხვა ქვეყნებში შეიძლება სულ სხვა პარამეტრები და ინტერპრეტაციები ჰქონდეთ. ეკონომიკური პროცესების შედარებით ანალიზს სახელმწიფოების სტატისტიკური და სოციოლოგიური ინფორმაციის შეგროვებისა და დამუშავების განსხვავებული მეთოდებიც ართულებს.

ინდიკატორების გამოყენებისას არსებობს პროგნოზირების სირთულე. მაჩვენებელთა ზღვრული მნიშვნელობები მკვლევარებს ეკონომიკური სისტემის განვითარების ალბათური სცენარის აგების საშუალებას აძლევს. შესასწავლი ობიექტის სირთულე, ელემენტების ურთიერთობების მრავალვარიანტულობა პროგნოზულ შესაძლებლობებს ამცირებს.

მეცნიერთა აზრით, ქვეყნის ეკონომიკის ფაქტიურ მდგომარეობაზე ინდიკატორთა სისტემის მორგება დაუშვებელია. ინდიკატორების დადგენა, როგორც წესი, ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიის საფუძველზე დამუშავებულ მიზნობრივ პროგრამებში ხორციელდება. სტრატეგია კი, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ძალისმიერ ღონისძიებათა კომპლექსს მოიცავს, რისი განხორციელებაც ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებას უზრუნველყოფს.

ინდიკატორების შერჩევის და დასაბუთებისას ფართოდ გამოიყენება სისტემური მიდგომა. ეკონომიკური უსაფრთხოების მთავარი სისტემური მოთხოვნა ქვეყნის ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა, მინიმუმ ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანობის წინაპირობების შექმნაა.

სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება ქვეყნის რესურსული პოტენციალის ეფექტურად გამოყენებას, ეკონომიკური სისტემის ელემენტებს შორის კავშირების გაღრმავებას და სამეწარმეო საქმიანობის ზრდის შიდა სტიმულების შენარჩუნებას ნიშნავს. ეკონომიკური სისტემის უდიდესი ინერციულობის გამო, მისი რესურსული პოტენციალის განადგურება საკმაოდ ძნელია. სპეციალისტთა აზრით, საქართველოს რესურსული პოტენციალი სავსებით საკმარისია, რომ ეკონომიკა ქმედითუნარიანი, კონკურენტუნარიანი და დამოუკიდებელი იყოს.

ეკონომიკური სისტემის მდგრადობა მაჩვენებლების განსაზღვრულ დონეზე შენარჩუნებით

ხასიათდება. ეკონომიკის განვითარების მაჩვენებელი მისი ზრდის ტემპია, სისტემური მიდგომისას აღნიშნული მაჩვენებლის დაცემა მიუთითებს სისტემის დეგრადაციაზე და არა უარყოფით ზრდაზე.

ეკონომიკურ ზრდის ხელშემწყობი ფაქტორები ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებას განამტკიცებს, რის გამოც მსოფლიოში ეკონომიკური უსაფრთხოების მთავარ კრიტერიუმად ეკონომიკური განვითარების დონეა აღიარებული. ეს უკანასკნელი ერთ სულ მოსახლეზე წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტის სიდიდით განისაზღვრება. სწორედ ამ მაჩვენებელზეა დამოკიდებული მოსახლეობის ცხოვრების დონე, ხარისხი და ხანგრძლივობა, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა, კვების ხარისხი, განათლების დონე, სახელმწიფოს ფინანსური შესაძლებლობა — სოციალურად დაიცვას შრომისუუნარონი, მიაღწიოს ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის საჭირო დონეს, განავითაროს მეცნიერება, ხელოვნება, კულტურა.

**ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონეზე ერთ სულ მოსახლეზე წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტის სიდიდე მიუთითებს. ამ მაჩვენებლის მიხედვით საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა.**

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით მთლიანმა შიდა პროდუქტმა ერთ სულ მოსახლეზე 1998 წელს 1250 ლარი (დაახლოებით 898 აშშ დოლარი) შეადგინა. ამ მაჩვენებლის მიხედვით საქართველო თითქმის 40-ჯერ ჩამორჩება მსოფლიოს ყველაზე განვითარებულ ქვეყნებს (ლუქსემბურგი, შვეიცარია, დანია, ბელგია, ავსტრია, გერმანია და ა.შ.) და დაახლოებით 11-ჯერ საშუალო მსოფლიო დონეს. ცხადია, ასეთი მაჩვენებლის მქონე ქვეყანა მოქალაქეთა ცხოვრების მაღალ დონეს ვერ უზრუნველყოფს.

ეკონომიკური განვითარების დონე საკმაოდ ინერტული მახასიათებელია. ამ მაჩვენებლის მიხედვით მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყანა — საქართველოსათვის მდგომარეობის გაუმჯობესების ერთადერთი ხერხი ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ეროვნული ეკონომიკის ზრდის მაღალი და მყარი ტემპების მიღწევა და შენარჩუნებაა.

**ეკონომიკური უსაფრთხოების მთავარი სისტემური მოთხოვნა ქვეყნის ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა, მიმზიდველობის სიცოცხლისუნარიანობის წინაპირობების შექმნაა**

ეკონომიკური ზრდის ტემპზე, მაშასადამე, ეკონომიკური უსაფრთხოების მდგომარეობაზე ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ეკონომიკური პოლიტიკა ახდენს. სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებია: სახელმწიფო მეწარმეობა, საბიუჯეტო პოლიტიკა, ფულადი პოლიტიკა, სავალუტო პოლიტიკა, საგარეო ვაჭრობის პოლიტიკა. ამ მიმართულებით ჩატარებული გამოკვლევებიდან შემდეგი კანონზომიერებები გამოიკვეთა:

➢ ეკონომიკური ზრდის ტემპი და სახელმწიფოს ეკონომიკური საქმიანობის მასშტაბი უკუდამოკიდებულებაშია;

➢ ეკონომიკური ზრდის მაქსიმალური ტემპი ეკონომიკურ ცხოვრებაში სახელმწიფოს მინიმალური მონაწილეობისას და, პირიქით, მინიმალური ტემპი — სახელმწიფოს მაქსიმალური მონაწილეობისას მიიღწევა;

➢ სახელმწიფოს საქმიანობის მასშტაბის გადიდებისას ზრდის ტემპები, როგორც წესი, მცირდება, სახელმწიფოს ეკონომიკური დატვირთვის შესუსტებისას — იზრდება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების განმსაზღვრელი ფაქტორები სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულებაა, ხოლო სახელმწიფო საქმიანობის რაოდენობრივი მახასიათებლები — ეკონომიკური უსაფრთხოების მაჩვენებლებია. ეკონომიკურ ზრდის, შესაბამისად, ეკონომიკური უსაფრთხოების ხელშემშლელი ფაქტორებია:

• ინფლაცია, რომელიც „ჭამს" მოქალაქეთა დანაზოგებს, ბლოკირებას უკეთებს ინვესტიციებს, სტიმულებს ართმევს მეწარმეებს, ამახინჯებს ეკონომიკურ ორიენტირებს;

• მაღალი საპროცენტო განაკვეთები, რომლებიც საწარმოებისათვის კრედიტს მიუწვდომელს ხდის და ეკონომიკის „შეკუმშვის" მიზეზია;

• ბიუჯეტის დეფიციტი ინფლაციის და მაღალი საპროცენტო განაკვეთების გამომწვევი მიზეზია. მთავრობის კრედიტებზე მოთხოვნა ზედმეტი ფულის ბეჭდვის ან საპროცენტო განაკვეთების გადიდების, ან ორივეს გამომწვევი ფაქტორია. ბიუჯეტის დეფიციტი ნებისმიერ შემთხვევაში უარყოფითად მოქმედებს ეკონომიკურ ზრდაზე;

• სახელმწიფო ვალი წინა წლების ბიუჯეტების დეფიციტის შედეგია. ყოველწლიურად ბიუჯეტური ხარჯები მატულობს, რაც ხელს უწყობს სავალო კრიზისის მოახლოებას და მრავალი წლით უკუაგდებს ქვეყანას;

• გადასახადების მაღალი დონე. საგადასახადო ტვირთის სიდიდე კერძო ბიზნესის განვითარებას უშლის ხელს. ყველაზე უსამართლო არაპირდაპირი გადასახადებია, რადგან უფრო





მეტად ღარიბები ზარალდებიან. აღნიშნული გადასახადები არა მარტო მოსახლეობის მსყიდველობით უნარს და ეროვნული ეკონომიკის ეფექტიანობას ამცირებენ, არამედ ინფორმაციულ გაცვლასაც ზღუდავენ და საგარეო ეკონომიკურ ოპერაციებზე გავლენას ახდენენ. ინფორმაცია თანამედროვე მსოფლიო განვითარების უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული რესურსია. ქვეყანა, რომელიც სხვადასხვა მეთოდებით (იქნება ეს ვალუტის გაცვლის ოპერაციების დაბეგვრა, ფიზიკური პირების დაბეგვრა სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისას თუ სხვა) ინფორმაციულ იზოლაციაში აქცევს საკუთარ თავს, ხელს უწყობს ჩამორჩენილობის გაძლიერებას.

ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორების შერჩევა, როგორც წესი, სპეციალური მეცნიერული კვლევების საფუძველზე ხორციელდება, რადგან ყოველი ქვეყნის ეკონომიკა, ასევე ეკონომიკური სისტემის წინაშე დასახული მიზნები და მათი მიღწევის გზები სპეციფიკურია.

## 2. ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ინდიკატორები

ქვეყნის კონკურენტუნარიანობა სინთეზური მაჩვენებელია, რომელიც მსოფლიო ბაზარზე სახელმწიფოს მდგომარეობას ახასიათებს. რაც უფრო დიდია კონკურენტუნარიანობა, მით უფრო მაღალია ქვეყნის და ცალკეული მოქალაქის ეკონომიკური უსაფრთხოების დონე. ჯერჯერობით არ არსებობს კონკურენტუნარიანობის შეფასების საყოველთაოდ მიღებული მეთოდიკა. ყველაზე რეპრეზენტაციული მაჩვენებელი პირველად 1986 წელს ცნობილი საერთაშორისო ორგანიზაციის — მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ შემუშავდა. აღნიშნულ მეთოდიკაში ქვეყნის კონკურენტუნარიანობის განსაზღვრისათვის გამოიყენება მრავალფაქტორიანი ვექტორული მოდელები, რომლებიც 381 მაჩვენებელს შეიცავენ. ეს მაჩვენებლები დაჯგუფებულია 8 მსხვილ ფაქტორად (ინდიკატორად):

1. შიდა ეკონომიკური პოტენციალი;
2. მართვის სისტემა (სიახლეთა დანერგვის, მომგებიანობისა და მენეჯერთა პასუხისმგებლობის დონე);
3. საგარეო ეკონომიკური კავშირები (საერთაშორისო ვაჭრობაში და ინვესტიციათა ნაკადში მონაწილეობის ხარისხი);
4. სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი (ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების წარმატებულობის თვალსაზრისით);
5. სახელმწიფო რეგულირება;
6. საფინანსო-საკრედიტო სისტემა;
7. ინფრასტრუქტურა;
8. შრომითი რესურსები (მდგომარეობა და კვალიფიკაცია).

შვეიცარული ორგანიზაცია „European Management Forum" მიერ შემუშავებული მეთოდიკის თანახმად, ქვეყნის კონკურენტუნარიანობის შესაფასებლად გამოიყენება 245 მაჩვენებელი, მათ შორის 197 სტატისტიკური — აგრეგირებულია 10 ფაქტორის (ინდიკატორის) მიხედვით:

1. ეკონომიკის დინამიზმი;
2. სამრეწველო წარმოების ეფექტურობა;
3. ბაზრის დინამიზმი;
4. საფინანსო სისტემის დინამიზმი;
5. შრომითი რესურსები;
6. კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფაში სახელმწიფოს როლი;
7. ბუნებრივი რესურსები და ინფრასტრუქტურა;
8. სავაჭრო საქმიანობის მოტივაცია;
9. ინოვაციური პოლიტიკა;
10. ქვეყანის სოციალურ-პოლიტიკური ვითარება.

ყოველი ქვეყნის ობიექტური სტატისტიკური მაჩვენებლები (ყველა მაჩვენებლის დაახლოებით 70%) სუბიექტურით — ანალიტიკოსების ექსპერტული შეფასებებით, მსხვილი კორპორაციების ხელმძღვანელებისა და წამყვანი ეკონომიკური ექსპერტების აზრის გამოკითხვით შეივსება. დაგროვებული ბალების (ქულების) მიხედვით რანჟირებული ქვეყნების სია პერიოდულად ქვეყნდება.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის და მსოფლიო ბანკის ვერსიით 1995 წელს მსოფლიოში ყველაზე კონკურენტუნარიანი ეკონომიკის მქონე ქვეხნები იყო:

1. აშშ;
2. სინგაპური;
3. იაპონია.

მსოფლიო ექსპორტში წილის მიხედვით პირველ სამეულს შემდეგი სახელმწიფოები მიეკუთვნებოდა:

1. აშშ — 11,68%;
2. გერმანია — 10,43%;
3. იაპონია — 8,72%.

მსოფლიო მთლიან შიდა პროდუქტში წილის მიხედვით კი:

1. აშშ — 21,80%;
2. ჩინეთი — 9,66%;
3. იაპონია — 8,13%.

ზემოთ აღნიშნული მაჩვენებლების მიხედვით, საქართველო პირველი ასეულის მიღმაა (მსოფლიო ექსპორტში წილის მიხედვით 114—137-ე ადგილებს, მსოფლიო შიდა პროდუქტში წილის მიხედვით კი 126—144-ე ადგილებს იყოფს). ცხადია, საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა, შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების დონეც ძალიან დაბალია.

### 3. „მგრძნობიარობის" ინდიკატორები (დაზვერვისათვის)

სხვა ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების თვალსაზრისით დაზვერვისათვის, როგორც წესი, დასავლეთის სამეცნიერო ცენტრებისა და სპეცსამსახურების მიერ შემუშავებულ ე.წ. „მგრძნობიარობის" ინდიკატორებს იყენებენ. ეს ინდიკატორებია:

✓ სოციალურ-პოლიტიკური სიტუაციის სტაბილურობა; საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში მისი შესაძლო ცვლილებები (მუშავდება ცვლილებათა ვარიანტები);

✓ მთავრობის მმართველობითი საქმიანობის დონის და გადადგომის შესაძლებლობების შეფასება (ახალი მთავრობის კანდიდატურის შერჩევა);

✓ დირექტორთა კორპუსის კომპეტენტურობის დონე;

✓ ოფიციალური ოპოზიციის დახასიათება;

✓ არალეგალური ოპოზიციის დახასიათება;

✓ მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ტენდენციები;

✓ ხელისუფლების შტოების დამოკიდებულება უცხოური კაპიტალისადმი;

✓ კაპიტალის ნაციონალიზაციის რისკი და მისი კომპენსაციის ვარიანტები;

✓ უმაღლესი ხელმძღვანელების კორუმპირებულობის დონე;

✓ ეკონომიკაში სახელმწიფოებრივი ჩარევის ხარისხი;

✓ ეკონომიკაში სახელმწიფო საკუთრების ხვედრითი წონა.

### 4. ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორები (კონტრდაზვერვისათვის)

საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 30 იანვარის ბრძანებულებით შექმნილმა სახელმწიფო კომისიამ შეიმუშავა ეროვნული უშიშროების კონცეფცია (სამუშაო ვერსია), რომელშიც ცალკე დანართის სახით წარმოდგენილია „ეკონომიკური უსაფრთხოება".

ამ დოკუმენტში ინდიკატორები ხელისუფლების მიერ არჩეული ეკონომიკური სტრატეგიისათვის გარკვეული საფრთხის შემცველი შიდა და გარე ფაქტორებისა და პროცესების მიხედვითაა დაჯგუფებული.

შიდა ეკონომიკური ფაქტორები და პროცესები წარმოდგენილია შემდეგი ინდიკატორებით:

1. ბაზარზე კომპანიების მონოპოლიური ძალაუფლების შესაფასებლად:
- *ლერნერის ინდექსი;*
- *ხირშმან-ხერფინდერის ინდექსი;*
- *კროსს-ელასტიურობის მაჩვენებლები;*

2. საზოგადოებრივი საქონლის არასაკმარისი წარმოებით გამოწვეული პრობლემების სიმწვავის განსაზღვრისათვის:
- *ენერგორესურსების იმპორტით დაგროვებული საგარეო ვალის მოცულობა;*
- *საზოგადოებრივი საქონლის მიწოდებისათვის სახელმწიფო სუბსიდიების მოცულობა;*
- *საწარმოთა შორის არგადახდების მოცულობა;*
- *სახელმწიფო კაპიტალდაბანდებათა საჭირო და ფაქტობრივი დონე.*

3. ეკონომიკური განვითარების რეგიონალური უთანაბრობის დასაფიქსირებლად:
- *ცალკეულ რაიონებში ეკონომიკური აქტივობის ძირითადი სფეროები;*
- *ჯანდაცვის დონე;*
- *განათლების დონე;*
- *ეკოლოგიური მდგომარეობა;*
- *უმუშევრობის დონე;*
- *ოჯახების საშუალო შემოსავალი;*
- *ტრანსფერტები ცენტრალური ბიუჯეტიდან;*
- *საზღვრისპირა ვაჭრობის მოცულობა;*
- *ინფრასტრუქტურის განვითარების დონე: ტრანსპორტი, ენერგეტიკა, კომუნიკაციები, კავშირები საქართველოს ეკონომიკურ ცენტრებთან;*

4. ქვეყნის საფინანსო სექტორის სტაბილურობის შესაფასებლად:
- *ბიუჯეტის დეფიციტის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან;*
- *შიდა ვალის წილი საერთო დავალიანებაში;*
- *შიდა ვალის უმთავრესი სახეობა;*
- *საშუალო დეფიციტი საგადასახადო სისტემაში;*
- *საგადასახადო სისტემის ეფექტიანობის საზომი ელასტიურობა;*
- *ტანცის ინდექსები;*
- *ბიუჯეტში კაპიტალური და სოციალური ხარჯების წილი მშპ-ში.*

5. ქვეყნის მონეტარული და საბანკო სისტემის სტაბილურობის შესაფასებლად:
- *ინფლაციის ინდექსი;*
- *რეალური ხელფასის ინდექსი;*
- *საბანკო სექტორის ინდიკატორები: კაპიტალის საკმარისობა, საპროცენტო განაკვეთებს შორის სხვაობა, რეალური წლიური განაკვეთის დინამიკა, ცუდი სესხები, დეპოზიტების მოცულობა, ინვესტიციების წილი საბანკო საქმიანობაში და კრედიტების საშუალო ხანგრძლივობა;*
- *სავალუტო კურსის დინამიკა;*

6. ეკონომიკის რეალურ სექტორში საბაზრო მექანიზმების მდგომარეობის დასაფიქსირებლად:
- *რეალური მთლიანი პროდუქტის დინამიკა;*
- *ინფლაციის დონე;*
- *უმუშევრობის დონე;*
- *იმპორტის წილი სავაჭრო ბალანსში;*
- *ექსპორტის წილი სავაჭრო ბალანსში;*
- *ჩრდილოვანი ფასები;*
- *ინვენსტიციების წილი მთლიან შიდა პროდუქტში;*
- *წარმოების ენერგოტევადობა;*

7. სტარტეგიული დარგების მდგომარეობის დასახასიათებლად:
- *დარგის წილი მთლიან ეროვნულ პროდუქტში და საგარეო ვაჭრობაში;*
- *დარგში დასაქმებულთა რაოდენობა;*
- *დარგის ფუნქციონირების რეგიონალური განაწილება;*
- *დარგის მიერ წარმოებული საქონლისა, მომსახურების ფასებისა და ხარისხის შედარება სხვა სახელმწიფოების დონესთან;*

8. ჩრდილოვანი ეკონომიკის შესაფასებლად:
- *ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი მთლიან ეროვნულ პროდუქტში, საგარეო ვაჭრობაში, ცალკეულ დარგებში და რეგიონებში;*
- *არაფორმალური საფინანსო ბაზრის პარამეტრები (მოცულობა, საპროცენტო განაკვეთი, კრედიტების საშუალო ხანგრძლივობა და სხვა);*

9. სოციალური სფეროს დასახასიათებლად:
- *მოსახლეობის განათლების დონე;*
- *სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა;*
- *უმუშევრობის დონე;*
- *ოჯახების საშუალო შემოსავალი;*
- *შემოსავლების არათანაბარი განაწილება (ჯინის კოეფიციენტი);*
- *სიღარიბის ზღვარს ქვემოთ დარჩენილი ოჯახების რაოდენობა;*
- *ჯანდაცვის პარამეტრები (სიკვდილიანობა, ბავშვთა სიკვდილიანობა);*
- *დანაშაულთა რაოდენობის დინამიკა;*

10. ქვეყნის ეკონომიკაზე პოლიტიკურ ინტერესთა ჯგუფების გავლენის შესაფასებლად:
- *ქვეყანაში დარგობრივ და რეგიონალურ ინტერესთა ჯგუფების მოქმედების კომპლექსური ანალიზი.*

• გარე ეკონომიკური ფაქტორები და პროცესები წარმოდგენილია შემდეგი ინდიკატორებით:

11. სავაჭრო რეჟიმის ლიბერალიზაციით გამოწვეულ საფრთხეთა დასაფიქსირებლად:
- *ექსპორტის წილი მთლიან შიდა პროდუქტში;*
- *იმპორტის წილი მთლიან შიდა პროდუქტში;*
- *მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი;*
- *ვაჭრობის პირობები;*
- *სავაჭრო ტარიფის ფაქტიური დონე;*
- *სავაჭრო რეჟიმის ნეიტრალურობა;*
- *საგარეო ვალის წილი მთლიან შიდა პროდუქტში;*

12. ხელოვნურად გაზრდილი სავალუტო კურსით გამოწვეული საფრთხეთა სიმწვავის განსაზღვრისათვის:
- *რეალური საგადამცვლელო კურსი;*
- *ტრადიციული ექსპორტის კონკურენტუნარიანობა;*
- *სავაჭრო ბალანსის დეფიციტი;*
- *საგარეო ვალის ზრდის დინამიკა;*
- *საერთაშორისო წმინდა აქტივების შემცირება;*

13. კაპიტალის მოძრაობით გამოწვეულ საფრთხეთა დასაფიქსირებლად:
- *საინვესტიციო ანაბრების უკმარისობა;*
- *ფულადი აგრეგატების დინამიკა;*
- *ფასებისა და სავალუტო კურსის დინამიკა;*
- *საგარეო ვალის მდგრადობის მახასიათებლები;*

14. საგარეო ვალის მდგრადობის დასახასიათებლად:
- *ვალის მომსახურების ექსპორტის მოცულობასთან შეფარდება;*
- *მიმდინარე გადახდების ექსპორტის მოცულობასთან შეფარდება;*
- *ვალის მოცულობის მთლიან შიდა პროდუქტთან შეფარდება;*
- *საგარეო ვალის ექსპორტთან შეფარდება;*
- *სავალუტო ვალის იმპორტთან შეფარდება;*
- *რეზერვების მონეტარულ ბაზასთან შეფარდება;*
- *საგარეო ფინანსების დეფიციტი;*
- *საგარეო ვალის კონცენტრაციის ზომა (ცალკეული ქვეყნების წილი საგარეო ვალში);*

15. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დასახასიათებლად:
- *ინვესტიციების საერთო მოცულობა;*
- *ინვესტიციების წილი მთლიან შიდა პროდუქტში;*
- *ინვესტიციების მოცულობის ზრდის დინამიკა;*
- *ინვესტიციების განაწილება ეკონომიკის დარგების მიხედვით;*

16. სხვა ქვეყნების სავაჭრო პოლიტიკის საქართველოზე გავლენის დასახასიათებლად:
- *ქვეყნის პოზიცია საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციებში;*
- *ქვეყნის პროდუქციისათვის დაწესებული სატარიფო წესები (მათი შედარება სხვა ქვეყნებთან);*
- *სავაჭრო პარტნიორის საექსპორტო და შიდა ფასების შედარება;*
- *იმპორტის დივერსიფიკაციის ზომა;*

17. საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების დახმარების მნიშვნელობის დასახასიათებლად:
- *ტექნიკური და ჰუმანიტარული დახმარების რესურსების მოცულობა და ცვლილებების დინამიკა;*
- *საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვა*

*ქვეყნებთან თანამშრომლობის პირობები.*

ზემოთ ჩამოთვლილი ინდიკატორების სიმრავლე ეკონომიკური სისტემის მთლიანობაში დგენილი მაჩვენებლები სინამდვილეში ჯამობრივ სისტემას ქმნიან, რაც ეკონომიკის, როგორც ერთიანი წარმონაქმნის დახასიათებას აძნელებს.

ცხრილი 1

ეკონომიკური უსაფრთხოების მაჩვენებლები
ს. გლაზიევის თვალსაზრისით

| № | მ ა ჩ ვ ე ნ ე ბ ლ ე ბ ი | ზღვრული მნიშვნ. |
|---|---|---|
| 1. | მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მოცულობა: | |
| | ა) „შვიდეულის" ქვეყნების საშუალო დონესთან | 75 % |
| | ბ) ერთ სულ მოსახლეზე „შვიდეულის" ქვეყნების საშუალო დონესთან | 50 % |
| | გ) ერთ სულ მოსახლეზე საშუალო მსოფლიო დონესთან | 100 % |
| 2. | გადამამუშავებელი მრეწველობის წილი სამრეწველო პროდუქციაში | 70 % |
| 3. | მანქანათმშენებლობის წილი სამრეწველო პროდუქციაში | 20 % |
| 4. | ინვესტიციების მოცულობა %-ში მშპ-თან მიმართებაში | 25 % |
| 5. | ხარჯები სამეცნიერო კვლევებზე %-ში მშპ-თან მიმართებაში | 25 % |
| 6. | ახალი სახეობის საქონლის წილი მანქანათმშენებლობის პროდუქციაში | 6 % |
| 7. | საარსებო მინიმუმზე ნაკლები შემოსავლების მქონე მოსახლეობის წილი | 7 % |
| 8. | მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობა | 70 წ. |
| 9. | თანაფარდობა მოსახლეობის ყველაზე მაღალშემოსავლიანი და ყველაზე დაბალშემოსავლიანი ნაწილის 10%-ის შემოსავლებს შორის | 8-ჯერ |
| 10. | დამნაშავეობის დონე (დანაშაულის რაოდენობა 100 ათას მოსახლეზე) | 5 ათასი |
| 11. | უმუშევრობის დონე შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მეთოდოლოგიით | 7 % |
| 12. | წლიური ინფლაციის დონე | 20 % |
| 13. | შიდა ვალის მოცულობა %-ში მშპ-თან მიმართებაში | 20 % |
| 14. | შიდა სახელმწიფო ვალის მომსახურება %-ში ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებთან | 25 % |
| 15. | საგარეო ვალის მოცულობა %-ში მშპ-თან მიმართებაში | 25 % |
| 16. | საგარეო სესხების წილი ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსებაში | 30 % |
| 17. | ბიუჯეტის დეფიციტი %-ში მშპ-თან მიმართებაში | 5 % |
| 18. | დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში %-ში ერთობლივ ფულად მასასთან | 10 % |
| 19. | უცხოური ვალუტის მოცულობა %-ში ნაღდ ფულად მასასთან | 25 % |
| 20. | ერთობლივი ფულადი მასა ( M2 ) %-ში მშპ-თან მიმართებაში | 50 % |
| 21. | იმპორტის წილი %-ში მშპ-თან მიმართებაში | 30 % |
| | ა) სურსათის იმპორტი % -ში სურსათის მოხმარებასთან | 25 % |
| 22. | ფედერაციის სუბიექტთა დიფერენციაცია საარსებო მინიმუმის მიხედვით | 1,5-ჯერ |

ასახვის მცდელობაზე მიუთითებს, რაც პრაქტიკულად მიუღწევადი ამოცანაა. წარმო- კონტრდაზვერვის მიზნებისათვის მონიტორინგის მოთხოვნების დამაკმაყოფი-





ლებელი ინდიკატორების ნაკრები უნდა შეირჩეს, რომელიც კომპაქტური და ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების, როგორც ერთიანი სისტემის დამახასიათებელი იქნება.

ჩვენი აზრით, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს რუსეთის სამეცნიერო წრეებში და ოფიციალურ დოკუმენტებში ფართოდ გავრცელებული ეკონომიკური უსაფრთხოების მაჩვენებელთა სისტემის განხილვა (იხ. ცხრილი 1).

მეთოდიკის თანახმად, მაჩვენებელთა ფაქტიური და ზღვრული მნიშვნელობების შეფარდება ნორმირებულია ზღვრული მნიშვნელობების მიხედვით, რომელიც მიიღება ერთეულის ტოლად. ამასთან იგი გაიანგარიშება როგორც ფაქტიური მნიშვნელობის შეფარდება ზღვრულთან, თუ სასურველია ეკონომიკური უსაფრთხოების შესაბამისი მაჩვენებლის გადიდება (ცხრილი 1-ის 1 ა, ბ, გ, 2, 3, 4, 5, 6, 8, 20 სტრიქონები) და, პირიქით, როგორც ზღვრული მნიშვნელობის შეფარდება ფაქტიურთან, თუ სასურველია ეკონომიკური უსაფრთხოების შესაბამისი მაჩვენებლის ბისათვის არაფერი არ არის ცნობილი არც ამგვარი ზღვრული მნიშვნელობების შესახებ, არც იმ ქვეყნების შესახებ, რომლებიც ასეთი ზღვრული მნიშვნელობების მიღწევისას „კრიტიკული საზღვრის" გარეთ აღმოჩნდნენ. გამოკვლევის შედეგების ანალიზით ა. ილარიონოვი მივიდა დასკვნამდე, რომ ქვეყნების რიცხვის ნახევარზე მეტი არ პასუხობს გლაზიევის მიერ შემოთავაზებულ ზღვრულ მნიშვნელობებს. აქედან გამომდინარე, გლაზიევის კრიტერიუმების მიხედვით ეკონომიკურად უსაფრთხო ქვეყანა მსოფლიოში არ არსებობს, რადგან ამა თუ იმ მაჩვენებლის მიხედვით „კრიტიკული საზღვრის" გარეთ იმყოფებიან. ვერც ცხოვრების დონის უმაღლესი მაჩვენებლების მქონე ქვეყნები (აშშ, იაპონია, გერმანია, იტალია, კანადა, შვეიცარია და სხვ.) და ვერც ეკონომიკური ზრდის ფენომენალური ტემპების მქონე ქვეყნები (ჩინეთი, ტაივანი, სამხრეთ კორეა, ტაილანდი, ჩილე და სხვ.) ერთდროულად 16 კრიტერიუმსაც კი ვერ აკმაყოფილებენ. საქართველო კი, სხვა 22

ცხრილი 2

ეკონომიკური უსაფრთხოების მაჩვენებლები
ა. ილარიონოვის თვალსაზრისით

| № | მ ა ჩ ვ ე ნ ე ბ ლ ე ბ ი | საშ. წლიური მსოფლიო მნიშვნ. (% მშპ) | საქართველოს მონაც. 1998 წ. |
|---|---|---|---|
| 1. | სახელმწიფო საწარმოების პროდუქცია | 13,2 | 12,7 |
| 2. | სახელმწიფო მოხმარება | 17,5 | 13,8 |
| 3. | სახელმწიფო ხარჯები | 24,7 | 15,2 |
| 4. | ბიუჯეტის დეფიციტი | 4,1 | -2,1 |
| 5. | სახელმწიფოს ვალის ნაზრდი | 0,4 | 5,0 |
| 6. | ფულადი მასის ზრდის ტემპი მშპ-ს ზრდის ტემპის გამოკლებით | 41,9 | -15,3 |
| 7. | ინფლაციის ტემპი | 41,3 | 10,7 |
| 8. | სავალუტო კურსის შემცირების ტემპი | 36,8 | 37,9 |
| 9. | საგარეო ვაჭრობაზე გადასახადები საგარეო-სავაჭრო ბრუნვასთან | 3,7 | 9,4 |
| 10. | ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს ზრდის ტემპი | 1,1 | 2,9 |

შემცირება (ცხრილი 1-ის 7, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 21, 21ა, 22 სტრიქონები).

ეკონომიკური ანალიზის ინსტიტუტის დირექტორის ა. ილარიონოვის აზრით, ს. გლაზიევის მიერ შემოთავაზებული ეკონომიკური უსაფრთხოების მაჩვენებლები არ ასახავენ ეკონომიკური უსაფრთხოების მდგომარეობას, რადგან მსოფლიო ეკონომიკური მეცნიერე- ქვეყანასთან ერთად, მხოლოდ 3 კრიტერიუმს აკმაყოფილებს, აზერბაიჯანი და სომხეთი — 4-ს, თურქეთი — 5-ს, რუსეთი — 7-ს. ს. გლაზიევის მეთოდიკის გამოყენებით რუსეთი მსოფლიოს ყველაზე უსაფრთხო ქვეყნების პირველ მესამედში მოხვდა. თურმე სიტუაცია რუსეთში უკეთესია, ვიდრე მსოფლიოს ქვეყნების დაახლოებით 70%-ში, ეს კი სინამდვილეს არ შეესაბამება. ზემო-

თქმულიდან გამომდინარე, შემოთავაზებული მაჩვენებლები ვერ ასახავენ ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების მდგომარეობას ანუ ს. გლაზიევის მაჩვენებელთა სისტემა ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემების ანალიზისათვის უვარგისია.

ა. ილარიონოვის განმარტებით ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოება ეკონომიკური, პოლიტიკური და სამართლებრივი პირობების ისეთი შეხამებაა, რომელიც ხანგრძლივ პერსპექტივაში მოსახლეობის ერთ სულზე ეკონომიკური რესურსების მაქსიმალური რაოდენობის მყარ წარმოებას ყველაზე ეფექტიანი ხერხით უზრუნველყოფს. აღნიშნული განმარტების საფუძველზე იგი გვთავაზობს მაჩვენებელთა საკუთარ სისტემას (იხ. ცხრილი 2).

ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორების შემუშავებაში არსებული მსოფლიო გამოცდილების განზოგადებისა და საქართველოს ეკონომიკური სისტემის სპეციფიკის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მონიტორინგისათვის გამოვიყენოთ შემდეგი მაჩვენებლები:

1. ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს მოცულობა, საშუალო მსოფლიო დონესთან შედარებით;
2. მშპ-ს ზრდის ტემპი;
3. ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს ზრდის ტემპი;
4. სახელმწიფო საწარმოთა პროდუქციის მოცულობა დარგების მიხედვით და მათი ხვედრითი წილი მშპ-ს მოცულობაში;
5. ექსპორტის მოცულობა და სტუქტურა;
6. იმპორტის მოცულობა და სტუქტურა;
7. ექსპორტში გადამამუშავებული მრეწველობის პროდუქციის წილი;
8. მაღალტექნოლოგიური, მეცნიერებატევადი პროდუქციის წილი;
9. მშპ-ში მეცნიერებაზე სახელმწიფო ასიგნებათა წილი;
10. სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი და ხვედრითი წილი მშპ-ში;
11. სახელმწიფო ვალი, მისი სტრუქტურა და ნაზრდი;
12. საგარეო ვალის მოცულობა %-ში მშპ-თან;
13. ინვესტიციები, მათი სტრუქტურა და მოცულობა %-ში მშპ-თან;
14. ინფლაციის ტემპი;
15. უმუშევრობის დონე;
16. შრომის ანაზღაურების წილი მოსახლეობის პირად შემოსავლებში;
17. თანაფარდობა მოსახლეობის ყველაზე მაღალშემოსავლიანი და
დაბალშემოსავლიანი ნაწილის 10%-ის შემოსავლებს შორის;
18. სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრები მოსახლეობის წილი;
19. კვების იმპორტული პროდუქტების წილი;
20. საგადასახადო შემოსავლების წილი მშპ-ში;
21. ეკონომიკურ დანაშაულთა რიცხვი და საშუალოწლიური ზრდის ტემპი;
22. სავალუტო კურსის შემცირების ტემპი;
23. საკომუნიკაციო სფეროს განვითარების დონე;
24. პირდაპირი კომპენსაციების პოტენციალი.

რასაკვირველია, წარმოდგენილი ინდიკატორების სისტემა არ არის სრულყოფილი, მასში შესულია ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე და მსოფლიო პრაქტიკაში მიღებული ზღვრული კრიტიკული სიდიდეების მაჩვენებლები. სხვა მნიშვნელოვანი ინდიკატორების ზღვრული მნიშვნელობების დადგენისას, რაც სპეციალური კვლევების განხორციელებას საჭიროებს, შესაძლებელი გახდება სისტემის გაფართოება და ეკონომიკური სისტემის სტაბილურობის სხვა ასპექტების გაანალიზება.

## 5. ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორების ანალიზის პოზიციები

ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორების მთავარი განმასხვავებელი თავისებურება მათი ზღვრული მნიშვნელობაა. უმუშევრობის დონის, ინფლაციის ტემპის და სხვა მაჩვენებლების ზღვრულად დასაშვები დონის მიღწევა საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების ტენდენციაზე მიუთითებს, ხოლო ზღვრული მნიშვნელობების გადაჭარბება საზოგადოების არასტაბილურობის და სოციალური კონფლიქტების ზონაში შესვლის ანუ ეკონომიკური უსაფრთხოების მოშლას ადასტურებს.

ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორების ანალიზისას სასურველია აღნიშნული პარამეტრები სამ ჯგუფად გაერთიანდეს. პირველ ჯგუფშია საზოგადოების ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური პოტენციალის მდგომარეობის შემფასებელი მაჩვენებლები, მეორეში — დესტაბილიზაციის გრძელვადიანი ფაქტორების გამოვლენასა და რანჟირებაზე მიმართული პარამეტრები, მესამე ჯგუფის მაჩვენებლები ზარალის თავიდან აცილებისა და კომპენსაციის არსებულ პოტენციალთა მდგომარეობას დაახასიათებენ.

ეკონომიკური დინამიკის და სოციალური განვითარების მიმდინარე და საშუალოვადიანი ასპექტების მახასიათებელია:

- ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები;
- ქვეყნის რესურსული პოტენციალის მაჩვენებლები;
- სამეურნეო მექანიზმის დინამიურობისა და ადაპტიურობის მაჩვენებლები;
- მოსახლეობის ცხოვრების დონის მაჩვენებლები.

ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე ნეგატიურად მოქმედი გრძელვადიანი ანუ დესტაბილიზაციის ფაქტორები და მათი ზღვრული მნიშვნელობები გამოიხატება არა რაოდენობრივ მაჩვენებელში, არამედ ხანგრძლივად ჩამოყალიბებულ ნეგატიურ ტენდენციებში. ამასთან, ეკონომიკური უსაფრთხოებისათვის გადამწყვეტია არა ნეგატიური ტენდენციების სიღრმე, არამედ მათი ხასიათი და ხანგრძლივობა (მაგალითად, განათლებისა და სამეცნიერო საქმიანობის დისკრედიტაცია, მეურნეობის სხვადასხვა სფეროს კრიმინალიზაცია და სხვა).

დესტაბილიზაციის გამომწვევი ფაქტორებით მიყენებული ან რეალური ზარალის ასანაზღაურებლად აუცილებელი დანახარჯების გასაანგარიშებლად შესაძლებელია ახალი, პირდაპირი კომპენსაციების პოტენციალის მაჩვენებლის გამოყენება, რომელიც მოიცავს:

- სპეციალურ მარაგებსა და რეზერვებს;
- კრიტიკული სიტუაციების ადგილებში მატერიალური რესურსების მისაწოდებლად დამატებითი სატრანსპორტო შესაძლებლობებს;
- სარეზერვო სიმძლავრეებს, განსაკუთრებით ენერგეტიკის დარგებში;
- ფინანსურ რეზერვებს;
- საერთაშორისო მხარდაჭერის შესაძლებლობებს;
- საქველმოქმედო ფონდების შესაძლებლობებს და სხვა.

უსაფრთხოების ინდიკატორების ზღვრული სიდიდეები ეკონომიკური სისტემის ინტეგრაციული ერთიანობის გათვალისწინებით უნდა განიხილებოდეს. მთლიანი სისტემა არ არის შემადგენელი ელემენტების უბრალო ჯამი, მას გააჩნია სინერგიზმის თვისება (როცა სისტემის ელემენტების კომბინირებული მოქმედების ეფექტი აჭარბებს ცალკე თითოეული ელემენტის მოქმედებას). მთლიანობით სისტემაში ცალკეული ელემენტები იმანენტურ თვისებებთან ერთად იძენენ ემერჯენტულ თვისებებს, რომლებიც სისტემის გარეთ არ გააჩნიათ.

**ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე ნეგატიურად მოქმედი ფაქტორები ხანგრძლივად ჩამოყალიბებულ უარყოფით ტენდენციებში გამოიხატება, ამასთან, ყველაზე სახიფათო მათი ხასიათი და ხანგრძლივობაა.**

ეკონომიკურ სისტემას ახასიათებს სამი მნიშვნელოვანი თავისებურება. უსაფრთხოების ინდიკატორების გამოყენებისას მათი მხედველობაში მიღება აუცილებელია. ეს თავისებურებანია: სისტემის სტრუქტურებისა და ელემენტების საკომპენსაციო მექანიზმი, სინერგიული ეფექტი და „დინამოს პრინციპი".

სტაბილურობის შესანარჩუნებლად ეკონომიკურ სისტემებს გააჩნიათ დანაკარგების კომპენსაციის დაცვითი მექანიზმი, რომელიც ეფექტურად მომუშავე ქვესისტემებიდან დამატებითი რესურსების მოზიდვას და დროებითი შენაცვლების მიზნით მუშაობის ნორმალური რეჟიმიდან გამოსული ქვესისტემების ფუნქციონალური მოვალეობების გადანაწილებას ემყარება.

სინერგიული ეფექტის შედეგად სიტუაციაზე შესაძლებელია ფაქტორების მოულოდნელად ძლიერი ან სუსტი ზემოქმედება.

ეკონომიკური სისტემის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეიძლება ითამაშოს „დინამოს პრინციპმა", როცა სისტემაში პროცესები აღწევენ მოვლენათა ჯაჭვური რეაქციის გამომწვევ „კრიტიკულ წერტილს". ასეთი რეაქციის უარყოფითი შედეგების ნეიტრალიზება საკმაოდ რესურსტევადი და ძნელად შესასრულებელი ამოცანაა.

უსაფრთხოების ინდიკატორების ნეგატიური გავლენის ექსტრაპოლაციამ (პროცესების განვითარებაზე მოვლენაზე დაკვირვებით მიღებული დასკვნების გავრცელება), „კომპენსაციის", „სინერგიზმის" და „დინამოს პრინციპის" მექანიზმების გამოვლინების ალბათობის გაუთვალისწინებლად, შეიძლება მიგვიყვანოს არასწორ დასკვნამდე ანუ სიტუაციის ანალიტიკური შეფასებები შეიძლება გადაიხაროს კატასტროფული ან იდეალური უკიდურესობისაკენ. ამიტომ, ანალიტიკოსებმა ეკონომიკურ სისტემაში მიმდინარე პროცესების არაწრფივი ხასიათი უნდა გაითვალისწინონ.

ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის პოზიციიდან გადამწყვეტია მაჩვენებელთა ცვლილების ხასიათის თვისობრივი ანალიზი, რომლის მიხედვითაც გამოიყოფა ინდიკატორის ცვლილების შემდეგი სფეროები:

- მდორე ცვლილების სფერო;
- კრიტიკული სფერო — კრიზისის ზონა, რომელშიც შეიძლება დაირღვეს მაჩვენებლის მდორე ცვლილება და ეკონომიკური სისტემის თვისობრივი შეცვლა გამოიწვიოს;
- კრიზისის შემდგომი სფერო, რომელშიც შეიძლება მოხდეს მაჩვენებლის უკონტროლო (სიჩქარის მიხედვით) ცვლილება.

მაჩვენებლის არასასურველი ცვლილების ფაქტი მოახლოებული საფრთხის ნიშანია, განმსაზღვრელია კრიტიკული ზღურბლის გადალახვის მომენტი. კრიტიკული ზღურბლი მაჩვენებლის მინიმალურად დასაშვები ფიქსირებული დონეა, რომელიც ერთეულის ტოლად მიიჩნევა. ზღვრული მნიშვნელობების დადგენა ავტონომიურად, სპეციალური კვლევების საფუძველზე ხორციელდება. ზოგჯერ არნიშნული მაჩვენებელად მსოფლიო გამოცდილებით დამტკიცებული საერთაშორისო სტანდარტები გამოიყენება. საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, სახელმწიფოსათვის


ბიულეტენი №30 სექტემბერი 1999 წ.

კრიტიკული სიტუაცია იქმნება როცა:

- მთლიანი შიდა პროდუქტის და სამრეწველო წარმოების დაცემის დონე 30%-ს აღემატება;
- საგარეო ვალი მთლიანი შიდა პროდუქტის 40%-ს აჭარბებს;
- უმუშევრობის დონე 12%-ზე მეტს აღწევს;
- ინფლაციის ყოველთვიური ტემპი 8%-ს აღემატება;
- შრომის ანაზღაურების (ხელფასის) წილი მოსახლეობის პირად შემოსავლებში 60%-ზე ნაკლებია;
- თანაფარდობა მოსახლეობის ყველაზე მაღალ და დაბალშემოსავლიანი ნაწილის 10%-ის შემოსავლებს შორის ზღვრულ სიდიდეს (1 : 10) აღემატება;
- კვების იმპორტული პროდუქტების წილი 30%-ზე მეტია;
- ექსპორტში გადამამუშავებული მრეწველობის პროდუქციის წილი 45%-ზე, მაღალტექნოლოგიური, მეცნიერებატევადი პროდუქციის წილი კი 15%-ზე ნაკლებია;
- სიღარიბის ზღვარს მიღმა მოსახლეობის 10%-ზე მეტია;
- მთლიან შიდა პროდუქტში მეცნიერებაზე სახელმწიფო ასიგნებათა წილი 2%-ზე ნაკლებია და ა.შ.

ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორების ზღვრული მნიშვნელობების დადგენის შემდეგ შესაძლებელი ხდება მორიტორინგის სისტემის ჩამოყალიბება.

## 6. ეკონომიკური უსაფრთხოების მონიტორინგი

ეკონომიკური უსაფრთხოების მონიტორინგის (თვალყურის დევნება, ანალიზი, პროგნოზირება) მიზანია ეროვნული ეკონომიკის მდგრადობაზე ზემოქმედების თვალსაზრისით არსებული ან მოსალოდნელი საფრთხეების შეფასება, სახიფათო რისკის ფაქტორების გამოვლენა, რანჟირება და მათი გაუვნებლების ეფექტიანი ღონისძიებების შემუშავება.

ეკონომიკური უსაფრთხოების მონიტორინგის ერთიანი სახელმწიფოებრივი სისტემის ჩამოყალიბებით გადაწყდება შემდეგი საკითხები:

- ეკონომიკურ სისტემაზე დროში და სივრცეში განსაზღვრულ დაკვირვებათა სისტემის ფუნქციონირება, რაც სპეციალური, პროფესიონალურ დონეზე ფუნქციონირებადი სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით უნდა მოხდეს.
- მიღებული ოპერატიული და სისტემატური ინფორმაციის საფუძველზე ეკონომიკური სიტუაციის კომპლექსური და მიზნობრივი შეფასება, რაც მთლიანად ქვეყნის და რეგიონების მიხედვით განხორციელდება.
- ეკონომიკური სისტემის მდგომარეობის შეფასებების გათვალისწინებით, განვითარების ეკონომიკური სცენარის და პროგნოზების შემუშავება. ამ საკითხის გადაწყვეტა უარყოფითი შედეგების თავიდან აცილების საფუძველი გახდება.

მონიტორინგის სისტემის ორგანიზებისათვის საჭიროა:

1.საქმიანობის დასაწყებად ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილება;

2. ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორების დაკანონება;

3. შესაბამისი მეცნიერული კვლევების საფუძველზე, ინდიკატორების ზღვრული მნიშვნელობების დადგენა;

4. ინდიკატორების მნიშვნელობების ინფორმაციული ბაზის შექმნა;

5. მონიტორინგზე პასუხისმგებელი ორგანოს განსაზღვრა, შესაბამისი კადრებით და ტექნიკით დაკომპლექტება;

6. მონიტორინგზე მომუშავე ჯგუფის ფინანსებით და ინფორმაციით უზრუნველყოფა (სამინისტროებიდან და უწყებებიდან ობიექტური ინფორმაციის ოპერატიული მიღება);

7. საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოსათვის მონიტორინგის შედეგების მიწოდება;

8. ეროვნული უშიშროების საბჭოს მიერ დამტკიცებული პროგრამების, გადაწყვეტილებებისა და რეკომენდაციების შესახებ ინფორმაციის მონიტორინგის ჯგუფისათვის მიწოდება.

მონიტორინგის სისტემამ უნდა იმუშაოს მუდმივი მზადყოფნის რეჟიმში და ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლება ეკონომიკური უსაფრთხოების სფეროში არსებული მოვლენების შესაძლო განვითარების მრავალვარიანტული პროგნოზებითა და საპასუხო მოქმედებათა შესახებ სათანადო რეკომენდაციებით უზრუნველყოს.

ჩვენი აზრით, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული მიზნების შესასრულებლად უპირატესობა პოლიტიკური და ეკონომიკური მეთოდების გამოყენებას უნდა მიენიჭოს. ამასთან, სათანადო ყურადღება ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძალისმიერ მეთოდებსაც უნდა მიექცეს.

## 7. საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების რისკ-ფაქტორები

განვიხილოთ საქართველოს ეკონომიკის მდგომარეობა უსაფრთხოების ინდიკატორების ზღვრული მნიშვნელობების მიხედვით. ეკონომიკის განვითარების ყველაზე განმაზოგადებელი მაკრომაჩვენებლის — მთლიანი შიდა პროდუქტის კრიტიკულ დონედ მსოფლიო პრაქტიკაში მიღებულია დიდი დეპრესიის პერიოდში დაფიქსირებული დაცემის დინამიკა, კერძოდ, 30%. სწორედ ამ რაოდენობით შემცირდა ამერიკის შეერთებული შტატების მშპ-ს მოცულობა 1929 - 1933 წლებში.



ბიულეტენი №30 სექტემბერი 1999 წ.

საქართველოში, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, 1991-1994 წლებში საზოგადოების სტაბილურობის უზრუნველმყოფი ძირითადი ქვესისტემების სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ელემენტების ნორმალური ფუნქციონირების რეჟიმიდან გამოსვლამ, ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში შეიარაღებულმა კონფლიქტებმა, დასავლეთ საქართველოში სამოქალაქო ომმა, დამნაშავეობის ზრდამ და სხვა ფაქტორებმა 1993 წლის შემოდგომაზე ქვეყანა ფაქტობრივად კრახის წინაშე დააყენა. სამეურნეო ცხოვრებიდან გამოითიშა ეკონომიკური პოტენციალის მნიშვნელოვანი ნაწილი, ხოლო ზარალი რამდენიმე მილიარდ ამერიკულ დოლარს გაუტოლდა. 1994 წელს მშპ-მა 1990 წელთან შედარებით 20,2%, ხოლო სამრეწველო წარმოების მოცულობამ 19% შეადგინა.

1994 წლის შემოდგომიდან, პოლიტიკური სტაბილურობის განმტკიცებასთან ერთად, საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების და დონორი ქვეყნების მხარდაჭერით, დაიწყო კარდინალური ეკონომიკური რეფორმა. ამის შედეგად დღევანდელი საქართველოს ეკონომიკა ჩამოყალიბდა თვითგანვითარებად სისტემად, რომელშიც დადებითი ტენდენციები გაძლიერდა. შედეგები ძალიან მცირეა, აბსოლუტურ მოცულობაში კი უმნიშვნელო. ქვეყნის ეკონომიკური, განსაკუთრებით სამრეწველო, პოტენციალი არასრულადაა გამოყენებული. 1998 წელს მშპ-მა 1990 წლის დონის მხოლოდ 40,9% შეადგინა. განსაკუთრებით დიდი დაცემა განიცადა მრეწველობამ. 1998 წელს სამრეწველო წარმოების მოცულობამ 1990 წლის დონის მხოლოდ 13% შეადგინა.

საგანგაშოა, რომ 1998 წელს დაწყებული სწრაფი ეკონომიკური ზრდის ტენდენციის მნიშვნელოვანი შენელება დღემდე გრძელდება. თუ 1996 - 1997 წლებში მშპ-ს ზრდის ტემპი საშუალოდ 11% იყო, 1998 წელს ამ მაჩვენებელმა მხოლოდ 2,9% შეადგინა, ხოლო 1999 წლის I კვარტალში — 1,2%. ეკონომიკური ზრდის შენელება, უმთავრესად, მრეწველობაში შექმნილი დამატებული ღირებულების მოცულობის შემცირებამ განაპირობა.

როგორც ვხედავთ, სამრეწველო პოტენციალის განადგურებისა და ეკონომიკის დეინდუსტრიალიზაციის პროცესი საქართველოს ეკონომიკური სისტემის სტაბილურობის მნიშვნელოვან რისკ-ფაქტორად რჩება.

საქართველოს საგარეო ეკონომიკური კავშირების განვითარება საექსპორტო და იმპორტშემცვლელი წარმოების მხარდამჭერი სტრატეგიის შემუშავებას და რეალიზაციას, პროგრესული საექსპორტო სტრუქტურის შექმნას მოითხოვს. ამისათვის საჭიროა ექსპორტის რადიკალური დივერსიფიკაცია. ამასთან, აუცილებელია ექსპორტზე ორიენტირებული საწარმოების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა, რაც შესაძლებელია ორი მიმართულებით განხორციელდეს:

- სელექციური შეღავათიანი საგადასახადო პოლიტიკა — დაჩქარებული ამორტიზაცია, შეღავათიანი, მათ შორის უპროცენტო კრედიტები, საექსპორტო საწარმოებში ახალ კაპიტალდაბანდებებზე შეღავათების დაწესება, პირდაპირი სახელმწიფოებრივი დაფინანსება, სახელმწიფო შეკვეთებისა და შესყიდვების სისტემა და სხვა;
- ხელსაყრელი პირობების შექმნა — ექსპორტის დაკრედიტების და საექსპორტო კრედიტების დაზღვევა, შესაფერისი საკანონმდებლო ბაზის შექმნა, საკონსულტაციო საქმიანობა, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და სხვა.

საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის პერსპექტივის (ევრაზიის სატრანსპორტო დერეფანი) განვითარება ყველა სახეობის ტრანსპორტის შეუფერხებლ და საიმედო ფუნქციონირებას მოითხოვს. მაღალი სატრანსპორტო დანახარჯებისა და ტრანსპორტის სხვადასხვა სახეობაზე ავარიებისა და კრიმინოგენური სიტუაციების წარმოშობის მაღალი ალბათობის გამო, სატრანსპორტო სისტემაში არსებული მდგომარეობა ქვეყნის ექსპორტის კონკურენტუნარიანობას და სატრანზიტო გადაზიდვების მოცულობას ზღუდავს. ამჟამად ტრანსპორტის ძირითადი ფონდები გაცვეთილია, სავალალო მდგომარეობაშია საგზაო მეურნეობაც, დიდია დებიტორული და საბიუჯეტო დავალიანების დონე, გადახდილი ჯარიმების ოდენობა, მენეჯმენტი მოძველებულია, ხოლო მომსახურების კულტურა დაბალია. ეკონომიკა სატრანსპორტო დარგიდან შემოსავლების უზარმაზარ ოდენობას კარგავს (დაახლოებით 100 მლნ ლარს წელიწადში).

კრიზისის მოსაგვარებლად ხელისუფლების მიერ განხორციელებული საგანგებო ღონისძიებების შედეგად ტრანსპორტის ცალკეულ სახეობებზე ტვირთზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის მაჩვენებლები გაიზარდა, რკინიგზის და საავტომობილო ტრანსპორტი განვითარდა, მილსადენი და საბორნე ტრანსპორტი გაუმჯო-

**ეროვნული ეკონომიკის მდგრადობაზე ზემოქმედების თვალსაზრისით, ეკონომიკური უსაფრთხოების მონიტორინგის მიზანი არსებული ან მოსალოდნელი საფრთხის შეფასება, ყველაზე სახიფათო რისკის ფაქტორების გამოვლენა და მათი გაუვნებლობის ეფექტიანი ღონისძიებების შემუშავებაა.**

ბესდა, უცხოელი ბიზნესმენების საქართველოს რკინიგზით, საზღვაო და საჰაერო პორტებითა და საავტომობილო გზებით საყოველთაო დაინტერესება გაიზარდა.

ზოგიერთი დადებითი ტენდენციის მიუხედავად, ქვეყნის სატრანსპორტო სისტემის მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია და ეკონომიკის სატრანსპორტო უსაფრთხოებას ვერ უზრუნველყოფს. საერთაშორისო ტვირთების გადაზიდვის მაღალი შემოსავლიანობის გამო, საქართველოს სატრანსპორტო ობიექტების მშენებლობისა და პრივატიზაციის პროცესში უცხოური კომპანიებისა და ფირმების განსაკუთრებული ინტერესი შეინიშნება. ხოლო უცხოელი ექსპერტების რეკომენდაციით, სატრანზიტო გადაზიდვების მომსახურე სატრანსპორტო ობიექტები ინვესტირებისათვის ერთ-ერთ ყველაზე პრიორიტეტულ მიმართულებადაა მიჩნეული. ალსანიშნავია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი მოცულობის გადაზიდვები სხვა ქვეყნების სატრანსპორტო საშუალებებით ხორციელდება.

სატრანსპორტო სისტემის ფუნქციონირების საიმედობის გაზრდის, შესაბამისად, სატრანსპორტო უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის, მიზანშეწონილად მიგვაჩნია:

- შიდა და გარე ნეგატიური ფაქტორების ზემოქმედების პირობებში სატრანსპორტო სისტემის ვარიანტული მოდელირება და კომპლექსური ანალიზი განხორციელდეს;
- სატრანსპორტო სისტემის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ობიექტების განვითარების პერსპექტივები დაისახოს, ხოლო თითოეული ობიექტის გავლენის ხარისხი ეკონომიკური უსაფრთხოების დონეზე შეფასდეს;
- სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სატრანსპორტო ობიექტები მთლიანად საქართველოს სასაზღვრო და შინაგანი ჯარების მიერ გაკონტროლდეს;
- ანისაზღვროს: ეროვნული და უცხოური კაპიტალის დაბანდებისათვის ღია სატრანსპორტო ობიექტები; პირდაპირი ინვესტიციებისათვის ნაწილობრივ ღია ან მთლიანად დახურული ობიექტები; აგრეთვე პარალელური, დუბლირებული და ალტერნატიული სატრანსპორტო ქვესისტემების განვითარების მიმართულებები, ექსტრემალურ ტექნოლოგიურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ სიტუაციებში მათი ეფექტური და ოპერატიული გამოყენებისათვის.

საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების მნიშვნელოვან საფრთხე დეფიციტიანი ბიუჯეტია. სხვა ქვეყნების გამოცდილებით, რაც უფრო დიდია ბიუჯეტის დეფიციტი, მით უფრო ნაკლებია ეკონომიკური ზრდის ტემპები (იხ. ნახ. 1). ამასთან, იმ ქვეყნების ჯგუფში, სადაც ბიუჯეტის დეფიციტი მშპ-ს 10%-ს ჭარბობს, ეკონომიკური ზრდის ტემპები უარყოფითია — წელიწადში საშუალოდ 0,8%. პირიქით, იმ ქვეყნების ჯგუფში, სადაც სახელმწიფო ხარჯები ნაკლებია სახელმწიფო შემოსავლებზე ანუ ბიუჯეტი პროფიციტურია, ეკონომიკური ზრდის ყველაზე მაღალი ტემპები — წელიწადში საშუალოდ 2,8%-ზე მეტი შეინიშნება.

ინფლაციის მოთოკვის შემდეგ, საბიუჯეტო დეფიციტი საქართველოს ეკონომიკის საკვანძო პრობლემად იქცა. მართალია, ბოლო წლების განმავლობაში ბიუჯეტის დეფიციტის მოცულობა მცირდებოდა, მაგრამ ბიუჯეტის ხარჯების შემოსავლებზე გადამეტება ნარჩუნდებოდა. საბიუჯეტო დეფიციტის კვლავწარმოების მექანიზმად საგადასახადო შემოსავლების გეგმების ქრონიკული შეუსრულებლობა იქცა. 1999 წელს მდგომარეობა უცვლელია. ბიუჯეტში „გარღვევის" გამო ხელისუფლება იძულებულია ხარჯების სეკვესტრის მექანიზმი აამოქმედოს, რაც მოახლოებული არჩევნების ფონზე სოციალური არასტაბილურობის საფრთხეს შეიცავს.

მართალია, უკანასკნელ წლებში სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის მოცულობა ზრდის ტენდენციით ხასიათდება, მაგრამ 1990 წლის დონეს დაახლოებით 60%-ით ჩამორჩება. საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციის პირობებში იმპორტის ექსპანსიამ სასურსათო ბაზრიდან სამამულო მწარმოებლების მასობრივი განდევნა გამოიწვია. ბოლო წლებში სიტუაცია თანდათან უმჯობესდება, მაგრამ სხვა ქვეყნების საკვები პროდუქტების მოძალება საქართველოს ბაზარზე ჯერ კიდევ საგრძნობია და სოფლის მოსახლეობას დიდ პრობლემებს უქმნის. ამასთან, შემოტანილი პროდუქციის დიდი ნაწილი დაბალი ხარისხისაა, დაბინძურებულია ან ჯანმრთელობისათვის მავნე მინარევებს შეიცავს. სიტუაციას კიდევ უფრო ამძაფრებს კრიზისულ წლებში ცხოვრების დონის მკვეთრი დაცემა, მოსახლეობის სოციალური და ქონებრივი განფენილობის პროცესის გაღრმავება, სილატაკის ფონზე პროდუქტების შეფარდებითი სიძვირე. შედეგად მოსახლეობის ნაწილი შიმშილობს, დიდი ნაწილი კი არაადექვატურად იკვებება (ე.წ. „უხილავი შიმშილი").

მსოფლიო პრაქტიკაში კრიტიკულ ზღვარად მიჩნეულია კვების იმპორტული პროდუქტების

**მონიტორინგის სისტემამ მუდმივი მზადყოფნის რეჟიმში უნდა იმუშაოს და ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლება ეკონომიკური უსაფრთხოების სფეროში 'არსებული მოვლენების შესაძლო განვითარების მრავალვარიანტული პროგნოზებითა და საპასუხო მოქმედებათა შესახებ სათანადო რეკომენდაციებით უზრუნველყოს.**





მოხმარების 30%-იანი დონე, რომლის გადაჭარბების შემდეგ იმპორტიორებზე ქვეყნის სტრატეგიული დამოკიდებულება წარმოიშობა. უცხოური და იმპორტზე ორიენტირებული ეროვნული ფირმები, პროტექციონისტული ბარიერების არარსებობის ან სისუსტის პირობებში, ხშირად სურსათის იმპორტს დემპინგურ ფასებში ახდენენ, რითაც კონკურენციულ ბრძოლაში ადგილობრივ მწარმოებლებს ადვილად ამარცხებენ. ალსანიშნავია, რომ სურსათის იმპორტით კაპიტალი უცხოეთში ლეგალურად გაედინება, რითაც საქართველოს ეკონომიკის განვითარებისათვის აუცილებელი ფინანსური რესურსების მოცულობა მცირდება.

კვების იმპორტული პროდუქტების მაღალი ხვედრითი წილი საქართველოს ეკონომიკური სისტემის სტაბილურობაზე უარყოფითად მოქმედი ფაქტორია.

**სამრეწველო პოტენციალის განადგურების და ეკონომიკის დეინდუსტრიალიზაციის პროცესი საქართველოს ეკონომიკური სისტემის სტაბილურობის მნიშვნელოვან რისკ-ფაქტორად რჩება.**

ალსანიშნავია, რომ მსოფლიოში თითქმის არ გვხვდება ურთიერთლია სასურსათო საქონლის ბაზრები. პრაქტიკულ პოლიტიკაში ყველა სახელმწიფო საკუთარი რეალური ინტერესებიდან გამოდის და შეძლებისდაგვარად იცავს მათ. თანამედროვე პირობებში ქვეყნის ბაზარი უპირატესად ღია უნდა იყოს, მაგრამ სასურველია ღია და დახურულ სექტორებს შორის მომგებიანი სალდოს განმაპირობებელი ბალანსი იქმნებოდეს.

საქართველოში სურსათის იმპორტით დაკავებულია ბევრი ეკონომიკური სუბიექტი, რომელთა პასუხისმგებლობაც საკუთარი ქმედებების შედეგებზე სათანადო დონეზე არ დგას. ასეთი ვითარება სახელმწიფოს მხრიდან სტანდარტიზაციის, სერტიფიკაციის, საბაჟო და ეკოლოგიური კონტროლის ძირეულ გაუმჯობესებას მოითხოვს. კერძოდ, იმპორტული საქონელი რადიაქტიული, ქიმიური და სხვა ეკოლოგიურად საშიში და ჯანმრთელობისათვის მავნე დანამატების გამოვლენის მიზნით შემოწმებას საჭიროებს.

ინდუსტრიულ, განვითარებულ ქვეყნებში ეკონომიკის აგრარული სექტორის მხარდაჭერა დოტაციებით, საგადასახადო და საკრედიტო შეღავათებით ხორციელდება და საქართველოში მათი გამოცდილების გამოყენება სასარგებლოა. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს სურსათის შენახვის, გადამუშავებისა და განაწილების თანამედროვე სისტემის, აგრეთვე აგრარულ სექტორში საბაზრო ინფრასტრუქტურის უსწრაფეს შექმნას და დაეხმაროს იმ სამამულო საწარმოებს, რომელთაც მოსახლეობის სურსათით მომარაგების გასაუმჯობესებლად გარკვეული პოტენცია გააჩნიათ. ეს კი სასურსათო პროდუქციის იმპორტის მასშტაბებს შეამცირებს.

საქართველო არც ისე დიდი საგარეო დავალიანების მქონე ქვეყნად ითვლება. 1999 წლის 1 აპრილის მდგომარეობით საქართველოს საგარეო ვალმა დაახლოებით 1,8 მილიარდი ამერიკული დოლარი შეადგინა. მშპ-თან შედარებით მან უკვე რამდენიმე წელია გადააჭარბა კრიტიკულად დასაშვებ ზღვარს (30%-ს). 1995 წელს საქართველოს საგარეო ვალების წილი მშპ-ში 44% იყო, 1996 წელს — 36%, 1997 წელს — 33%, 1998 წელს კი დაახლოებით 37% შეადგინა.

1998 წლის მონაცემებით, საქართველოს საგარეო ვალებზე გადასახდელებმა საქონლისა და მომსახურების ექსპორტის 29% შეადგინა, მაშინ როცა სახელმწიფო ვალის მომსახურების კოეფიციენტის უსაფრთხო დონედ 25%-ია მიღებული (იხ. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ბიულეტენი № 24, მაისი 1999 წ).

1999 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში საერთაშორისო ვალდებულებების მომსახურებისათვის 184,8 მლნ ლარია გამოყოფილი, რაც ბიუჯეტის ხარჯების საპროგნოზო მოცულობის 15%-ია, მათ შორის საგარეო ვალების საპროცენტო თანხის მომსახურებაზე 85,2 მლნ ლარია გამოყოფილი, ხოლო ძირითადი თანხის გადახდაზე — 98,6 მლნ ლარი (49,3 მლნ აშშ დოლარი). მიმდინარე ხარჯების ზრდა მომავალი წლების ბიუჯეტებზე სავალო დაწოლას აძლიერებს. საგარეო ვალების რესტრუქტურიზაციაში მიღწეულია გარკვეული დადებითი შედეგები და უკანასკნელ წლებში გამოიკვეთა შესაბამისი ინდიკატორის კრიზისული ზონიდან გამოსვლის ტენდენცია. ამ ფაქტის მიუხედავად, ვალების დიდი მოცულობა გრძელვადიან პერსპექტივაში ქვეყნის სავალო მარყუჟში მოხვედრის საფრთხეზე მიუთითებს.

საგარეო ვალების პრობლემის გადასაწყვეტად ყველაზე რეალური სცენარია „ნულოვანი ბიუჯეტის დეფიციტი და ნულოვანი წმინდა სესხები", მაგრამ მის განხორციელებას შესაბამისი მიმდინარე და საშუალოვადიანი საბიუჯეტო მაჩვენებლების უცილობელი შესრულება დასჭირდება. საბიუჯეტო ხარჯების ზღვრული სიდიდეები, შემოსავლების მინიმალური დონეები, საგარეო ვალის დაფარვის მოცულობებთან დაკავშირებული საგარეო სესხების ლიმიტები და საშინაო სესხების ზღვრული სიდიდეები ეკონომიკური უსაფრთხოების ის კრიტიკული დონეებია, რომლებიც ქვეყნის უშიშროებას რეალურ საფრთხეს უქმნიან.

ალსანიშნავია, რომ საქართველოს საგარეო ვალების წარმომქმნელი სახელმწიფო კრედიტების უდიდესი ნაწილი კრიზისულ პერიოდში ეკონომიკის და მოსახლეობის სიცოცხლისუნარიანობის შესანარჩუნებლად იქნა გამოყენებული. ეკონომიკური რეფორმის მხარდაჭერის

მიზნით საქართველო საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დონორი ქვეყნებისაგან მნიშვნელოვან საგარეო კრედიტებს იღებს.

ეკონომიკის ცალკეული სექტორების მიხედვით საგარეო ფინანსური დახმარების განაწილების ტენდენციებიდან ნათელია, რომ ტექნიკური დახმარების პროგრამების ძირითადი რიცხვი და მაქსიმალური ფულადი თანხები ელექტროენერგეტიკაზე, კავშირგაბმულობაზე, სოფლის მეურნეობაზე და ტრანსპორტზე მოდის. უცხოელების მიერ სწორედ ეს დარგებია პერსპექტიულად მიჩნეული. უცხოელების აზრით, საქართველოს მრეწველობა ძირითადად მცირე ბიზნესის სახით უნდა იყოს წარმოდგენილი. საქართველოს ინდუსტრიული დარგის მსხვილი „სამრეწველო მონსტრების“ განვითარების ან მათი ლიკვიდაციის საკითხები კი მთავრობის გადასაწყვეტია.

დამაფიქრებელია ის ფაქტი, რომ კერძო უცხოური კაპიტალი საქართველოს საკომუნიკაციო სფეროში და ვაჭრობაში, აგრეთვე მომპოვებელ ინდუსტრიასა და კვების მრეწველობაში ბიზნესის ძირითად ნაწილს აკონტროლებს. ექსპორტში გადამამუშავებელი მრეწველობისა და მაღალტექნოლოგიური პროდუქციის დაბალი წილი იმაზე მიანიშნებს, რომ ეკონომიკის ტექნოლოგიური ჩამორჩენილობისა და მაღალგანვითარებული ქვეყნების სანედლეულო დანამატად გადაქცევის საფრთხე საქართველოსათვის უაღრესად აქტუალურია.

ტექნოლოგიური ჩამორჩენილობის დაძლევა და საექსპორტო პროდუქციის მოცულობაში მაღალტექნოლოგიური პროდუქციის არანაკლებ 15%-იანი წილის მიღწევა ფუნდამენტალურ და გამოყენებით მეცნიერებაში სათანადო ინვესტირების გარეშე შეუძლებელია. კრიზისულ წლებში ქართული მეცნიერება დიდი განსაცდელის წინაშე დადგა, ბევრი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი უფუნქციოდ და დაფინანსების გარეშე დარჩა. მაღალკვალიფიციური და ინტელექტუალური მეცნიერები, ტექნიკური ინტელიგენციის წარმომადგენლები, სხვადასხვა დარგის წამყვანი სპეციალისტები ქუჩაში, ზოგიერთნი კი უცხოეთში აღმოჩნდნენ. სამუშაოს საძიებლად საზღვარგარეთ წასული მოქალაქეების მაღალი მაჩვენებელი უაღრესად დამაფიქრებელია. მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს ის გარემოება, რომ მაღალკვალიფიციური სპეციალისტების საზღვარგარეთ მასობრივი გასვლის პირობებში ქვეყანაში დასაქმებული უცხოელი სპეციალისტების რიცხვი თანდათან მატულობს. დღეს მეცნიერთა და სპეციალისტთა მასიური დროებითი ემიგრაციის ტენდენციის დამკვიდრებამ, სავარაუდოა, ახალი სამუშაო ადგილების უცხოელთა მიერ შევსება გამოიწვიოს. ამასთან, საქართველოს მოქალაქეთა უკუმიგრაციის სახელმწიფო მექანიზმის ამოქმედება ვითარებას ველარ გამოასწორებს.

ტექნოლოგიურად განვითარებული ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მშპ-დან მეცნიერებაზე სახელმწიფო ასიგნებათა წილი არ უნდა იყოს 2%-ზე ნაკლები. ისრაელში იგი 3,5%-ს შეადგენს, იაპონიაში 3,05%-ს, ხოლო აშშ-ში 2,75%-ია. აღსანიშნავია, რომ საქართველოში 1998 წელს ამ მაჩვენებელმა მხოლოდ 0,2% შეადგინა.

საერთო ეკონომიკური განვითარების არც თუ ისე მაღალი დონის მიუხედავად, დასავლური სტანდარტებით საქართველო მნიშვნელოვან სამეცნიერო-ტექნიკურ პოტენციალს ჯერ კიდევ ფლობს. ამ ვითარების გასაუმჯობესებლად გადამჭრელი ზომების მიღებაა საჭირო.

მიღწეული პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობის პირობებში, კრიზისულ წლებთან შედარებით, საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკურ ურთიერთობათა სისტემაში საქართველოს ადგილის ახალი სახით ჩამოყალიბების ტენდენცია შეინიშნება. საერთაშორისო ორგანიზაციების და ინოვაციური ფონდების მეშვეობით, მნიშვნელოვანი სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამები და პროექტები მუშავდება, სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების გეგმაზომიერი მომზადება, ინტელექტუალური პოტენციალის შენარჩუნებისა და გაზრდის სახელმწიფოებრივი ღონისძიებები ხორციელდება. 1997 წელს მეცნიერების დაფინანსება გრანტულ სისტემაზე გადავიდა, ხოლო ამჟამად საქართველოს მეცნიერების განვითარების კონცეფციის პროექტი მუშავდება.

ეროვნული ტექნოლოგიური უსაფრთხოება სამამულო სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის ზღვრულად დასაშვებ მინიმალურ დონეზე შენარჩუნებას გულისხმობს. შიდა და გარე პირობების მკვეთრი გაუარესების შემთხვევაში, იგი ეროვნული საკუთარი ინტელექტუალური და ტექნოლოგიური რესურსების გამოყენებით ეკონომიკის გადარჩენას უზრუნველყოფს.

ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, სასურველია, საქართველოში მოწინავე ტექნოლოგიების იმპორტი დაბრკოლებების გარეშე განხორციელდეს, ხოლო ქართული ტექნოლოგიების ექსპორტის კონტროლისათვის შეიქმნას ტექნოლოგიების საერთაშორისო გადაცემების კომისია, რომელშიც შევლენ „საქპატენტის“, ეკონომიკის, ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა, ფინანსთა, საგარეო საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების სამინისტროთა წარმომადგენლები.

ინფლაცია ერთ-ერთი ყველაზე პოლიტიზებული მაჩვენებელია, რადგან იგი უშუალო გავლენას ახდენს მოსახლეობის ცხოვრების დონეზე და სოციალურ-პოლიტიკურ სტაბილურობაზე. სწორედ ამით იყო განპირობებული ის ფაქტი, რომ საქართველოში ეკონომიკური რეფორმის ერთ-ერთ უმთავრეს მიზნად ინფლაციის შეჩერება და ეროვნული ვალუტის სტაბილური საცვლელი კურსის შენარჩუნება





განისაზღვრა. როგორც ცნობილია, ეს მიზანი მიღწეულია. თუ 1994 წელს ინფლაციის დონე 8500%-ით გამოიხატებოდა ანუ ადგილი ჰქონდა ჰიპერინფლაციას — 1995 წელს 57%, 1996 წელს 13,5%, 1997 წელს კი მხოლოდ 7,3% შეადგინა. 1998 წელს ინფლაცია 10,7%-ს გაუტოლდა ანუ წინა წელთან შედარებით გაიზარდა. მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ ინფლაცია ამჟამად „მოთოკილი“ და მართვადია. თუმცა 1999 წლის პროგნოზი თვითდამშვიდების საშუალებას არ იძლევა. სხვა ქვეყნების გამოცდილებიდან გამომდინარე, ეროვნული ვალუტის დევალვაციის პროცესთან ერთად, ინფლაციის დონე კიდევ უფრო გაიზრდება და მთავრობის პროგნოზი (10%) არ გამართლდება. 1999 წლის პირველი 4 თვის მონაცემებით, 11,8 %-იანი ინფლაცია დაფიქსირდა, რაც სხვა მაკროეკონომიკური პარამეტრების პროგნოზირებულ სიდიდეებსაც საფრთხეს უქმნის.




საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმის შედეგები აშკარად მიუთითებენ იმაზე, რომ საკუთრების არსებული მოდელით პრივატიზაციამ და მწარმოებელთა ეკონომიკური ინტერესების „სწრაფი“ მოგების მიღებაზე ორიენტაციამ, ღირებულებითი რეგულატორების მოქმედების საბაზრო ავტომატიზმზე იმედების დამყარებამ, წარმოების დანახარჯების შემცირება და შრომის მწარმოებლურობის გადიდება ვერ უზრუნველყვეს. საბოლოო ჯამში, მოსახლეობის შრომისადმი, როგორც არსებობის საშუალებისა და ზნეობრივი ფასეულობისადმი დამოკიდებულებაში ნეგატიური ცვლილებები გამოიწვიეს.

სამუშაო ძალის გაუფასურებამ და ხელფასის გაუმართლებელმა დიფერენციაციამ ისეთ მასშტაბებს მიაღწია, რომ შესაძლებელი გახდა საუბარი საქართველოს ეკონომიკაში ხელფასის, როგორც ეკონომიკური კატეგორიის, სახეცვლილებაზე. ფაქტობრივად ხელფასი გადაიქცა მუშაკებისათვის ერთგვარ სოციალურ გასაცემლად, რომელიც არ არის დაკავშირებული არც შრომის რაოდენობასთან, არც შრომის ხარისხთან.

სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაციით, დაქირავებით მომუშავეთა და თვითდასაქმებულების შრომის ანაზღაურების დონე ჯერ კიდევ ძალიან დაბალია და სრული დასაქმების შესაბამისი ანაზღაურების დონისაგან შორს არის. ეს იმის მანიშნებელია, რომ საქართველოში შრომის მოტივაციის აღდგენა ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს, ხოლო ეკონომიკა არასრული დასაქმების რეჟიმში მუშაობს.

კრიტიკულია თანაფარდობა მინიმალურ და საშუალო ხელფასს შორის: მთლიანად საქართველოში მინიმალური ხელფასი (18 ლარი 1998 წლის 1 სექტემბრიდან) საშუალო ხელფასის მხოლოდ 29%-ს შეადგენს, მაშინ როცა სოციალურად ორიენტირებულ საზოგადოებაში ის ჩვეულებრივ 40%-ზე ნაკლები არ არის.

საარსებოდ აუცილებელ საქონელზე ფასებმა მსოფლიო დონეს უნდა მიაღწიონ, ამასთან, მომუშავეთა უმრავლესობის ხელფასები ჯერ კიდევ მიზერულია და სამუშაო ძალას რეალური ფასი არ გააჩნია. ასეთ ვითარებაში მწარმოებლური შრომისადმი ნეგატიური დამოკიდებულების პოზიტიურად შეცვლის პრობლემა უახლოეს პერსპექტივაში საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების განმტკიცებისათვის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალურ საკითხად რჩება.

საქართველოში დღეისათვის უმწვავესია უმუშევრობის პრობლემა. 1998 წელს უმუშევართა რაოდენობამ 259 ათასს მიაღწია, უმუშევრობის დონემ მკაცრი კრიტერიუმით 12,1%, ხოლო შერბილებული კრიტერიუმით ანუ სამუშაოს შოვნის იმედგადაწურულთა უმუშევრების ჩათვლით 14,1% შეადგინა. აქედან გამომდინარე, აღნიშნულმა ინდიკატორმა კრიტიკულ დონეს (დასავლეთის ქვეყნებში უმუშევრობის 8 - 10%-იანი დონე კვალიფიცირდება როგორც საგანგაშო) გადააჭარბა და საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების რისკ-ფაქტორად გადაიქცა.

მოსახლეობის ცხოვრების დონის მაჩვენებელთა დინამიკა გვიჩვენებს, რომ გარკვეული

წარმატებებისა და დადებითი ტენდენციების მიუხედავად, რადიკალური გარდაქმნების პროცესში სოციალური პოლიტიკა კვლავ რჩება საქართველოს მთავრობის „აქილევსის ქუსლად". შემოსავლების მიხედვით საზოგადოების განფენილობამ სტაბილური ქვეყნებისათვის ზღვრულად დასაშვებ ნორმებს გადააჭარბა. საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრის ინფორმაციით (ბიულეტენი № 25, ივნისი 1999 წ) 1998 წელს მოსახლეობის 49,6% საარსებო მინიმუმის ქვემოთ იმყოფებოდა, იმ კატეგორიის მოსახლეობის რიცხოვნობა, რომელთა არსებობა კითხვის ნიშნის ქვეშაა (100 ლარამდე შემოსავალი) 24-დან 27%-მდე გაიზარდა, ქვეყანაში არსებული საშუალო ფენის რაოდენობა 19-დან 18%-მდე შემცირდა, საერთო ხარჯებში უღარიბესი მოსახლეობის 20 პროცენტიანი წილი 10,6-ჯერ ჩამოუვარდებოდა უმდიდრესი მოსახლეობის 20 პროცენტიანი ხარჯების წილს. მოსახლეობის ყველაზე მდიდარი და ყველაზე ღარიბი მოქალაქეების შემოსავლებს შორის ათჯერადი სხვაობის გადაჭარბება ბევრი განვითარებული ქვეყნისათვის არასასურველად არის მიჩნეული, საქართველოში ოფიციალური მონაცემებით ამ მაჩვენებელმა აღნიშნულ სხვაობას 18,56-ჯერ გადააჭარბა. მოსახლეობის შემოსავლების პოლარიზაციის მაჩვენებლით საქართველო უკვე შევიდა კრიტიკულ ზონაში, რაც სოციალური არასტაბილურობის საფრთხეს ქმნის.

ეკონომიკური სისტემის და მთლიანად საზოგადოების სტაბილურობის მნიშვნელოვან რისკ-ფაქტორებად კრიმინოგენური სიტუაცია და კორუფცია გვევლინება. კრიმინოგენური ფაქტორი ფართოდ შეიჭრა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. განსაკუთრებით საგანგაშო მდგომარეობაა შექმნილი ეკონომიკაში, სადაც ფარული, „ჩრდილოვანი" ეკონომიკის მასშტაბები 45-50%-ს აღწევს (ზოგიერთი შეფასებით კი 70%-მდეა).

1998 წლის შედეგებით, დაფარულმა შემოსავლებმა 81% შეადგინა, ხოლო ყველაზე ოპტიმისტური გათვლებით, 1999 წელს დაფარული შემოსავლების წილი მინიმუმ 70% იქნება.

კრიმინალიზაციის პროცესი ეკონომიკის თითქმის ყველა სფეროს და ეკონომიკურ სუბიექტს შეეხო. ხშირია შემთხვევები, როცა:

- სამეურნეო ერთეულთა საქმიანობა არ აისახება საბუღალტრო დოკუმენტებში;
- საკასო აპარატების გვერდის ავლით, ფულადი შემოსავლები და ხარჯები „შავი ფულის" ფორმას ღებულობენ;
- ზოგიერთი სამუშაო ფორმდება ერთი ფასით და ანაზღაურდება სხვა, უფრო მაღალი ფასით;
- ბარტერული გარიგებები საგადასახადო ურთიერთობათა გარეთ რჩება;
- საწარმოო, სატრანსპორტო, სამშენებლო, საყოფაცხოვრებო და სხვა მომსახურება, აგრეთვე სავაჭრო ოპერაციების მნიშვნელოვანი ნაწილი კერძო პირების მიერ, სამეურნეო სუბიექტად რეგისტრაციის გარეშე ხორციელდება.

ამჟამად საქართველოში კერძო სექტორს, განსაკუთრებით მცირე ბიზნესს ოფიციალური და არაოფიციალური (უკანონო) გადასახადები მძიმე ტვირთად აწევს, რის გამოც კანონმორჩილი გზით საქმის წარმოება პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება. აღურიცხავი საფინანსო-სამეურნეო ოპერაციების მოცულობა მნიშვნელოვან, ქვეყნისათვის სახიფათო მასშტაბებს აღწევს. საყურადღებოა, რომ მთლიანად ქვეყანაში არსებული ფულის მასის 65% აღურიცხავია, საქონლის აღურიცხავი იმპორტის მოცულობა 1,2-ჯერ, ხოლო ექსპორტისა 4,5-ჯერ აღემატება ოფიციალურად აღრიცხულს. კორუფციის დონე საქართველოში საკმაოდ მაღალია. ამ მაჩვენებლის მიხედვით საქართველო მსოფლიოში „მოწინავე" პოზიციებზეა. დღეისათვის სახელმწიფო სამსახურში თითქმის არ არსებობს საქმიანობის სფერო, კორუფციის ფაქტები რომ არ შეინიშნებოდეს. აღსანიშნავია, რომ კორუფციის საფრთხის გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრა ეკონომიკური რეფორმის მეორე ეტაპის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად განისაზღვრა.

ანტიკორუფციული საქმიანობის გაძლიერების მიზნით, სახელმწიფოს მხრიდან სადამსჯელო ზომების მიღებასთან ერთად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:

- კორუფციის საფრთხის შემცველი სახელმწიფო თანამდებობების კლასიფიკატორის შემუშავება, თანამდებობებზე დასანიშნი პირების კორუფციისადმი მიდრეკილებაზე სავალდებულო შემოწმება (ფსიქოანალიტიკური ტესტების მეშვეობით);
- ადმინისტრაციულ-მბრძანებლურ პრინციპზეა დაფუძნებული მაკონტროლებელი ორგანოების რიცხვის მინიმუმამდე დაყვანა;
- სახელმწიფო აპარატის რაციონალური შემცირება;
- სახელმწიფო მოხელეთა პასუხისმგებლობის გამკაცრება და მათი ხელფასების მნიშვნელოვანი ამაღლება;
- ქრთამის მიმცემსა და ამღებს შორის უნდობლობის ფაქტორის შექმნა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად დასაშვებია პროვოცირების მეთოდის გამოყენება;
- ამა თუ იმ საქმიანობაზე უფლების მისაღებად უპირატესად სარეგისტრაციო წესზე გადასვლა;
- ლიცენზიების, ხელსაყრელი კრედიტებისა და შეღავათების მიცემისას ღია აუქციონებისა და კონკურსების სისტემის გამოყენება.

ეკონომიკური სისტემის სტაბილურობის ზემოთ განხილული რისკ-ფაქტორები საქართველოში ეკონომიკური უსაფრთხოების დაბალ დონეზე მიუთითებს. გამომწვევი მიზეზებიდან



ბიულეტენი №30 სექტემბერი 1999 წ.

უმთავრესი ეკონომიკური უსაფრთხოების მართვის ერთიანი, მწყობრი სისტემის არარსებობაა. მეცნიერულად ღირებული ინდიკატორების სისტემის შემუშავება და სახელმწიფო უშიშროების პრაქტიკაში გამოყენება თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი ეროვნული უშიშროების სისტემის ჩამოყალიბების გზაზე წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება.

## 8. ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველმყოფი ღონისძიებები

მსოფლიო სამეურნეო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ეკონომიკური უსაფრთხოების უფრო მაღალი დონის უზრუნველყოფა ამ სფეროში სახელმწიფო ჩარევის მასშტაბების შემცირებითაა შესაძლებელი. კრიზისული სიტუციიდან გამოსასვლელად საქართველოს ხელისუფლებამ ეკონომიკაზე სახელმწიფო დატვირთვა ყოველნაირად უნდა შეამციროს. მსოფლიო პრაქტიკის გათვალისწინებით ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველმყოფი ღონისძიებებია:

- სახელმწიფო ხარჯების რადიკალური შემცირება (მშპ-ს მაქსიმუმ 17%-მდე, მინიმუმ 25%-მდე);
- უდეფიციტო ბიუჯეტის უზრუნველყოფა, მისი პროფიციტის მიღწევა (ბიუჯეტის დეფიციტი მაქსიმუმ მშპ-ს 0% და მინიმუმ 3% უნდა იყოს);
- ახალი სესხების აღებაზე უარის თქმა (სახელმწიფო ვალის ყოველწლიური ზრდის ტემპმა მშპ-ს მაქსიმუმ 10%, მინიმუმ 0-დან 5%-მდე უნდა შეადგინოს);
- სახელმწიფო ვალის მომრავლების შეწყვეტა, მისი ძირითადი ნაწილის დაფარვაზე თანდათანობითი გადასვლა;
- დარჩენილი სახელმწიფო საწარმოების პრივატიზაციის დასრულება (სახელმწიფო საკუთრებაში დარჩეს იმდენი საწარმო, რომ მათი პროდუქციის ხვედრითი წონა მშპ-ში მაქსიმუმ 3%-ზე ნაკლები და მინიმუმ 10-დან 15%-მდე იყოს);
- სახელმწიფო ვალდებულებების პრივატიზაცია;
- მკაცრი ფულადი პოლიტიკის გატარება (ფულადი მასის ზრდის საშუალო წლიურმა ტემპებმა, რეალური მშპ-ს ზრდის ტემპების გამოკლებით, ფულადი ემისიის მასშტაბები მაქსიმუმ 3%-ზე ნაკლები და მინიმუმ 15-დან 40%-მდე უნდა იყოს);
- ეროვნული ვალუტის სტაბილურობის უპირობო უზრუნველყოფა (სავალუტო კურსის შემცირების საშუალო წლიურმა ტემპებმა აშშ დოლართან მიმართებაში მაქსიმუმ 0% და მინიმუმ 0-დან 5%-მდე უნდა შეადგინოს);
- იმპორტული საბაჟო მოსაკრებლების და გადასახადების შემცირება, მათ სრულ ლიკვიდაციამდე (ექსპორტზე და იმპორტზე გადასახადების საშუალო წლიურმა დონემ საგარეო ვაჭრობის ბრუნვასთან მაქსიმუმ 1%-ზე ნაკლები და მინიმუმ 3-დან 7%-მდე უნდა შეადგინოს).

სწორედ ამგვარი პოლიტიკის თანმიმდევრული გატარების წყალობით მსოფლიოს ღარიბმა და სუსტად განვითარებულმა ქვეყანებმა ეკონომიკური ზრდის სარეკორდო მაჩვენებლებს მიაღწიეს და მოსახლეობის ცხოვრების დონე მკვეთრად ამაღლდა. საქართველოში ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელება და, შესაბამისად, ეკონომიკური უსაფრთხოების მართვა სწორედ ამ მიმართულებებით უნდა წარიმართოს.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს ეროვნული უშიშროების კონცეფცია;
2. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ყოველწლიური ინფორმაცია „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა", 1994-1998 წწ.;
3. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ბიულეტენები: №19, 20, 21, 24, 25. 1999წ.;
4. Проблемы экономической безопасности, ж. "Вопросы экономики", 1994, № 12.
5. В. Медведев, Проблемы экономической безопасности России, ж. "Вопросы экономики", 1997, № 3;
6. В. В. Локосов, Стабильность общества и система предельно критических показателей его развития, ж. "СОЦИС", 1998, № 4;
7. А. Илларионов, Критерии экономической безопасности, ж. "Вопросы экономики", 1998, № 10.

...bert-Stiftung Bonn Bibliothek

FRIEDRICH EBERT STIFTUNG

# ფრიდრიხ ებერტის ფონდი

ფრიდრიხ ებერტის ფონდი წარმოადგენს დამოუკიდებელ საზოგადოებრივ-კულტურულ ორგანიზაციას, რომელიც მჭიდრო კავშირშია გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან. იგი დაფუძნებულ იქნა 1925 წლის 2 მარტს ვაიმარის პირველი პრეზიდენტის, სოციალ-დემოკრატების ლიდერის ფრიდრიხ ებერტის საპატივცემულოდ.

დღესდღეობით ფრიდრიხ ებერტის ფონდის თანამშრომელთა რიცხვი 540 კაცს შეადგენს. ფონდს ბიუროები გააჩნია მსოფლიოს 89 ქვეყანაში.

## ფონდის მოღვაწეობის სფეროში შედის:

— დემოკრატიული სულისკვეთებით საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელთა განათლება;
— ერთაშორისი თანხმობის ხელშეწყობა და განვითარებად ქვეყნებთან თანამშრომლობა;
— როგორც გერმანიაში, ასევე მის საზღვრებს გარეთ მცხოვრები ნიჭიერი სტუდენტებისა და ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკებისათვის სტიპენდიების გამოყოფა;
— სამეცნიერო გამოკვლევების, კვლევითი სამუშაოების წახალისება;
— კულტურისა და ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა.

საქართველოში ფონდის წარმომადგენლობა 1994 წელს დაარსდა. ფონდი აქტიურად თანამშრომლობს როგორც სამთავრობო, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებთან, განსაკუთრებით კი - ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან. კონფერენციების და სემინარების მოწყობით, სატელევიზიო პროგრამებითა თუ სპეციალისტების მომზადებით იგი ცდილობს თავისი წვლილი შეიტანოს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის გამოცდილების, ცოდნის გაცვლაში.

**საქართველოში ფონდის საქმიანობის სფერო შემდეგ საკითხებს მოიცავს:**
— დემოკრატიის მხარდაჭერა, ეთნიკური უმცირესობების და ქალთა მოძრაობის დაცვა;
— ეკონომიკური რეფორმა, სოციალური პოლიტიკა და გარემოს დაცვა;
— საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა.

ფრიდრიხ ებერტის ფონდი საქართველოში დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სემინარულ მუშაობას სხვადასხვა ასაკობრივ და პროფესიულ ჯგუფებთან, როგორებიცაა, მაგალითად; კონფლიქტების გადაწყვეტის ალტერნატიული გზების შემუშავების მიზნით ტრენინგ-სემინარების ჩატარება ლტოლვილებთან, ჟურნალისტებთან, პოლიციელებთან; მართვის, ეკონომიკის, სამართლის საკითხების ირგვლივ — ცალკეული რეგიონების გამგებლებთან. ფონდის ხელშეწყობით ქვეყნდება მთელი რიგი პუბლიკაციები სხვადასხვა თემებზე, უმაღლეს სასაწავლებლებში ეწყობა ვიდეო-ლექციები, რომელთაც უძღვებიან გერმანიიდან მოწვეული მაღალკვალიფიციური სპეციალისტები.

ფონდთან მჭიდრო თანამშრომლობით საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მიერ შემუშავებულ იქნა ისეთი მნიშვნელოვანი კანონპროექტები, როგორიცაა, გარემოსდაცვითი ნებართვისა და პოლიტიკური ორგანიზაციების შესახებ კანონპროექტი. აგრეთვე, ამავე ფონდის ფინანსური დახმარებით გახდა შესაძლებელი ცენტრში არსებული სამუშაო ჯგუფის „ეკონომიკა, ფინანსები და სოციალური პოლიტიკა" აქტიური მოღვაწეობა.

ფრიდრიხ ებერტის ფონდს მომავლისათვის განზრახული აქვს სამოქმედო ასპარეზის გაზრდა და მუშაობის უფრო აქტიურად წარმართვა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში.





# საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი დაფუძნებულ იქნა 1995 წლის ივლისში. იგი წარმოადგენს დამოუკიდებელ, არასამთავრობო, არაპოლიტიკურ, არაკომერციულ ორგანიზაციას. მისი წევრები არიან სხვადასხვა სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები, მდიდარი გამოცდილების მქონე სპეციალისტები, ასევე სტუდენტები და ახალგაზრდები, რომლებიც გამოცდილ თანამშრომლებთან ერთად მუშაობენ ცენტრისათვის პრიორიტეტულ პრობლემატიკაზე და თანამშრომლობენ როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

ცენტრი სხვა ტრადიციული ტიპის არასამთავრობო ორგანიზაციებისაგან განსხვავებით, არ შემოიფარგლება მხოლოდ დამოუკიდებელი მკვლევარისა და დამკვირვებლის როლით და ცდილობს, გავლენა იქონიოს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე. ამ მიზნით ცენტრი აქტიურად თანამშრომლობს არა მარტო სამეცნიერო და არასამთავრობო, არამედ სამთავრობო ორგანიზაციებთანაც, რათა საერთო ძალისხმევით შემუშავდეს ჩვენს ქვეყანაში არსებული რთული ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური პრობლემების გადაჭრის ოპტიმალური გზები. ცენტრში დამუშავებული სტრატეგიული გეგმები საბოლოო სახეს მხოლოდ მრავალჯერადი საჯარო განხილვების შემდეგ ღებულობს, რაც უზრუნველყოფს ამ პროცესში ყველა დაინტერესებული პირისა თუ ორგანიზაციის მონაწილეობას.

ცენტრის რეგულარულ გამოცემებში — ბიულეტენებში გაშუქებული საკითხების ირგვლივ სისტემატიურად ეწყობა განხილვა-სემინარები.

## *ცენტრის პრიორიტეტული მიმართულებები:*

- *საზოგადოება და დემოკრატია*
- *გარემოს დაცვა და მდგრადი განვითარება*
- *საგარეო პოლიტიკა და ეროვნული უსაფრთხოება*
- *ეკონომიკა, ფინანსები და სოციალური პოლიტიკა*

## *განხორციელებული პროექტები*

1. კანონპროექტი საქართველოს გარემოსდაცვითი ნებართვების შესახებ;
კანონი მიღებულია პარლამენტის მიერ.
2. კანონპროექტი საქართველოს პოლიტიკური ორგანიზაციების შესახებ;
კანონი მიღებულია პარლამენტის მიერ.
3. საქართველოს ტერიტორიული მოწყობის შესახებ კონცეფციის შემუშავება;
4. ეკონომიკური რეფორმები საქართველოში;
5. ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარება;
6. არასამთავრობო გარემოსადაცვითი ორგანიზაციების ქსელის ეროვნული შეხვედრის მომზადება;
7. ცენტრის ინსტიტუციონალური განვითარება.

## ცენტრის დონორი ორგანიზაციები

1. ფრიდრიხ ებერტის ფონდი, გერმანია
2. ნიდერლანდების ორგანიზაცია საერთაშორისო თანამშრომლობისა და განვითარებისათვის, ჰოლანდია.
3. ბერგჰოფის კონფლიქტოლოგიის ინსტიტუტი, გერმანია

# ცენტრის მხარდამჭერები

* ცენტრის ინდივიდუალური „მხარდამჭერი“ მიიღებს ცენტრის ყველა გამოცემას, ცენტრის პროექტების შესახებ დაწვრილებით ინფორმაციას და ყოველწლიურ (მათ შორის ფინანსურ) ანგარიშს. უფლება ექნება უფასოდ დაესწროს ცენტრის ყველა სემინარსა და საჯარო ღონისძიებას, ისარგებლოს ცენტრის ბიბლიოთეკით და ექსპერტთა ქსელით.

* ცენტრის პარტნიორები, სპონსორები და მხარდამჭერები მიიღებენ ცენტრის ყველა გამოცემას, ცენტრის პროექტების შესახებ დაწვრილებით ინფორმაციას და ყოველწლიურ (მათ შორის ფინანსურ) ანგარიშს. კომპანიის/ორგანიზაციის ხელმძღვანელს ან მის წარმომადგენელს უფლება ექნება უფასოდ დაესწროს ცენტრის ყველა სემინარსა და საჯარო ღონისძიებას, კომპანიის/ორგანიზაციის ნებისმიერ წევრს ექნება შესაძლებლობა ისარგებლოს ცენტრის ბიბლიოთეკით და ექსპერტთა ქსელით, გარდა ამისა:

* ცენტრის გამოცემებში მითითებული იქნება კომპანიის სახელწოდება, როგორც ცენტრის „პარტნიორისა“, კომპანიის შესახებ ინფორმაციას დაეთმობა ერთი გვერდი ბიულეტენში და მცირე მონაკვეთი ლიფლეტში. ღონისძიების მოსაწვევებში მოხსენიებული იქნება, როგორც ცენტრის „პარტნიორი“.

* ცენტრის გამოცემებში მითითებული იქნება კომპანიის სახელწოდება, როგორც ცენტრის სპონსორისა, ღონისძიების მოსაწვევებში მოხსენიებული იქნება, როგორც ცენტრის სპონსორი.

* ცალკეული ღონისძიებების სპონსორი კომპანია ღონისძიების მოსაწვევებში მოხსენიებული იქნება, როგორც ღონისძიების „სპონსორი“ და მისი ლოგო წარმოდგენილი იქნება ღონისძიებაზე ცენტრის ლოგოსთან ერთად.

## საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მხარდამჭერები:

❖ კომპანია ზენიტ გამა ქონსალთინგი (**Zenith Gamma Consulting**)

**მხარდამჭეროზით დაინტერესებულ პირებს გთხოვთ შეავსოთ თანდართული გამოკითხვის ბარათი და მოგვაწოდოთ ორგანიზაციის მისამართზე.**

**ცენტრის საქმიანობით დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეუძლიათ, დაგვიკავშირდნენ.**

ქ.თბილისი 380002, მარჯანიშვილის ქ. №19, საფოსტო ყუთი №45;
ტელ/ფაქსი: (995 32) 964124/957030;
ელექტრონული ფოსტა: csrdg@caucasus.net
http://www.csrdg.caucasus.net



## ინდივიდუალური მხარდამჭერის გამოკითხვის ბარათი

☐ მე მსურს გავხდე ცენტრის მხარდამჭერი და მზად ვარ გავიღო 100 ლარი, გთხოვთ, დამიკავშირდეთ.

☐ გთხოვთ, გამომიგზავნოთ უფრო დეტალური ინფორმაცია და ცენტრის უახლესი გამოცემები საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

☐ მე არ ვარ დაინტერესებული ცენტრის მხარდაჭერით, გთხოვთ, ნუღარ დამიკავშირდებით.

ჩემი კოორდინატებია:

სახელი, გვარი, ——————————

სამუშაო ადგილი ——————————

თანამდებობა ——————————

მისამართი ——————————

ტელეფონი —————————— ფაქსი ——————————

# კოლექტიური მხარდამჭერის გამოკითხვის ბარათი

☐ ჩვენს კომპანიას სურს გახდეს ცენტრის პარტნიორი და მზად არის გაიღოს 5000 ლარი, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ.

☐ ჩვენს კომპანიას სურს გახდეს ცენტრის სპონსორი და მზად არის გაიღოს 2000 ლარი, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ.

☐ ჩვენს კომპანიას სურს გახდეს ცენტრის მხარდამჭერი და მზად არის გაიღოს 280 ლარი, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ.

☐ ჩვენს კომპანიას სურს სპონსორობა გაუწიოს ცენტრის სხვადასხვა საჯარო ღონისძიებას, სემინარს ან კონფერენციას, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ.

☐ გთხოვთ გამოგვიგზავნოთ უფრო დეტალური ინფორმაცია და ცენტრის უახლესი გამოცემები საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

☐ ჩვენი კომპანია არ არის დაინტერესებული ცენტრის მხარდაჭერით, გთხოვთ, ნუღარ დაგვიკავშირდებით.

ჩვენი კომპანიის კოორდინატებია:

კომპანიის დასახელება ______________________________

მისამართი ______________________________

ტელეფონი ____________________ ფაქსი __________

საკონტაქტო პირი ______________________________
(სახელი, გვარი, თანამდებობა)